К 64.276
3

64.276
3

იური სიხარულიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წ.

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი—1956

9(ს.9ბ2) „18"

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

იური სიხარულიძე

# გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს

К 64.276
3

ბათუმის სახ. საქ. სახელმწიფო საჯარო ბიბლიოთეკა
ბათუმი

სპეგ-2000
შემოწმებულია

სახელმწიფო გამომცემლობა
ბათუმი — 1956

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ალ. ბენდიანიშვილი
ტექრედაქტორი თ. დიდიძე
კორექტორები { შ. დარჩია
ი. კალანდაძე

☆ ☆ ☆

გადაეცა წარმოებას 1956 წლის 19 მარტს, ხელმოწერილია დასაბეჭდად 25 მაისს, ქაღალდის ზომა 60×92, 4,8 სააღრიცხვო-საგამომცემლო და 5,25 საბეჭდი ფორმა. შეკვ. № 1762, ემ01407. ტირაჟი 3000.

☆ ☆ ☆

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს
მთავარპოლიგრაფსამმართველოს ბათუმის სტამბა-ლითოგრაფია.
ქ. ბათუმი, ლუქსემბურგის, 22.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# რედაქტორისაგან

მიმდინარე წელს სრულდება 115 წელი გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებიდან. სწორედ ამ თარიღს ეძღვნება იური სიხარულიძის წიგნი „გლეხთა აჯანყება გურიაში 1841 წელს", რაც უდავოდ, მისასალმებელია.

არსებული მასალების მართებული ანალიზის შედეგად ნაშრომში სწორადაა გაშუქებული ეს მნიშვნელოვანი მოვლენა და გასწორებულია ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში დაშვებული შეცდომები.

აჯანყების ხასიათის გამორკვევისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მისი სოციალ-ეკონომიური და პოლიტიკური წინამძღვრების სწორ გაშუქებას. წინამდებარე შრომაში ძირითადად აღდგენილია აჯანყების წინახანის გურიის სოციალ-ეკონომიური მდგომარეობის რეალური სურათი. გურიაში გაბატონებული იყო ნატურალური მეურნეობა, რომლის გვერდით და წიაღში ვითარდებოდა ფულადი-სასაქონლო ურთიერთობაც, მაგრამ იგი (ფულადი-სასაქონლო ურთიერთობა) ჯერ კიდევ საფუძვლიანად ვერ არღვევდა არსებულ წყობილებას. ამდენად, გურიასა და საერთოდ საქართველოში ჯერ კიდევ არ იყო მომზადებული სოციალ-ეკონომიური წინაპირობები ძველი, ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ საყოველთაო ასამხედრებლად. ეს დებულება, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს გლეხთა ცალკეულ სტიქიურ გამოსვლათა შესაძლებლობას, ნაშრომში კიდევაც მოტანილი ფაქტობრივი მასალა ბატონყმური ექსპლოატაციის წინააღმდეგ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმების (უარის თქმა ღალა-გადასახადების გაღებაზე, ფირალობა და სხვ.) საილუსტრაციოდ. მაგრამ ასეთი გამოსვლები ხდებოდა ფეოდალურ-ბატონყმური ფორმაციის არსებობის თითქმის მთელ სიგრძეზე.

წიგნში კარგად არის ნაჩვენები საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესული მნიშვნელობა. ამ დიდი ისტორიული აქტის დადებით შედეგებთან ერთად წიგნში ლაპარაკია ცარიზ-

მის რეაქციულ პოლიტიკაზე, რასაც არასდროს არ შერიგებია ქართველი ხალხი.

რუსეთის ცარიზმის მიერ დამყარებული რეჟიმი უკმაყოფილებას იწვევდა გურიის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენაში. მაგრამ სოციალ-ეკონომიურად გაბატონებული და დაჩაგრული ფენების უკმაყოფილების საფუძვლები ურთიერთისაგან დიამეტრალურად განსხვავდებოდნენ. თავადაზნაურობის დიდი ნაწილის პროტესტს იწვევდა ძველი ფეოდალური სამოხელეო აპარატის განადგურების შედეგად მათი პოლიტიკური უფლებების შეკვეცა. ისინი ოცნებობდნენ იმ დრომოჭმული წყობილების აღდგენაზე, რომელმაც საქართველო პოლიტიკურ დაცემამდე და ეკონომიურ გაჩანაგებამდე მიიყვანა. ამდენად თავადაზნაურობის ბრძოლა რეაქციულ ხასიათს ატარებდა. გლეხობა — კი ხმას იმაღლებდა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ, იბრძოდა გადასახადების შემცირებისათვის, სატრანსპორტო ბეგარისა და სასურსათო გაწერის გაუქმებისათვის.

წიგნში სამართლიანადაა უარყოფილი ზოგიერთი მკვლევარისაგან ფაქტებზე ძალდატანების შედეგად ხელოვნურად აგებული სქემა, რომლის მიხედვით აჯანყების დასაწყისში თავადაზნაურობა და გლეხობა ერთსულოვნად გამოვიდა, ხოლო მას შემდეგ, რაც გლეხთა ბრძოლამ ანტიბატონყმური ხასიათი მიიღო, თავადაზნაურობა გამოეთიშა აჯანყებას, ცარიზმის მხარეზე გადავიდა და მეფის ჯარებს დაეხმარა აჯანყებული გლეხობის დათრგუნვის საქმეში. ნაშრომში აღდგენილია აჯანყების მსვლელობის რეალური სურათი და გარკვეულია აჯანყებაში მონაწილე სხვადასხვა სოციალური ფენების როლიც. თავადაზნაურობა აჯანყებას მასობრივად შეუერთდა მისი განვითარების კულმინაციურ წერტილზე და სცადა აჯანყებული გლეხობის ძალის გამოყენება თავისი კლასობრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის. წიგნში ნათლად ჩანს, რომ ორივე პერიოდში აჯანყების მთავარ მამოძრავებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა.

ორიოდე სიტყვა აჯანყების ხასიათის შესახებ.

თავისთავად გლეხური აჯანყება როდი ისახავს გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს. გლეხები უმეტეს შემთხვევაში სტიქიურად იბრძვიან ყოველგვარი უსამართლობის წინააღმდეგ. მაგრამ გლეხთა სტიქიური აჯანყება დიდ ძალად გადაიქცევა, თუ მას სათავეში ჩაუდგება პოლიტიკური ცხოვრებისათვის მომწიფებული საზოგადოებრივი კლასი.

XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში ფეოდალიზმის წინააღმდეგ პოლიტიკური ბრძოლისათვის მომწიფებული საზოგადოებრივი ძალა (ბურჟუაზია) არ ჩანდა. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობას ტონს აძლევდა თავადაზნაურობა. მართალია, ქართველი თავადაზნაურობის რეაქციული უმრავლესობის გვერდით უკვე იმ ხანაში არსებობდა პროგრესული უმცირესობა, მაგრამ პროგრესისტების სამოქმედო პროგრამა ჯერ კიდევ გაურკვეველი იყო და მათ, კლასობრივი შეზღუდულობის გამო, არ შესწევდათ გლეხთა სტიქიური მოძრაობის ხელმძღვანელობის უნარი.

რამდენადმე უკეთესი იყო მდგომარეობა რუსეთში.

მართალია, რუსეთის ცარიზმი კავკასიაში პროგრესულ საქმეს აკეთებდა, მაგრამ თვით რუსეთში აბსოლუტურმა მონარქიამ თავისი პროგრესული მისია XVIII ს. ბოლოსათვის დაასრულა და გადაიქცა ქვეყნის სოციალ-ეკონომიური განვითარების შემაფერხებელ ძალად. ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ პირველად ხმა აიმაღლა რადიშჩევმა. რადიშჩევის იდეები შემდგომ განავითარეს და მისი ცხოვრებაში გატარება სცადეს დეკაბრისტებმა, რომლებმაც საფუძველი დაუდვეს ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მიმართულ საერთო დემოკრატიულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას. მაგრამ დეკაბრისტები შორს იდგნენ ხალხისაგან (ამ საკითხში მჟღავნდებოდა მათი კლასობრივი შეზღუდულობა), მათ არ შესწევდათ გლეხთა სტიქიური მოძრაობის გარკვეული პოლიტიკური მიზნისათვის გამოყენების უნარი. მით უმეტეს დეკაბრისტებს არ შეეძლოთ კონტაქტის დამყარება რუსეთის განაპირა მხარეებში მომხდარ გლეხთა აჯანყებებთან.

ამგვარად, XIX ს. პირველ ნახევარში უხელმძღვანელოდ დარჩენილი გლეხთა აჯანყებანი როგორც ცენტრალურ რუსეთში, ისე განაპირა მხარეებში დამარცხებისათვის იყო განწირული. მაგრამ გლეხთა აჯანყებებს უდავოდ პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა. ქართველი გლეხების აჯანყებანი (მათ შორის გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება) ცარიზმის მიერ დამყარებული რეჟიმის წინააღმდეგ, რამდენადაც ისინი არ ატარებდნენ სეპარატულ ხასიათს, ობიექტურად რუსეთის გლეხობის ბრძოლას უერთდებოდა და ხელს უწყობდა საერთო დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმატებას. რუსეთში აბსოლუტური მონარქიის დამხობა და დემოკრატიული წყობილების დამყარება პასუხობდა ამ იმპერიაში შემავალ ყველა ხალხის ინტერესებს. ის პროგრესული საქმე, რომელიც ცარიზმმა პოლიციური მეთოდებით შეასრულა

განაპირა მხარეებში (მათ შორის საქართველოში), ნაკლები წინააღმდეგობების გზით გაკეთდებოდა დემოკრატიული წყობილების პირობებში.

ამიტომ შეეძლო წინამდებარე წიგნის ავტორს საქართველოში პროგრესული საქმის შემსრულებელი ძალის (ცარიზმი, რომელიც რუსეთში უკვე რეაქციულ ძალად იყო გადაქცეული) წინააღმდეგ მიმართული გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება გამოეცხადებინა პროგრესულ მოძრაობად. ავტორმა კარგად იცის, რომ ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული განაპირა მხარეთა გლეხობის აჯანყებანი, თუ ისინი მკვეთრად არ ამჟღავნებენ სეპარატისტულ ტენდენციებს (ასეთი იყო საქართველოს გლეხთა თითქმის ყველა აჯანყება), მიმართული არიან ბატონყმობის წინაღმდეგაც. აბსოლუტური მონარქია ხომ გაბატონებული წოდების (თავადაზნაურობა) იარაღი იყო ყმაგლეხთა წინააღმდეგობის დასათრგუნავად შექმნილი. მისი დამხობით ისპობოდა ბატონყმობის ინსტიტუტის მთავარი საყრდენი და იქმნებოდა პირობები ბურჟუაზიული თავისუფლების განხორციელებისათვის.

ამგვარად, გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება ერთი სახელოვანი ფურცელია იმ სახალხო აჯანყებათა მატიანეში, ქვეყნის ბურჟუაზიული გარდაქმნები რომ დააჩქარეს და ამით შექმნეს წინაპირობები შემდგომი პროგრესისათვის.

სახალხო აჯანყებათა მატიანის ამ საყურადღებო ფურცელს, რომელიც ამჟამად, ცალკე წიგნად გამოდის, ინტერესით წაიკითხავს ფართო საზოგადოება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შესავალი

საქართველო დიდი ისტორიული წარსულის ქვეყანაა. ქართველმა ხალხმა თავისი არსებობის მანძილზე სიცოცხლისა და შემოქმედების ამოუწყველი ძალა გამოავლინა, დაიცვა და განავითარა არა მარტო თავისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წინსვლის საქმე, არამედ წარმატებით შეძლო გამოსულიყო მთელი კავკასიის პროგრესის მედროშის როლშიც. XII საუკუნეში კავკასიის ხალხებმა ქართველი ხალხის მეთაურობით სძლიეს თურქ-სელჯუკურ მოძალებას. „განვითარების თვალსაზრისით ეს იყო პროგრესის გამარჯვება. ამ ბრძოლის პროცესში წარმოიქმნა სახელმწიფო („ყოველი საქართველო“), რომლის გარშემო სხვადასხვა დამოკიდებულებით თავს იყრიდა „ფრიადი ქვეყანა“ (ეს „ქვეყანა“ კავკასიის საზღვრებს დიდად სცილდებოდა).“1

XII საუკუნის მიწურულისათვის ქართულმა ფეოდალიზმმა თავისი აღმავლობის ზენიტს მიაღწია. XIII საუკუნემ ეს ურთიერთობა ზრდადასრულებული სახით ჩაიბარა. ამიერიდან პროგრესი ბატონყმური წესწყობილების დაშლისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის წარმოშობა-განვითარების გზით უნდა წარმართულიყო, მაგრამ მალე საერთაშორისო ასპარეზზე ახალი ძლიერი ძალის (მონღოლები) გამოჩენამ და საქართველოს სოციალურ-ეკონომიურ სფეროში განვითარებულმა მოვლენებმა დიდად შეაფერხეს საზოგადოებრივი წინსვლის საქმე; დაძაბუნდა საქართველო, კავკასიის ერთიანობის დასაცავად მას ძალები აღარ ეყო და აზიელ ველურთა წინააღმდეგ მარტოდმარტოღა იქნევდა ხმალს.

განმარტოებული ქვეყანაც გასაოცარ გამძლეობას იჩენდა. ამას აპირობებდა მისი სოციალურ-ეკონომიური სისტემის პროგრესულობა აზიურ ფეოდალიზმთან შედარებით: ამ სისტემის დაცვა-განვითარებისათვის ღვრიდნენ სისხლს ქართველი ხალხის საუკეთესო შვილები.

აზიური ველურობის ამ ძლიერი შემოტევის ხანაში მდგომარეობა ერთობ დაძაბული იყო, მაგრამ დაღუპვის აუცილებლობი-

1 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის, „მნათობი“, 1954 წ., გვ. 124.

სათვის საფუძველს მაინც არ ქმნიდა. „ჩიხს“ დღე ელეოდა, ოსმალურ-ყიზილბაშური სამყარო დაცემა-დაქვეითების გზაზე ეშვებოდა, ხოლო რუსეთი — აღმოსავლეთში პროგრესის მეტრონომ, სულ უფრო და უფრო მოიწევდა კავკასიისაკენ, ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი ამ ძალას საქართველოში ეპატიჟებოდა. საუკუნოვან ოცნებას ფრთები ესხმებოდა, სადაც იყო — ქვეყანა თავს დააღწევდა გვიანფეოდალურ უკუნეთს.

თავადურ-ბატონყმურ ჩამორჩენილობას პროგრესი განადგურებით ემუქრებოდა, მზადდებოდა პირობები მემამულურ-ბატონყმურ სისტემაზე გადასასვლელად, ახალი (ბურჟუაზიული) საფეხურის გასავითარებლად. და ეს პროგრესის ერთადერთი სწორი გზა იყო.

ქართველი ფეოდალური საზოგადოების პროგრესულ და რეაქციულ ძალებს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა წარმოებდა. „ჩიხის“ პირობებში საქართველოში პროგრესისტები სერიოზულ საყრდენს მოკლებული იყვნენ. რეაქციის ძალებს (თავადები) კი ზურგში ირან-ოსმალეთი ამოდგომოდა. ქართველი საზოგადოების პროგრესულმა ნაწილმა ერეკლე II-ის მეთაურობით რუსეთი მოიწვია. „ერეკლე იწვევდა საქართველოში პროგრესულ ძალას, რომ ამ ძალის შემწეობით პროგრესული საქმე განეხორციელებია“.1 მოწინავე ქართველი საზოგადოებისა და რუსეთის კავშირი 1783 წელს სპეციალური ტრაქტატით გაფორმდა. გაირღვა გვიანფეოდალური ჩიხი, საქართველო საბოლოოდ დაადგა პროგრესის გზას.

გამძვინვარებულმა რეაქციამ აბჯარი აისხა და ყოველი მხრიდან შემოუტია ქვეყანას. პროგრესისტებს საკუთარი ძალებით რეაქციასთან გამკლავების უნარი არ შესწევდათ, ვერც 1783 წლის ტრაქტატმა უშველა მათ, სამუდამოდ ჩაესვენა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის მზე, ისტორიულმა აუცილებლობამ 1801 წელი შვა — აღმოსავლეთი საქართველო რუსეთს შეუერთდა.

მალე ამავე გზას დაადგნენ დასავლეთ საქართველოს სამეფო-სამთავროები; საქართველოს რუსეთთან შეერთება დიდი პროგრესული მნიშვნელობის აქტი იყო. ქართველი ხალხი მას აღფრთო-

---

1 ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, „ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის შრომები“, 1, თბ., 1955 წ., გვ. 469.

ვანებით შეხვდა.[1] მთელი შემდგომი ხანის განვითარებამ ბრწყინვალედ დაადასტურა ქართველი პროგრესისტების მიერ არჩეული გზის სისწორე...

XIX საუკუნეში თვითმპყრობელური რუსეთი საქართველოამიერკავკასიასა და საერთოდ აღმოსავლეთში პროგრესულ როლს ასრულებდა.[2] პროგრესული საქმის განსახორციელებლად მოწოდებულ რუსეთთან დაკავშირებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს შემდგომი სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური განვითარებისათვის.

რუსეთთან შეერთებამ ბიძგი მისცა საქართველოში მწარმოებლური ძალების ზრდას, ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაქსაქსული ქვეყანა გაერთიანდა და ბურჟუაზიული განვითარების გზას დაადგა.

რუსეთთან საქართველოს შეერთება საერთაშორისო თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობის მოვლენა იყო. ამ აქტმა საბოლოოდ ჩაშალა საქართველოს საუკუნოვანი მტრების (ოსმალეთი, ირანი) დამპყრობლური ზრახვები. ამიერიდან ბოლო მოეღო ჩვენს ქვეყანაში აღმოსავლეთის ამ აგრესიულ სახელმწიფოთა გამანადგურებელ შემოსევებს, მთიელ აბრაგთა თარეშებს და შეიქმნა მშვიდობიანი განვითარების პირობები.

რუსეთთან საქართველოს შეერთებამ განამტკიცა ქართველი და რუსი ხალხის კავშირი შინაური და გარეშე მტრების წინააღმდეგ მათს ერთობლივ ბრძოლაში.

ქართველმა ხალხმაც ღირსეული წვლილი შეიტანა იმ დიდ რევოლუციურ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში, რომელიც რეფორმამდელი ხანის რუსეთში მიმდინარეობდა დრომოჭმული ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების დანგრევისა და ბურჟუაზიული ურთიერთობის დასამყარებლად.

რუსეთის პროგრესულმა ძალებმა ამ დიდ განმათავისუფლებელ ომში სძლიეს „სამხედრო-ფეოდალურ“ ჩამორჩენილობას. 1861 წლის 19 თებერვალს აღესრულა კიდეც ბატონყმური რუსეთი და წინ წამოდგა აღმავალი ბურჟუაზიის ქვეყანა. კაპიტალიზმის ხანაში ჩამოყალიბდა მსოფლიოში ყველაზე უფრო რევოლუციური რუსეთის პროლეტარიატი, რომლის „სახითაც ჩვენი ქვეყნის ყველა ეროვნების მშრომელებმა ისტორიაში პირველად პოვეს საიმედო

---

1 ა. გ. ჭავჭავაძე, საქართველოს 1800—1831 წწ. მდგომარეობის მოკლე ისტორიული ნარკვევი, ნაწერების სრული კრებული ი. გრიშაშვილის რედაქციით, თბ., 1940 წ., გვ. 343-344.

2 К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XXI, стр. 211.

ხელმძღვანელი იმ ბრძოლაში, რომელსაც ისინი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის მოსპობისათვის ეწეოდნენ".[1]

XIX საუკუნის დამლევს რუსეთის კაპიტალიზმი თავისი განვითარების უმაღლეს სტადიაში შევიდა და მალე გადაიქცა იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობათა საკვანძო პუნქტად. ამ წინააღმდეგობათა გადასაჭრელად ქვეყანაში მოწოდებული აღმოჩნდა მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი. ამიერიდან რუსეთი იქცა მსოფლიო რევოლუციური მოძრაობის ცენტრად.

მალე 900-იანი წლების რევოლუციურმა ქარტეხილმაც დაიგრიალა და ელვის სისწრაფით მოედო მთელს იმპერიას. საუკუნოვანი ტანჯვა-ვაებით სულშეხუთული ხალხი ბრძოლად ადგა და „ცარიზმს — ხალხთა საპყრობილეს",[2] „მთელი ევროპის (და აგრეთვე აზიის) რეაქციის მძლავრ ციხე-სიმაგრეს"[3] შეება. 1905—1907 წლებში რევოლუციურმა რუსეთმა თუმცა ვერ აისრულა სანუკვარი წადილი, მაგრამ პირველ წარუმატებლობას არ გაუტეხია დღითი დღე მზარდი რუსეთის პროლეტარიატი. თვითმპყრობელობის, „პურიშკევიჩების, გუჩკოვებისა" და სტრუვეების"[4] რუსეთის დღე დათვლილი იყო. განმათავისუფლებელ 1917-საც არ შემოგვიანებია, თებერვალში დაემხო თვითმპყრობელობა, დიდმა ოქტომბერმა—კი საბოლოოდ დალეწა „ხალხთა საპყრობილის" საშინელებანი და რუსეთის მშრომელებს ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება დაუმკვიდრა. ოქტომბრის მზემ თებერვალში საქართველოსაც გაუთენა. მიზანგამართლებული ქართველი ერი ახალი ცხოვრების მშენებლობის ფერხულში ჩაება. მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნული ხელმძღვანელობით ქართველმა ხალხმა ჩვენი დიადი სამშობლოს ყველა მშრომელთან ერთად მსოფლიო-ისტორიული გამარჯვებები მოიპოვა; აამენა სოციალიზმი და წარმატებით აშენებს კომუნიზმს.

ისტორიის შემოქმედის — ხალხის მასების — როლის წარმოჩენისა და წარსულის ნამდვილი მეცნიერული გაშუქებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს გლეხთა მოძრაობის მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შესწავლას. ქართველი

---

1 თეზისები რუსეთთან უკრაინის შეერთების 300 წლისთავის შესახებ, სახელგამი, 1954 წ., გვ. 16.

2 И. В. Сталин, А. А. Жданов, С. М. Киров, Замечания по поводу конспекта по истории СССР, сборник «К изучению Истории», 1945 г., стр. 21.

3 ი. ბ. სტალინი, ფ. ენგელსის სტატიის გამო — „რუსეთის ცარიზმის საგარეო პოლიტიკა", „ბოლშევიკი", 1941 წ., № 11, გვ. 6.

4 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 20, გამოც., IV, გვ. 121.

გლეხობა არა ერთხელ აჯანყებულა არსებული სოციალ-პოლიტიკური უკუღმართობის წინააღმდეგ. გლეხთა მოძრაობა საქართველოში განსაკუთრებით გაძლიერდა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ პერიოდში „ქართველი გლეხობა,— როგორც სამართლიანად შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — იბრძოდა იმ შევიწროებათა წინააღმდეგ ახალი ხელისუფლების (თვითმპყრობელობა — ი. ს.) დამყარებას რომ შემოყვა ჩვენში, იბრძოდა იმ უჩვეულო და მძიმე ბეგარა-გადასახადების წინააღმდეგ, ახალმა ხელისუფლებამ რომ დააკისრა მას.“1

საქართველოს ამ პერიოდის გლეხთა მოძრაობა არ წარმოადგენდა განკერძოებულ ისტორიულ მოვლენას. იგი XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიაში მიმდინარე რევოლუციურ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ნაწილს შეადგენდა. დახავსებული ფეოდალურ-ბატონყმური ურთიერთობის ერთგული დამცველის—მეფის თვითმპყრობელობის რეაქციული პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული საქართველოს გლეხთა აჯანყებანი პროგრესული ხასიათის მოძრაობა იყო.

თავადურ-ბატონყმურ საქართველოში აბსოლუტური მონარქია პროგრესულ საქმეს აკეთებდა, ბოლოს უღებდა ქართულ სოციალ-ეკონომიურ ჩამორჩენილობას და აქ საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით უფრო მაღალი საფეხურის — პომეშჩიკურ-ბატონყმური სისტემის დამკვიდრებას ლამობდა. ამ საქმეს შეალია მან თითქმის ნახევარი საუკუნე, გამარჯვებაც მოიპოვა, მაგრამ საკუთრივ რუსეთში თვითმპყრობელობის სათაყვანებელი წყობილება უკვე დიდი ხანია ზრდადასრულებული და გაკოტრებული იყო. ამაში მალე დარწმუნდა თვით რუსეთის აბსოლუტიზმი და კარზე მომდგარ რევოლუციურ გადატრიალებას რეფორმისტული გზით სვლა არჩია. ამ საქმეში დიდი როლი შეასრულა რუსი და იმპერიის სხვა ეროვნებათა ჩაგრული ხალხების მოძრაობამ, მათ შორის ქართველ გლეხთა აჯანყებებმა, კერძოდ კი გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებამ.

ამ საყურადღებო ისტორიულ მოვლენას არა ერთი მკვლევარი შეხებია, ზოგი სპეციალურად, ზოგიც სხვათაშორის, მაგრამ იგი დღემდე მაინც არ არის სათანადოდ შესწავლილი.

რევოლუციამდელ ისტორიოგრაფიაში გურიის გლეხთა აჯანყება განხილული აქვს ვ. ჩუდინოვს. მისი ნარკვევი „Восстание

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 470.

турийцев 1841 года» გამოქვეყნდა 1890 წელს «Кавказский сборник»-ის XIV ტომში.

ვ. ჩუდინოვი ამ მოვლენას ტენდენციურად აშუქებს. იგი ვერ წვდება სახალხო მოძრაობის შინაგან არსს. მეფის ისტორიკოსის ყურადღების ცენტრშია აჯანყების სამხედრო-სტრატეგიული მხარე. აღნიშნული ნაშრომის ძირითად შინაარსს მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა და აჯანყების ჩამქრობი ექსპედიციის სამხედრო მოქმედებათა მეტ-ნაკლები დაწვრილებითი აღწერა შეადგენს.

ვ. ჩუდინოვი ცდილობს უჩვენოს, რომ აჯანყება თითქოს გაუგებრობის ნიადაგზე იყო წარმოშობილი. იგი ამართლებს მთავრობის პოლიტიკას, სავსებით „კანონიერ“ და „ნორმალურ“ მოვლენად თვლის ახალი ფულადი გადასახადის შემოღებას. მისი აზრით, ამ ღონისძიებას არ შეიძლება ხალხი არ დამორჩილებოდა, რომ ისინი მთავრობისადმი მტრულად განწყობილ პირთაგან არ ყოფილიყვნენ ჩაგონებულნი მეფის ხელისუფლების მიერ გადასახადების უკანონოდ გაწერასა და გადიდებაში.

მართალია, ჩუდინოვი გვერდს უვლის სინამდვილეს, ჩქმალავს მას, მაგრამ ზოგჯერ იგი ფაქტების ძალით იძულებულია აღიაროს სიმართლეც. მის ნაშრომში მოიპოვება საკმაოდ მნიშვნელოვანი კონკრეტულ-ისტორიული მასალები, რომელთა ნაწილი მხოლოდ ამ გამოკვლევის წყალობით შემოგვენახა, ამაში მდგომარეობს ძირითადად ჩუდინოვის ნარკვევის მნიშვნელობა.

გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას გაკვრით შეეხო ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე დიმიტრი ყიფიანი. თავის „მემუარებში“ ავტორი აღნიშნული აჯანყების ორ მთავარ და არსებით მიზეზად ასახელებს ფულადი გადასახადის შემოღებას და კარტოფილის მოყვანის ღონისძიებას. ამასთან ერთად აჯანყების ფესვებს ეძებს გურულების ფიცხ ხასიათში.[1]

დასახელებულ მოტივთა შორის პირველი მართლაც იყო აჯანყების ერთ-ერთი უშუალო მიზეზი. ყურადღების გარეშე არც მეორე შეიძლება იქნას დატოვებული. ეტყობა, მთავრობის მიერ გურიაში კარტოფილის კულტურის დასანერგავად მიღებულ ღონისძიებას ხალხის უკმაყოფილება გამოუწვევია. და ეს უფრო გასაგები გახდება, თუ გავითვალისწინებთ ამ პერიოდში (1841—1843 წ. წ.) რუსეთის შიდა გუბერნიებში (ვიატკა, ურალი, ვოლგისპირეთი) „კარტოფილის აჯანყებების“ (Картофельные бунты:) სახელით ცნო-

1 დ. ყიფიანი, მემუარები, ს. ხუნდაძის რედ. თბ., 1930 წ., გვ. 24.

ბილ გლეხთა მოძრაობას.[1] ირკვევა, რომ გურიის სინამდვილეში, კარტოფილის დანერგვის ცდას არ უთამაშნია ისეთი როლი, როგორც ამას რუსეთის გლეხთა აჯანყებებში ჰქონდა ადგილი. გურიის გლეხთა აჯანყებაში განსაკუთრებით მწვავედ იდგა ფულადი გადასახადის საკითხი, კარტოფილზე კი გლეხთა საჩივრებში არაფერია ნათქვამი. ამის გამო მისი დასახელება აჯანყების არსებით მიზეზებს შორის უმართებულოდ გვეჩვენება. მაგრამ იგი შეიძლება მოვათავსოთ აჯანყების უფრო მცირე მნიშვნელობის მიზეზთა შორის, რომელთა ერთობლიობამ ხელი შეუწყო აჯანყების წარმოშობას გურიაში.

არ არის სწორი აგრეთვე აჯანყების მიზეზების ძიება ხალხის ფსიქოლოგიურ თავისებურებაში, როგორც ამას დ. ყიფიანი ჩადის.

ამ საკითხს ბურჟუაზიული ხანის ზოგიერთი სხვა მკვლევარიც ეხება, მაგრამ ყველა მათგანის განხილვას ჩვენ აქ არ გამოვუდგებით.[2]

გურიის გლეხთა აჯანყება მხატვრულ ლიტერატურაშიც აისახა. ამ თემაზე ისტორიული რომანი შექმნა სახელოვანმა ქართველმა მწერალმა ეგ. ნინოშვილმა. მისი „ჯანყი გურიაში“ ქართული სიტყვაკაზმული მწერლობის ერთ-ერთი საუკეთესო თხზულებაა. ეს რომანი დაწერილია 1888-1889 წლებში. იგი ავტორს თავის სიცოცხლეში არ გამოუცია, რადგან, როგორც ჩანს, თვით არ იყო კმაყოფილი თავისი ნაწარმოებით და მის შესწორებას აპირებდა. სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე მწერალი დაბეჯითებით ეძიებდა მასალებს, რათა გაეგო **„ნამდვილი მიზეზი (მოტივი) ამ აჯანყებისა,“**[3] მაგრამ გულისწადილის განხორციელება „უღვთო სიკვდილმა“ არ დააცალა.

საბჭოთა პერიოდში ისტორიის კვლევა-ძიება ნამდვილ მეცნიერულ ნიადაგზე დადგა. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა გლეხთა მოძრაობის ისტორიის შესწავლას.

---

1 С. В. Токарев, Крестьянские картофельные бунты, Киров, 1939 г., Я. И. Линков, Очерки истории Крестьянского движения в России в 1825 — 1861 г.г., Москва, 1952 г.

2 ასეთია. მაგ., „Л. Исарлов, Краткий очерк гражданского управления в Закавказском крае, со времени присоединения Грузии к России и возмущение в Гурии вслед за преобразованием гражданской части 1840 г., газ., «Кавказ», 1875 г., № 109; С. Авалиани, Крестьянский вопрос в Закавказье, т. I, Одесса, 1912 г. стр. 162—164.

3 ექ. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 6, ნაკვ. 1, თბ., 1952 წ., გვ. 62. (ხაზი ჩვენია — ი. ს.).

საბჭოთა ისტორიკოსებიდან პირველად ეს საკითხი მოკლედ განიხილა ფ. მახარაძემ ნაშრომში — „საქართველო XIX საუკუნეში.“

ფ. მახარაძის მტკიცებით: „აჯანყების **დასაწყისში** თავადაზნაურობა და გლეხობა, თითქოს ერთიანი ფრონტით გამოდიოდა რუსეთის ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ აჯანყების **განვითარების უმალვე განხეთქილება მოხდა** თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის. გლეხები ომს უცხადებენ უკვე არა რუსეთის ხელისუფლებას, არამედ ფეოდალიზმს, ბატონყმობას“.[1]

ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ჯერ ერთი, მოძრაობის დასაწყისში თავადაზნაურობას არ გადაუდგამს ასეთი ნაბიჯი. გაბატონებული კლასის წარმომადგენლებს ბრძოლის ველზე ვხედავთ უფრო მოგვიანებით, მასიურად კი ისინი მოძრაობაში ებმებიან მძლავრი აღმავლობის პერიოდში (აგვისტო). ამის გამო გამორიცხულია შესაძლებლობა აჯანყების დასაწყისში თავადაზნაურობასა და გლეხობას შორის რაიმე „საერთო ფრონტის“ არსებობის შესახებ. მეორეც, არც ის არის მართალი, რომ თითქოს „აჯანყების განვითარების უმალ“ გლეხთა ბრძოლას შეეცვალოს მიმართულება. შეიძლება გაბედულად ითქვას, რომ სტიქიურად ამხედრებული და სათანადო ხელმძღვანელს (ამ შემთხვევაში ბურჟუაზია) მოკლებული გურიის გლეხობა ბატონყმობის გაუქმების მოთხოვნამდე არ ამაღლებულა. გადამწყვეტ მომენტში უხელმძღვანელოდ დარჩენილი გლეხობის სათავეში თავადაზნაურობა მოექცა. ეს უკანასკნელი კი ამ საქმისათვის მოწოდებული არ იყო.

ისტორიული ფაქტების აშკარა მიჩქმალვის საფუძველზეა აგებული მტკიცება, თითქოს აჯანყების განვითარების გარკვეულ ეტაპზე თავადაზნაურობა სრულიად ჩამოსცილდა გლეხთა მოძრაობას. მართალია, მოძრაობის დაღმავლობის პერიოდში ზოგიერთი თავადი და აზნაური გავიდა აჯანყებულთა ბანაკიდან, მაგრამ აჯანყების ძირითად „ხელმძღვანელ“ ძალად თავადაზნაურობა მაინც ბოლომდე დარჩა (ა. შალიკაშვილი, ა. ბოლქვაძე, ქ. გუგუნავა და სხვ.).

ფ. მახარაძის აზრით გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყება უმთავრესად ადგილობრივ მებატონეთა წინააღმდეგ იყო მიმართუ-

---

[1] Труды первой всесоюзной конференции историков-марксистов, т. I, М., 1931 г., стр. 487. (ხაზი ჩვენია — ი. ს.).

ლი,[1] მაგრამ ამ დებულებას ავტორი დამაჯერებელს ვერ ხდის, რადგან გლეხთა ანტიფეოდალური აჯანყება ფეოდალთა წინააღმდეგ-ლობით ყოვლად წარმოუდგენელია.

ამ აჯანყების მონოგრაფიული შესწავლა სცადა საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფ. გ. ვ. ხაჭაპურიძემ. 1931 წელს გამოქვეყნდა ქართულ და რუსულ ენებზე მისი ნაშრომი „გურიის აჯანყება 1841 წელს“.

აკად. გ. ხაჭაპურიძემ თავის დროზე უდავოდ სერიოზული მეცნიერული მუშაობა გასწია ამ საყურადღებო პრობლემის რიგიანი გაშუქებისათვის; გამოავლინა მნიშვნელოვანი საარქივო მასალები და რიგ შემთხვევებში მათი სწორი ანალიზიც მოგვცა.

მაგრამ ეს ნაშრომი საბჭოთა ისტორიული მეცნიერების განვითარების თანამედროვე ეტაპზე უკვე ვეღარ პასუხობს წაყენებულ მოთხოვნებს, იგი მოძველებულია. წიგნში ადგილი აქვს ე. წ. პოკროვსკის სკოლის ანტიმეცნიერულ შეხედულებათა გაზიარებას „სავაჭრო კაპიტალის“ როლის, გლეხთა აჯანყების შეფასებისა და სხვა საკითხებში.

აკად. გ. ხაჭაპურიძე გლეხთა აჯანყებას განიხილავს არა როგორც საუკუნოვანი ტანჯვით გაწამებული ბნელი მასის სტიქიურ გამოსვლას, არამედ როგორც შეგნებულ ძალთა ორგანიზებულ მოძრაობას. მისი მტკიცებით „გურიის გლეხობის აჯანყებას სტიქიური ხასიათი არ ჰქონია.“[2]

აკად. გ. ხაჭაპურიძემ ვერ გვიჩვენა აჯანყებამდელი ხანის გურიის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის ნამდვილი სურათი. აქედან მიღებული დასკვნებიდან კი, როგორც ცნობილია, დიდად არის დამოკიდებული აჯანყების ძირითადი საკითხების სწორი თუ მცდარი გადაწყვეტა. რადგან მკვლევარი 30-იანი წლების გურიის სინამდვილეში სასურველ ცნობებს ვერ პოულობს, აჯანყების წინა პერიოდის დასახასიათებლად უხვად მიმართავს გვიანდელი ხანის მონაცემებს, ზოგჯერ 60-იანი წლების ცნობებსაც კი, რაც ამ შემთხვევაში გაუმართლებელია.

---

[1] Ф. Махарадзе, Грузия в XIX столетии, Тб., 1933 г., стр. 32. აგრეთვე მისივე, ეგნატე ნინოშვილის დრო, ცხოვრება და შემოქმედება, „პროლეტარული მწერლობა,“ 1930 წ., № 2-3.

[2] გ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბ., 1931 წ., გვ. 71.

აკად. გ. ხაჭაპურიძის მონაცემების მიხედვით ახლით ფეხმძიმე გურია აჯანყების წინ უკვე მშობიარობის ტკივილებს განიცდის. საეჭვოა, დაცაა უნდა კიდეც იშვას ეს ახალი, და იგი ამ დროს სხვა რა შეიძ-ლება იყოს, თუ არა კაპიტალიზმი. ამ საქმეში ავტორი უაღრესად დიდ როლს აკუთვნებს „სავაჭრო კაპიტალს", რომელიც მისი სიტ-ყვით „აროვევდა ფეოდალიზმს".[1] ძველის როვევისა და ახლის დად-გინების პროცესში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა, დღის წეს-რიგში დგება აჯანყება, რომელიც ბატონყმობის დამხობას ისახავს მიზნად. ასეთია მისი შეხედულება. მაგრამ გურიის 30-იანი წლების სინამდვილე ასეთი დასკვნის გამოტანის საშუალებას არ იძლევა. აჯანყებამდელი ხანის გურიის სოციალურ-ეკონომიური ცხოვრების სფეროში მართლაც ჰქონდა ადგილი ერთგვარ ძვრებს, მზადდებო-და ნიადაგი ახლის წარმოსაშობად, ვითარდებოდა სასაქონლო წარ-მოება, მაგრამ ამ უკანასკნელის გაიგივება კაპიტალიზმთან დაუშვე-ბელია. საყოველთაოდ ცნობლია, რომ სასაქონლო წარმოებას არ ძალუძს კაპიტალიზმის წარმოშობა, „მან მხოლოდ მოამზადა ზოგი-ერთი პირობა კაპიტალისტური წარმოებისათვის".[2]

მკვლევარი გურიის სინამდვილეზე ავრცელებს საქართველო-ამიერკავკასიის ზოგიერთი შედარებით დაწინაურებული მხარისათ-ვის დამახასიათებელ მოვლენას. ასე მაგ., 1840 წლის ფინანსურ რეფორმას აკად. გ. ხაჭაპურიძე ამიერკავკასიაში ფულადი ურთი-ერთობის განვითარებით შეპირობებულ ღონისძიებად მიიჩნევს. საქართველო-ამიერკავკასიის ზოგიერთი ოლქის ეკონომიური განვი-თარებისათვის მართლაც ამ სწორი დებულების გავრცელება გუ-რიის მიმართ უმართებულოდ მიგვაჩნია. გურიის სპეციფიურო-ბაც იმაში უნდა ვეძიოთ, რომ აქ ფულად გადასახადზე გადასვლი-სათვის სათანადო საფუძვლები ჯერ კიდევ არ არსებობდა. ასეთი გადასვლის სიძნელეზე კ. მარქსი წერდა: „...გადაქცევა პროდუქტე-ბის ფორმაში მოცემული რენტისა ფულად რენტად გ ულ ის-ხ მ ობ ს ვ აჭ რ ობ ის, ს ა ქ ალ აქ ო მ რ ე წ ვ ე ლ ობ ის, ს ა ზ ო-გ ა დ ო დ ს ა ქ ო ნ ლ ის წ ა რ მ ო ე ბ ის დ ა მ ა ს თ ან ე რ თ ად ფ უ ლ ა დ ი მ ი მ ო ქ ც ე ვ ის მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ვ ან გ ა ნ ვ ი თ ა რ ე-ბ ას."[3]

---

1 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 10.
2 ი. ბ. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, 1952 წ., გვ. 17.
3 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. III, 1934 წ., გვ. 316. (ხაზი ჩვენია — ი. ს.).

გურიაში სასაქონლო-ფულადი ურთიერთობის სუსტად განვითარებით აიხსნება ის გარემოება, რომ აღნიშნული ღონისძიება აჯანყების ერთ-ერთი არსებითი მიზეზი გახდა.

სამწუხაროდ, აკად. გ. ხაჭაპურიძე ვერც აჯანყების ძირითად საკითხებს აშუქებს სწორად. იგი არ იძლევა აჯანყებაში სხვადასხვა სოციალური ძალების მონაწილეობის მარქსისტულ-ლენინურ შეფასებას. ჩანს, მკვლევარს მხედველობიდან გამორჩა ვ. ი. ლენინის სახელმძღვანელო მითითება. „საერთო ნაციონალური რევოლუციის“ ცნება მარქსისტს იმაზე უნდა მიუთითებდეს, — გვასწავლის ვ. ი. ლენინი, — რომ აუცილებელია ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა კლასის იმ სხვადასხვა ინტერესთა ზუსტი ანალიზი, რომლებიც ერთმანეთს ხვდება ზოგიერთი განსაზღვრული, შეზღუდული საერთო ამოცანების ნიადაგზე. არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ამ ცნების გამოყენება იმისათვის, რომ ვ ა ფ უ ჩ ე ჩ ე ბ დ ე თ, ვჩრდილავდეთ კლასობრივი ბრძოლის შესწავლას ამა თუ იმ რევოლუციის მიმდინარეობის დროს“.[1]

ვ. ი. ლენინის ამ გენიალური დებულების საფუძველზე ნათელი ხდება გურიის აჯანყების მონაწილე სოციალურ ძალთა ინტერესების საკითხი. მოტანილი ამონაწერი მიგვითითებს მაზე, რომ მკვლევარმა აუცილებლად უნდა ნათელყოს აჯანყების მონაწილე სხვადასხვა სოციალური ფენის ინტერესთა სხვადასხვაობის არსი და ამასთანავე ყურადღების გარეშე არ შეიძლება დაგვრჩეს ის ფაქტი, რომ საკუთარი სოციალური ინტერესების განხორციელებისათვის სწრაფვა შესაძლებელს ხდიდა საერთო ამოცანების ნიადაგზე აჯანყებაში მონაწილე სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შეთანხმებას. მაგრამ ამან, რა თქმა უნდა, გავლენა არ უნდა იქონიოს აჯანყებაში კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი სურათის ჩვენებაზე, აუცილებლად უნდა გაიხაზოს, რომ ეს **საერთო ინტერესები იყო შეზღუდული** და ამ ნიადაგზე მომხდარი **კლასთა დროებითი შეთანხმება არ შეიძლებოდა ყოფილიყო მტკიცე, რადგან აჯანყების მონაწილე სხვადასხვა სოციალურ ძალებს სთიშავდა კლასობრივი ანტაგონიზმი.** „კლასობრივი ბრძოლა ექსპლოატატორებსა და ექსპლოატირებულებს შორის შეადგენს ფეოდალური წყობილების ძირითად ნიშანს“.[2]

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გამოც. IV, გვ. 498.

2 ი. ბ. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, სახელგამი, 1954 წ., გვ. 35.



К 64.926
3

აკად. გ. ხაჭაპურიძის მიხედვით აჯანყება გლეხებმა თავადაზნაურთა წაქეზებით წამოიწყეს. ადგილობრივი ფეოდალები ერთხანს მხოლოდ წამქეზებლის როლს ასრულებდნენ. მოძრაობის გაფართოების შემდეგ კი ისინი აჯანყებაში ჩაებენ და „საკუთარი სოციალური ინტერესებისათვის სურდათ გამოეყენებინათ იგი. ასე იქცა გურიის გლეხთა აჯანყება „საყოველთაო“ მოძრაობად. მაგრამ ეს „საყოველთაო აჯანყება“ დიდხანს როდი გაგრძელდა. გაბატონებულ კლასთა (Sic) და ყმა-გლეხების ინტერესები ერთმანეთს მალე დაშორდენ. გლეხები ბოლომდე განაგრძობენ გურიიდან რუსთა განსადევნად ბრძოლას (Sic) ...ამასთან ერთად გლეხები აყენებენ ამაზე არა ნაკლებ მნიშვნელოვან ამოცანას — ბატონყმობის უღლის გადაგდებას, შინაური კლასობრივი მტრებისაგან, მებატონეთაგან განთავისუფლების საკითხს“.[1] ეს კი თავადაზნაურობას ჭკუაში აღარ დაუჯდა. ფეოდალებმა ახლა შეიგნეს „თუ რას უქადოდა მათ აჯანყება“, „უღალატეს გლეხთა საქმეს“ და მოწინააღმდეგის ბანაკში გადაბარგდნენ. აჯანყების ჩაქრობაში აქტიური მონაწილეობით მათ შეძლეს „თავიანთი პირვანდელი შეცოდების“ გამოსყიდვა და „ერთგული სამსახურით“ მეფის წყალობა დაიმსახურეს.[2]

ასეთია აკად. გ. ხაჭაპურიძის ლოგიკა. მაგრამ იგი სინამდვილეს არ შეეფერება — ხელოვნურია.

ჯერ ერთი, არ არის მართალი, თითქოს გლეხები თავადაზნაურთა წაქეზებით აჯანყებულიყვნენ. ასეთი აზრი თავის დროზე მეფის მოხელეებმა შეთითხნეს. მძიმე მდგომარეობით სულშეხუთულ გლეხობას აჯანყებისათვის არავითარი წაქეზება არ სჭირდებოდა, ისინი თვითონ აჯანყდნენ.

მეორე, სრულიად მცდარია და აჯანყებულთა მიმართ აშკარა ცილისწამებას წარმოადგენს მტკიცება, თითქოს გლეხები მიზნად ისახავდნენ გურიიდან რუსთა განდევნას. ეს შეცდომა ავტორს ოფიციალური მასალებისადმი არასათანადო კრიტიკული დამოკიდებულების შედეგად მოსდის.

სინამდვილეში გლეხები აჯანყდნენ (და ჯანყდებოდნენ) არა რუსთა გასადევნად, არამედ თავიანთი აუტანელი მდგომარეობის შემსუბუქების მიზნით. ისინი მშვიდობიანი მოლაპარაკებით ცდილობდნენ საქმის გათავებას, ახალი გადასახადის გაუქმებას და სხვა

1 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 32-33.
2 იქვე, გვ. 33.

მიზნების განხორციელებას. ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტი, როდესაც გლეხებმა ადგილობრივ ადმინისტრაციასთან ვერაფერი გააწყვეს, მათ გადაწყვიტეს იმპერატორთან მამასახლისთა დელეგაციის გაგზავნა და სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი ამბობდნენ: „ნუთუ არავინ შევა ჩვენს მდგომარეობაში“.[1]

აქედან ნათლად ჩანს, რომ გლეხებს რუსეთის იმპერატორის იმედი ჰქონდათ და მისგან მოელოდნენ შველას. გლეხები იმედოვნებდნენ, რომ ხელმწიფე-იმპერატორი შევიდოდა მათ მდგომარეობაში და გაათავისუფლებდა ახალი გადასახადისაგან.

გლეხთა ასეთი რწმენის შესახებ ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „გლეხები ისე გაიტანჯნენ ყოველგვარი ძარცვა-გლეჯით, ჩაგვრით და წამებით, რომ არ შეეძლოთ თუნდაც ერთი წუთითაც არ დაეჯერებინათ ბნელი ხმები მ ე ფ ი ს მ ო წ ყ ა ლ ე ბ ი ს შესახებ.“[2]

მესამე, აკად. გ. ხაჭაპურიძის მტკიცებით 1841 წელს გურიაში გლეხებს მწვავედ დაუყენებიათ ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლების საკითხი. ერთადერთი „წყარო“, რომელშიც სათავეს იღებს პატივცემული მკვლევარის შეხედულება, ეს არის ისტორიული რომანი „ჯანყი გურიაში“. მართალია, ამ თხზულებაში ზოგიერთი საკითხი ისტორიული სინამდვილის ზედმიწევნით სწორი შეცნობის საფუძველზეა აგებული, მაგრამ მხატვრული ნაწარმოები ძირითადი ისტორიული წყაროს მაგივრობას მაინც ვერ გასწევს. ისე როგორც მთელს წინამორბედ აჯანყებათა სერიაში, არც 1841 წლის გლეხთა აჯანყების დროს არსებული წესწყობილების ყოფნა-არყოფნის საკითხი არ დასმულა. აკად. ნ. ბერძენიშვილის საბუთიერი განცხადებით, „ამ ბოლომოულელელ აჯანყებებში (იგულისხმება XIX ს. პირველი მეოთხედის აჯანყებები — **ი. ს.**) ერთი სიტყვაც ისეთი არ თქმულა, რომელიც გლეხთა სოციალურ საკითხს ითვალისწინებდეს, ბატონყმობისაგან მათ განთავისუფლებას მოითხოვდეს. მთელ ამ აჯანყებათა სიგრძეზე არ ჩანს არც ერთი ვინმე, რომელიც გლეხთა სოციალურ მიზნებს გამოთქვამდეს. არც ერთ აჯანყებას საკითხიც კი ასეთი არ დაუსვამს.“[3]

მიუხედავად იმისა, რომ წინახანის აჯანყებებთან შედარებით 1841 წელს გურული გლეხები უფრო მეტად იმაღლებდნენ ხმას ადგილობრივ მებატონეთა წინააღმდეგ, ამ აჯანყებაში ჯერ კიდევ

---

[1] В. Чудинов, Возстание гурийцев 1841 года, стр. 240. Сельское хозяйство и аграрное отношение, т. I, Тб., 1937 г., сост. П. Гугушвили, стр. 618.

2 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 6, გამოც. IV, გვ. 529. (ხაზი ჩვენია — **ი. ს.**).

3 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 473.

არ ჩანდა სოციალური ბრძოლის ისეთი სიღრმე და გაქანება, რომელიც ახასიათებდა სამეგრელოს გლეხთა აჯანყებას.

მეოთხე, გაბატონებული წოდების ნაწილი დასასრულს მართლაც ჩამოსცილდა აჯანყებას და მეფის ჯარებს შეუერთდა. მაგრამ ეს იმის გამო სრულიადაც არ მომხდარა, რასაც გ. ხაჭაპურიძე ფიქრობს. თავადაზნაურებს აჯანყებულთა ბანაკი დაატოვებინა უმთავრესად არა გლეხთა ანტიბატონყმურმა განწყობილებამ, არამედ აჯანყების დამარცხების კარზემომდგარმა საფრთხემ და ასე მოიქცნენ არა მარტო თავადაზნაურთა, არამედ სხვა სოციალური ფენების წარმომადგენლებიც. მათ შორის გამონაკლისი არ ყოფილა გლეხობა. ბევრმა გლეხმა მიატოვა ბრძოლის ველი და სახლს მიაშურა, ზოგიერთი მოწინააღმდეგის ბანაკშიც აღმოჩნდა. ყველა ესენი იყვნენ „ის მერყევი ელემენტები, რომლებიც, — კ. მარქსის თქმით, — მუდამ ძლიერ ტალღას მისდევენ და მუდამ საიმედო მხარეს დგებიან“.[1]

დასასრულ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დამახასიათებელი გარემოება. აკად. გ. ხაჭაპურიძე ფაქტებისადმი ძლიერ „თავისუფალ“ დამოკიდებულებას იჩენს და ნებისმიერად განმარტავს მათ. ასე მაგ., ავტორი აჯანყების წინამძღოლ აზნაურს (ქ. გუგუნავა, ა. ბოლქვაძე) ან თავადს (ა. შალიკაშვილი) ან გლეხად აცხადებს, ან სრულიად გამორიცხავს აჯანყებიდან (დ. გუგუნავა), ხოლო მოღალატე გლეხს ააზნაურებს (გლ. ძნელაძე). ეს გარემოება უნდა ჰქონოდა მხედველობაში აკად. ნ. ბერძენიშვილს, როდესაც პროფ. ა. კიკვიძეს უსაყვედურებდა ფაქტებთან „თავისუფალ“ დამოკიდებულებას და აღნიშნავდა: „ფაქტებთან ასეთი „თავისუფალი“ დამოკიდებულების ხაზით ჩვენს ისტორიკოსებს შორის ზოგიერთი მიამიტი კიდევ უფრო შორს მიდის... თუ ვინმე გლეხური, მისი აზრით, აჯანყების წინამძღოლი, მისდა საოცრად, აზნაურთაგანი აღმოჩნდა, ეს ისტორიკოსი მოვლენის ორთოდოქსალურ-მეცნიერულად გამართულობის მიზნით, ასეთ უსიამოვნო წინამძღოლს გლეხად აცხადებს, ხოლო თუ ამავე (ე. ი. გლეხური) აჯანყების მოღალატე ვინმე გლეხთაგანი აღმოჩნდა, მას უმალვე აზნაურთა წოდებაში აიყვანს...“[2]

აღნიშნულს გარდა აკად. გ. ხაჭაპურიძის ნაშრომს სხვა ნაკლოვანებებიც გააჩნია, მაგრამ ყველა მათი განხილვა აქ ძლიერ შორს

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 229.
2 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 472.

წაგვიყვანდა, ქვემოთ კი, გზადაგზა მითითებული იქნება ზოგიერთი მათგანი.

გურიის გლეხთა 1841 წლის აჯანყებას მნიშვნელოვან ადგილს უთმობს თავის „საქართველოს ისტორიაში“ პროფ. ან. კიკვიძე. ეს წიგნი ავტორის ხანგრძლივი მუშაობის შედეგია. მასში ქრონოლოგიური თანმიმდევრობით არის გადმოცემული საქართველოს XIX საუკუნის რთული და მეტად მრავალფეროვანი ისტორია. პროფ. ან. კიკვიძეს, რასაკვირველია, არ შეეძლო მის ნაშრომში წარმოდგენილი ყველა საკითხი სათანადო სიღრმით შეესწავლა. კერძოდ, ეს ითქმის 1841 წლის აჯანყების შესახებ. ამ მოვლენის გაშუქებისას იგი არსებულ ისტორიულ ლიტერატურას ემყარება, რის გამო პროფ. ან. კიკვიძესაც ძირითადად ისეთივე შეცდომები გააჩნია, რაც უკვე განხილულ ნაშრომებში შეინიშნება, ზოგიერთ შემთხვევაში კი ავტორი ამ მხრივ ორიგინალობასაც იჩენს.

თუ აკად. გ. ხაჭაპურიძემ აჯანყების აქტიური მონაწილე თავადაზნაურები გაგლეხებული სახით მაინც დატოვა აჯანყებაში, პროფ. ან. კიკვიძემ ეს უსიამოვნო ხელმძღვანელნი თითქმის სრულიად გამორიცხა მოძრაობიდან.

მისი მტკიცებით აჯანყების ერთ-ერთი თვალსაჩინო წინამძღოლი ამბაკო შალიკაშვილიც „შემთხვევით აღმოჩნდა აჯანყებულთა რიგებში.“[1]

გლეხთა მოძრაობიდან თავადაზნაურობის გამოდევნას, ან მათი მონაწილეობის „შემთხვევითობის“ ნაყოფად გამოცხადებას კი არ უნდა ეცადოს ისტორიკოსი (ისტორიულ სინამდვილეს მკვლევარმა თვალი უნდა გაუსწოროს), არამედ ჭეშმარიტ ფაქტს მეცნიერული ახსნა უნდა მისცეს. ყოვლად წარმოუდგენელია ხანში შესული და მრავალ ომგადახდილი რუსეთის არმიის პრაპორშჩიკი, თ-დი ამბაკო შალიკაშვილი ბოლომდე მიჰყოლოდა მოძრაობას, იგი რომ შემთხვევით ყოფილიყო მასში ჩაბმული.

ამ პიროვნების შეუფასებლობა ქართველი საზოგადოების იმ მოწინავე ნაწილის როლის გაუთვალისწინებლობაში იღებს სათავეს, რომელიც XIX საუკუნეში არცთუ ისე მცირე მნიშვნელობის ძალას წარმოადგენდა. ა. შალიკაშვილი ქართველი თავადაზნაურობის იმ პროგრესულ ნაწილს ეკუთვნოდა, რომელიც „თუ ერთის მხრით, ამ ახალი რეჟიმის სიმახინჯეთა წინააღმდეგ პროტესტით გამოდიოდა, მეორეს მხრით, ამავე ხელისუფლებასთან ერთად ამიერ-

1 ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია (XIX საუკუნე), თბ., 1954 წ., გვ. 208.

კავკასიაში რუსეთის დამკვიდრებისათვის თავდაუზოგავად ებრძოდა ირანს, ოსმალეთს და ყველა მათ აგენტს".[1]

მკვლევარი იზიარებს ყალბ ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ თითქოს გლეხებს განზრახვა ჰქონდათ „გამოსულიყვნენ თურქეთის საზღვართან და იქ დაბანაკებულიყვნენ,"[2] და შემდეგ, „ცხადია, — დასძენს ავტორი, რომ ისინი (აჯანყებული გლეხები— **ი. ს.**) აქ ელოდნენ ჰასან ბეგს, მაგრამ მათ სწრაფად შეუცვლიათ გადაწყვეტილება და სოფელ დვაბზუსაკენ შემობრუნებულან."[3] ასეთი აზრი მცდარია. ავტორი კრიტიკულად არ ეკიდება ოფიციალურ წყაროებს. სინამდვილეში აჯანყებულები ლეხოურისაკენ ჰასან ბეგის შესახვედრად კი არ მიემართებოდნენ, არამედ ამ სოფლის გლეხობასთან კავშირის დასამყარებლად. არც იმის მტკიცებაა მართებული, თითქოს გლეხებს აქ შეეცვალოთ თავიანთი პირვანდელი გადაწყვეტილება. პირიქით, აჯანყებულები ამჯერად თანმიმდევრულად ახორციელებდნენ თავიანთ გადაწყვეტილებას — გურიის სოფლების შემოვლას და მთელი გლეხკაცობის ფეხზე დაყენებას.

ლეხოურიდან გლეხები დვაბზუს მოვიდნენ; აქედან კი გურიანთისაკენ გაემართნენ. ა. კიკვიძის სიტყვით, „აქ გლეხებს უნდა შეეტიათ თავად გიორგი ნაკაშიძისათვის."[4] აჯანყებულები (უმთავრესად აკეთელი გლეხები) გურიანთაში ნაკაშიძესთან საბრძოლველად კი არ მიდიოდნენ, არამედ — უკვე აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად. მეფის არმიის ოფიცერმა, მაიორმა ნაკაშიძემ კი მაზრის უფროსის ბრძანებით აჯანყებულებს გზა გადაუღობა და გურიანთაში არ შეუშვა. ამას მოჰყვა ბრძოლა...

XIX საუკუნის პირველი ნახევრის გლეხთა მოძრაობას, გარდა 1841 წლის აჯანყებისა, პროფ. ა. კიკვიძე ეროვნულ-განმათავისუფლებელი ხასიათის მოვლენად აცხადებს, უკანასკნელი კი, მისი აზრით, იმიტომ არ შეიძლება ყოფილიყო ამგვარი აჯანყება, რომ „იგი თავიდანვე აღმოჩნდა თურქეთის **ფაშების მოძრაობასთან** კავშირში,"[5] და რომ ეს აჯანყება „რუსეთის მფლობელობის წინააღმდეგ არა მარტო საკუთარ ძალას, არამედ **თურქეთ-ინგლისის დამხმარე ძალებსაც ემყარებოდა.**"[6]

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 480.
2 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 201.
3 იქვე.
4 იქვე.
5 ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 208. (ხაზი ჩვენია — **ი. ს.**).
6 იქვე, (ხაზი ჩვენია — **ი. ს.**).

ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის საკითხში პროფ. ა. კიკვიძის კონცეფციის ღირსება-ნაკლი საფუძვლიანადაა დასაბუთებული აკად. ნ. ბერძენიშვილის რეცენზიაში, ამიტომ ჩვენ ამ მის შესახებ არაფერს ვიტყვით. რაც შეეხება გურიის აჯანყების უცხო ძალებთან კავშირის ავტორისეულ კვალიფიკაციას, იგი სინამდვილეს არ შეესაბამება.

გურიის გლეხობა არავითარ „ფაშების მოძრაობასთან" არ ყოფილა დაკავშირებული და მათ არც „ინგლის-თურქეთის" დამხმარე ძალები მოსვლიათ. გლეხები მხოლოდ საკუთარი ძალღონით იბრძოდნენ.

რაც შეეხება აჯანყების შეფასებას, ამ საკითხში პროფ. ა. კიკვიძე არსებითად ძველი რუტინის ტყვეობაში დარჩა.

ამით შეიძლება დავასრულოთ სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა.

ახლა ორიოდე სიტყვა წყაროების შესახებ.

გურიის აჯანყების შესახებ მასალების მნიშვნელოვანი ნაწილი დაცულია საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივის სათანადო ფონდებში, რომელთაგან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია 548 ფონდის 708 საქმე, სადაც თავმოყრილია აჯანყების უმთავრესი მასალები. აღებული თემის შესახებ საინტერესო დოკუმენტებს ვხვდებით აგრეთვე ლენინგრადის ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის კავკასიის კომიტეტის 1268 ფონდის სხვადასხვა საქმეებში.[1] არსებული მასალების ნაწილი შესულია „კავკასიის არქეოგრაფიული კომისიის აქტებში",[2] ნაწილი კი გამოაქვეყნეს აკად. გ. ხაჭაპურიძემ[3] და პროფ. პ. გუგუშვილმა.[4] აღნიშნული მასალები შეიცავს აჯანყების ამბებთან დაკავშირებით მაშინდელ ხელმძღვანელ პირთა მიმოწერის (მიმართვა, პატაკი) დოკუმენტებს.

მიუხედავად მათი ტენდენციური ხასიათისა, ისინი მაინც რიგ საყურადღებო ცნობებს შეიცავენ აჯანყების შესასწავლად.

გლეხთა მოძრაობის ზოგიერთი მომენტის გასაშუქებლად საინტერესო მონაცემებს ვხვდებით ხალხურ გადმოცემებსა და ლექ-

---

1 ვისარგებლეთ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში დაცული მასალებით.

2 Акты, собранные Кавказской археографической комиссией, т. IX. стр. 161—177. შემდეგ წყარო მითითებული იქნება შემოკლებით. (АКАК).

3 გ. ხაჭაპურიძე, გურიის აჯანყება 1841 წელს, თბ., 1932 წ., დამატება. გვ. 76 და შემდ.

4 Сельское хозяйство и аграрное отношение, т. I, Тб., 1937 г., стр. 608-636.

სებში. მათი უმრავლესობა კარგა ხანია ჩაწერილი და გამოქვეყნებულია.[1] ზოგიერთი საგულისხმო გადმოცემა და ლექსი ჩვენც ჩავიწერეთ.

არსებული სამეცნიერო ლიტერატურისა და მასალების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიის საფუძველზე შესწავლით ჩვენ ვცადეთ კრიტიკულ-მეცნიერულად აღგვედგინა 1841 წლის ისტორიული სინამდვილე.[2] მკითხველთა ყოველ საქმიან შენიშვნას ავტორი დიდი სიამოვნებით მიიღებს და გაითვალისწინებს შემდგომ მუშაობაში.

სასიამოვნო მოვალეობად მიმაჩნია აქვე მადლობა მოვახსენო აკად. ნ. ბერძენიშვილს გულისხმიერი ხელმძღვანელობისა და დახმარებისათვის. მადლობას მოვახსენებ აგრეთვე პროფ. ტრ. ხუნდაძეს და დოც. მ. დუმბაძეს საყურადღებო შენიშვნებისათვის. მადლობა აკად. ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერულ კოლექტივს, რომლის ბრძმედშიაც მივიღე პირველი მეცნიერული წრთობა.

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937 წ., გვ. 126—129. ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, ნაწ., 1, თბ., გვ. 105—107.

2 წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია 1952 წელს. (იბეჭდება შემოკლებით, ზოგიერთი ცვლილებით).

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავი პირველი

# გურია აჯანყების წინ

**§ 1. პოლიტიკური ვითარება.** გურიის ტერიტორია XIX საუკუნისათვის დიდად იყო შეკვეცილი. სამთავროს მიწა-წყალმა განსაკუთრებული შევიწროება ოსმალეთის აგრესიის შედეგად განიცადა. 1547 წელს მტერმა გურიელს მისტაცა ჭანეთი, ხელთ იგდო გონიის ციხე და იგი დასავლეთ საქართველოზე თავისი შემდგომი აგრესიის პლაცდარმად აქცია.[1] XVII საუკუნის დამდეგს ოსმალთა მოძალება კიდევ უფრო ძლიერდება. გურიის მთავარი ვეღარ უმკლავდება დამპყრობელს და ჰკარგავს აჭარას.[2] ამავე ხანებში ოსმალები იკავებენ ბათუმსაც.[3] ბათუმისა და აჭარის განთავისუფლებისათვის თავგანწირული ბრძოლა ქართველთა მარცხით დასრულდა. XVIII საუკუნის 20-იან წლებში ოსმალები სტაბილურად დამკვიდრდნენ ბათუმში. ამავე დროს ისინი იპყრობენ ციხისძირს.[4] ხოლო იმავე საუკუნის 60-იან წლებში ქობულეთსა და ხინოსაც ეუფლებიან.[5] ქართველი ხალხი არასოდეს შერიგებია ოსმალეთთან უთანასწორო ბრძოლაში განცდილ მძიმე მარცხს და მედგრად იბრძოდა დაკარგული მკვიდრი მიწა-წყლის დაბრუნებისათვის, მაგრამ საკუთარი ძალღონით გვიანფეოდალური ხანის „საქართველოებს“ ამ დიდი ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა არ შეეძლოთ. თურქთაგან მიტაცებული ქართული მიწა-წყლის მნიშვნელოვანი ნაწილის, კერძოდ, ქვემო

---

1 ი. სიხარულიძე, გონიის ციხე, გაზ. „კოლმეურნის გზა“, 1956 წ., № 5.

2 ი. სიხარულიძე, აჭარის მიტაცება ოსმალთა მიერ, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის XVI სამეცნიერო სესიის მოხსენებათა თეზისები, ბათუმი, 1955 წ., გვ. 25.

3 აინი ალი, რისალე, 1609 წ. Belin M., Du regime des fiefs militaire dens l'islamisme, et prinzipalement en Turquie, „Jornal Asiatique“, Mars-avril, t. XV, Paris, 1870, p. 280.

4 ი. სიხარულიძე, ბათუმის წარსულიდან, რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. V, ბათუმი, 1956 წ., გვ. 87-88.

5 А Цагарели, Грамоты и другие исторические документы, т. II, СПБ, 1891 г., стр. 73; АКАК, т. II, стр. 539, 544.

გურიისა და აჭარის განთავისუფლება, ძლევამოსილი რუსული იარაღის მეშვეობით გახდა შესაძლებელი 1878 წელს. ეს დიდი ისტორიული მოვლენა საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი ფრიად საყურადღებო დადებითი შედეგი იყო.

სამთავროს აღმოსავლეთი საზღვრის შევიწროება-გაფართოება საჯავახოს საკითხს უკავშირდებოდა. გურიის სამთავრო რუსეთის მფარველობაში შესვლის დროს საჯავახო-იმერეთის ფარგლებში იყო.

გურიელი რუსეთის მთავრობას საჯავახოს დაბრუნებას თხოვდა. ამ თემის, როგორც სახაზინო მამულის, გასხვისება მხოლოდ და მხოლოდ იმპერატორის ნება იყო. მიიღეს რა მხედველობაში გურიის მთავრის „ერთგულება“ და „დამსახურება“, 1815 წელს უმაღლესი ბრძანებით მამია გურიელს გადაეცა საჯავახოს ნაწილი, სახელდობრ მდ. ქოფათის მარცხენა მხარე.[1] ამ მდინარის მარჯვნივ მდებარე ადგილები კი ისევ იმერეთის ფარგლებში დარჩა.[2]

გურიას ჩრდილოეთით სამეგრელოს სამთავრო ესაზღვრებოდა. წინათ ამ სამთავროებს ერთმანეთისაგან მდ. რიონი ჰყოფდა,[3] აღებულ ხანაში საზღვარი მდ. ფიჩორზე იყო გადმონაცვლებული.

გურიის ფართობი 1940 კვადრატულ კილომეტრს უდრიდა, ყოველ 24,2 კვადრატულ კილომეტრზე ერთი სოფელი მოდიოდა.[4] მოურავოვის 1769 წლის ცნობით, გურიაში 5 ათასი მოსახლე ყოფილა.[5]

ანალოგიურ ცნობას გვაწვდის აკად. ი. ა. გილდენშტედტი.[6] პროფ. ალ. ფირცხალაიშვილის აზრით, გურიის მცხოვრებთა რიცხვი XVIII საუკუნის ბოლოს 25—30 ათასს არ აღემატებოდა.[7]

XIX საუკუნის ათიან წლებში გურიის მოსახლეობა მნიშვნელოვნად შემცირდა. შემოქმედის ჟამ-გულანის ისტორიულ მინაწერში ნათქვამია: „ჩყიბ (1812) წელსა დიდი შიმშილი იყო და შემდეგ ჟამი გამოჩნდა იმავე წელშიდ.“[8]

---

1 АКАК, т. V, стр. 514.

2 იქვე.

3 „რიონს მარცხენა ნაპირი და ქალაქი ფოთი პალიასტომის ტბასთან ერთად გურიის შემადგენლობაში შედიოდა.“ (Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, 1878 г., стр. 16. მისივე—Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПБ, 1878 г., стр. 96. (შემდეგში შემოკლებით—АПГА).

4 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 96.

5 ა. ცაგარელი, დასახ. ნაშრ., გვ. 73.

6 J. A. Güldenstats, Beschreibung der Kaukasischen Lander, Berlin, 1834, 103.

7 А. Фирцхалаишвили, Имеретия и Гурия в период 1804 — 1840 г., «Материалы по истории Грузии и Кавказа», Тб., 1942 г., вып. I, стр. 2.

8 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 154.

ამ მოვლენის თანმხდური ისტორიკოსი ნ. დადიანი წერს: „წელსა ამას 1811 გაჩნდა იმერეთსა შინა, ოდიშსა და გურიასა საშინელი მომსვრელი სენი (ჟამი — ი. ს.) და ამასთან საშინელი და საკვირველი სიყმილი, რომელ უთვალავნი მოისრნენ და მრავალი განიბნენ... და განგრძელდა ესე ვითარ რისხვა ღვთისა ორსა წელსა და შემდგომად გარდავიდა, გარნა ქვეყანაში მრავალნი და სოფელნი დაშთენ ოხრად".[1]

ოციან წლებში გურიის მოსახლეობას ერთგვარი მატება დაეტყო. 1831 წლის კამერალურმა აღწერამ გურიაში ორივე სქესის 36.700 მცხოვრები უჩვენა.[2]

ამ აღწერის შედეგების შემოწმებით დადასტურდა, რომ ეს მონაცემები არ იყო სრული.[3]

40-იანი წლების დამდეგს გურიაში მოსახლეობის კიდევ უფრო მნიშვნელოვან მატებასთან გვაქვს საქმე. ესეც რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი დადებითი შედეგი იყო.

მთავარმმართველ გოლოვინის ცნობით (1842 წ.), გურიაში 4.500 კომლი ყოფილა.[4] ცოტა გვიანდელი მონაცემებით, ამათგან თავადის ოჯახი იყო 49, ხოლო აზნაურის — 229.[5]

გურიის სხვადასხვა წოდებათა რიცხობრივი შეფარდების სურათი პოლკ. ვრონჩენკოს 1837 წლის ცნობით ასეთია: თავადები დაახლ. — 160 სული, აზნაურები — 2.400, სამღვდელოება — 1.500, სახაზინო გლეხები — 5.000-მდე, საეკლესიო — 2.500, ხოლო გლეხთა დანარჩენი მასა საბატონო იყო.[6]

გურიის მოსახლეობის უმრავლესობას ყმა გლეხები შეადგენდნენ.[7]

---

1 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, Е. Такаишвили, Описание рукописей ОРГСГН, т. I, вып. 1—4, Тифлис, 1902—1904 г., стр. 43.

2 О. Евецкий, Статистическое описание Закавказского края, СПБ, 1835 г., стр. 164.

3 АКАК т. VIII, стр. 443.

4 ვ. ნ. ივანენკო ამ პერიოდის გურიის მოსახლეობაა 40 ათასი მცხოვრებით განსაზღვრავს. (Гражданское управление Закавказьем, Тифл. 1901 г., стр. 255) გ. ხაჭაპურიძე კი—49.955 სულით (გლეხთა მოძრაობა საქართველოში XIX ს-ში თბ., 1932 წ., გვ. 51).

5 Центральный государственный исторический архив Ленинграда, ф. 1268, оп. I, 1842 г., д. 308, л. 82. (შემდეგში შემოკლებით—ЦГИАЛ).

6 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, д. 45, л. 193 об.

7 გვიანდელი ცნობით გურიის მოსახლეობის 70 % ყმაგლეხებზე მოდიოდა. ამ მხრით გურია წინ უსწრებდა იმერეთს. ასე მაგ., ქუთაისის მაზრაში გლეხები მოსახლეობის 56 პროც. შეადგენდნენ. შორაპნის—66 პროც., რაჭაში — 67 პროც. (დ. ბაქრაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 98).

XIX ს. დასაწყისში გურიის სამთავრო პოლიტიკურ კრიზისს განიცდიდა. ოსმალთა გამუდმებული თარეშები და ფეოდალთა შინაური კინკლაობა ქვეყანას აუძლურებდა.

ტახტის კანონიერი მემკვიდრე, მამია მეხუთე, მცირეწლოვანი იყო. სამთავროს განაგებდა მომავალი მთავრის ბიძა — ქაიხოსრო გურიელი.

რუსეთის ხელისუფლება თანდათან მიიწევდა დასავლეთ საქართველოსაკენ. ქვეყნის პოლიტიკური დაქსაქსულობაც ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა იქ რუსეთის გაბატონებისათვის.

1803 წელს სამეგრელოს მთავარი რუსეთის მფარველობაში შევიდა. მალე იმერეთის სამეფოც რუსეთის პროტექტორატის ქვეშ მოექცა (1804 წ.). სოლომონ მეორესთან გაფორმებული ტრაქტატით რუსეთის მფარველობაში მიღებულად ცხადდებოდა გურიის სამთავროც.[1]

1809 წელს მამია გურიელმა მთავრის პოსტი დაიკავა. ახალგაზრდა მთავარი უკმაყოფილო იყო რუსეთის მთავრობის პოლიტიკით. იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა, რადგან მასთან, სამეგრელოს მთავრის მსგავსად, რუსეთის მთავრობამ სპეციალური ტრაქტატი არ გააფორმა.

1809 წელს რუსთა ჯარმა გენერალ დიმ. ორბელიანის სარდლობით ალყა შემოარტყა ფოთის ციხეს. გურიელმა თავისი ლაშქრით აქტიური მონაწილეობა მიიღო თურქების წინააღმდეგ ბრძოლაში. ბრძოლა რუს-ქართველთა შეერთებული ჯარის გამარჯვებით დამთავრდა. მამია გურიელმა დიდი დახმარება გაუწია რუსეთის მთავრობას იმერეთის სამეფოს გაუქმების საქმეშიც. მეფის ხელისუფლებამ მხედველობაში მიიღო მამია გურიელის დამსახურება და გააფორმა მასთან სპეციალური ტრაქტატი (1810 წ.). მაგრამ იმერეთის სამეფოს გაუქმების შემდეგ გურიის სამთავროს არსებობა დროებითი მოვლენა იყო.

1826 წ. მამია გურიელი გარდაიცვალა. მთავრობამ არ დააყოვნა გამოეყენებინა ეს ხელსაყრელი მომენტი და სამთავროს გაუქმების სამზადისს შეუდგა. რუსეთის ხელისუფლებამ უარი თქვა მამია გურიელის მცირეწლოვანი მემკვიდრის მთავრად დამტკიცებაზე. გურიაში შემოღებულ იქნა „დროებითი მმართველობა“, რომლის თავმჯდომარედ გარდაცვლილი მთავრის ქვრივი სოფიო გამოაცხადეს.

---

1 АКАК, т. II, стр. 540 541, 543.

სოფიო გურიელი და გაბატონებული წოდების ერთი ნაწილი უკმაყოფილო იყო მომხდარი ცვლილებით. „ამ ახალმა დაწესებულებამ... მიგვცა ჩუენ სიმძიმესა შინაო“[1] — წერდნენ ისინი — მთავარმართველ ერმოლოვს.

სოფიო გურიელი მთელი შესაძლებლობით იბრძოდა სამთავროს შენარჩუნებისათვის, მაგრამ რუსეთის მთავრობის ადგილობრივ მოხელეებთან მან საერთო ენა ვერ გამონახა. 1828 წ. 2 ოქტომბერს სოფიო გურიელი თავისი მცირეწლოვანი მემკვიდრით და ერთგულ პირთა თანხლებით თურქეთში გაიქცა. ოსმალეთთან ომის ვითარებაში სოფიოს ასეთი მოქმედება ღალატად იქნა მიჩნეული. სოფიოს ადგილი „დროებით მმართველობაში“ რუსმა ოფიცერმა დაიკავა. აღნიშნული ომი რუსეთის გამარჯვებით დამთავრდა. ამ მომენტში დამარცხებული თურქეთი უკვე აღარ წარმოადგენდა ანგარიშგასაწევ ძალას. მეფის მთავრობას აღარც გურიის გაბატონებული წოდების მცირე ნაწილის ოპოზიცია აფიქრებდა და 1830 წელს სამთავრო საბოლოოდ გააუქმა.

გვიანფეოდალურ ხანაში ქართველი საზოგადოების პროგრესული ნაწილი ენერგიულად იბრძოდა ქვეყნის ფეოდალური დაშლილობის აღმოსაფხვრელად, მაგრამ გაერთიანებით დაინტერესებული შინაგანი სოციალური ძალების (მესამე წოდება) სისუსტის გამო ამ დიდი ამოცანის შესრულება ვერ მოხერხდა. XIX საუკუნეში ამ საქმეს რუსეთის აბსოლუტიზმი აკეთებდა. გურიის სამთავროს გაუქმება საქართველოს გაერთიანების ხანგრძლივი პროცესის ერთ-ერთი ეპიზოდთაგანი იყო და ამდენად იგი პროგრესულ აქტს წარმოადგენდა.

სამთავროს გაუქმებით უკმაყოფილო დარჩა გურიის თავადაზნაურობის რეაქციული ნაწილი, განსაკუთრებით კი სამთავროს სახლის წარმომადგენლები. მთავრის ხელისუფლების აღდგენა იყო ბატონიშვილთა (ელ. გურიელი, დ. გურიელი) მთავარი მიზანი 1841 წლის აჯანყებაში.

1830-იან წლებში გურიაში კვლავ ძალაში დარჩა მმართველობის ქართული სისტემა. მდგომარეობა მკვეთრად შეიცვალა 1840 წლის რეფორმის შემდეგ, როდესაც ქვეყანაში რუსული მმართველობა დამყარდა.

**§ 2. ეკონომიური მდგომარეობა.** ფეოდალიზმის გენიალური დახასიათება მოგვცა ვ. ი. ლენინმა თავის განთქმულ წიგნში „კაპიტა-

---

1 საქართველოს სსრ ცენტრალური სახელმწიფო ისტორიული არქივი, ფ. 226, საბ. № 5807 (შემდეგში შემოკლებით — სცსია.).

ლიზმის განვითარება რუსეთში". ვ. ი. ლენინი ასახელებს ფეოდალურ-ბატონყმური მეურნეობის ოთხ ძირითად ნიშანს: 1. ნატურალური მეურნეობის ბატონობა; 2. უშუალო მწარმოებლის მიმაგრება მიწაზე; 3. გლეხის პირადი დამოკიდებულება მემამულეზე და გარეშე ეკონომიურ იძულებაზე დამყარებული ექსპლოატაცია; 4. ტექნიკის დაბალი დონე[1].

ფეოდალური ურთიერთობის საფუძველს შეადგენს ფეოდალის საკუთრება წარმოების საშუალებებზე და არასრული საკუთრება წარმოების მუშაკზე — ყმაზე. ფეოდალურ საკუთრებასთან ერთად არსებობს პირად შრომაზე დამყარებული გლეხისა და ხელოსნის ერთპიროვნული საკუთრება წარმოების იარაღებზე და თავის კერძო მეურნეობაზე.[2]

აღნიშნული დახასიათება სავსებით შეესაბამება ფეოდალური გურიის ვითარებას.

მეურნეობის მთავარ დარგს ბატონყმურ გურიაში მიწათმოქმედება შეადგენდა. გურული გლეხი მიწას ამუშავებდა და მებატონეს ბეგარა-გადასახადებს უხდიდა.

აჯანყებამდელი გურიის უმთავრესს სასოფლო-სამეურნეო კულტურებს სიმინდი და ღომი შეადგენდა.

დასავლეთ საქართველოში სიმინდის გავრცელება XVII საუკუნის დამდეგიდან იწყება.[3] სანამ სიმინდი დაიპყრობდა ფართო ასპარეზს, მანამდე გურიაში დიდძალი ღომი მოდიოდა. სიმინდის გავრცელებამ ღომის კულტურის დაქვეითება გამოიწვია. სიმინდს ღომთან შედარებით უპირატესობა ჰქონდა. იგი ღომზე უფრო რენტაბელური კულტურა იყო. სიმინდი არ იყო ისე შრომატევადი, როგორც ღომი. გარდა ამისა, სიმინდი ითვისებდა გამონათეს კულტურებს (ლობიო, ცერცვი, გოგრა, კიტრი და სხვ).

ღომს მაღლობ ადგილებში თესდნენ. მისი დამუშავება რიგ სიძნელეებს უკავშირდებოდა. გურიაში რამდენიმე ჯიშის ღომი მოჰყავდათ: „თეთრა", „ბარამულა", „ძირდაბალი," „შვიდკვირა," „ხუჭილა", „ჯორიელა",[4] „ჩაქურა,"[5] და სხვ.

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გამოც. IV, გვ. 207—209.
2 ი. ბ. სტალინი, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის შესახებ, სახელგამი, 1954 წ., გვ. 34.
3 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, წიგნი I, თბ., 1930 წ., გვ. 365.
4 თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950 წ. გვ. 46.
5 ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 371.

მარცვლეული კულტურებიდან წამყვანი იყო სიმინდი. ნაყოფიერ მიწებზე ქცევაზე საშუალოდ მოდიოდა 30 ფუთი სიმინდი.[1]

XIX ს. 30-იან წლებში სიმინდი და ღომიც უცხოეთში გაჰქონდათ, მაგრამ შემდეგ ღომის ნათესების შემცირებასთან დაკავშირებით ექსპორტის საგნად მხოლოდ სიმინდი დარჩა.[2]

გურიაში სიმინდისა და ღომის გარდა ხორბალსაც თესდნენ. ბარონ როზენის 1837 წ. ცნობით, გურულებს პური (ხორბალი)... გაჰქონდათ იმერეთსა და სამეგრელოში.[3] დიმ. ბაქრაძის სიტყვით, გურიაში პურს თესდნენ ლანჩხუთსა და ნიგოითში, მაგრამ მცირე რაოდენობით.[4]

გარდა აღნიშნულისა, მარცვლეული კულტურებიდან მოჰყავდათ ლობიო, ცერცვი, მუხუდო და სხვა.

გურიის სოფლის მეურნეობაში განსაკუთრებული ადგილი ეჭირა მევენახეობას. აღებული ხანის გურიაში გაბატონებული იყო მაღლარი. გურიაში ყურძნის მრავალი ჯიში არსებობდა: ძელშავი, მტევანდიდი, ჭუმუტა, ხარისთვალა, ბადაგი, ჩხავერი, ჯანი, სხილათობანი და სხვა.[5]

სოფლები ბახვი, ასკანა და სხვა ცნობილი იყვნენ შესანიშნავი ღვინით. იქაური კარგი ხარისხის ღვინო მეზობელ ოლქებშიც გაჰქონდათ.[6]

50-იან წლებში ვაზს გაუჩნდა ავადმყოფობა — ნაცარი, რომელმაც გაანადგურა გურიის ვაზის ჯიშები.

გურიის მოსახლეობისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა მეფუტკრეობას და მეაბრეშუმეობასაც.

მეფუტკრეობას უმთავრესად მთის სოფლები მისდევდნენ, როგორც მაგ., სურები, გომი, ერკეთი, ქვაბლა, ლეხოური, ასკანა და სხვ. დასახელებული სოფლები განთქმულნი იყვნენ „სანთლის არაყითა“ და „თაფლის სანთლით“ (გადასახადებში ძალიან ხშირად გვხვდება სანთლის დასახელება).

აჯანყებამდელი ხანის გურიის ცხოვრებაში გარკვეულ როლს ასრულებდა ხელოსნობა და შინამრეწველობა. მართალია, გურიაში მოქსოვილი დარაია არ იყო მაღალი ხარისხის, სამაგიეროდ გურული

---

1 «Из Гурии», газ. «Кавказ», 1865 г., № 30, стр. 168.

2 Д. Бакрадзе, Краткий очерк Гурии, стр. 24.

3 АКАК, т. VIII, стр. 133.

4 Д. Бакрадзе. დასახ. ნაშრ., იქვე.

5 ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. II, თბ., 1934 წ., გვ. 455—462.

6 ЦГИА Л, ф. 1268, д. 45, Л. 204.

ტილო განთქმული ყოფილა.[1] იგი ადრე „სახვანთქრო“ ხარკშიც შედიოდა.[2]

ბატონყმური მეურნეობის ბატონობა აფერხებდა გურიაში სასაქონლო-ფულადი მეურნეობის განვითარებას. ვ. ი. ლენინის სიტყვით, „...წინაკაპიტალისტური სოფელი წარმოადგენდა (ეკონომიურად) წვრილი ადგილობრივი ბაზრების ქსელს, რომლებიც ერთიმეორეს უკავშირებდნენ წვრილ მწარმოებელთა პაწაწა ჯგუფებს, დაქსაქსულთ როგორც თავისი განკერძოებული მეურნეობით, ისე მრავალი შუასაუკუნეობრივი ზღუდით და შუასაუკუნეობრივი დამოკიდებულების ნაშთებით.“[3]

ვ. ი. ლენინის მიერ მოცემული ბატონყმური სოფლის ზოგადი დახასიათება გურიის სინამდვილეზეც შეიძლება გავავრცელოთ.

XIX საუკუნის 30-იან წლებში გურიაში ქალაქი არ იყო. გურიის ადმინისტრაციული ცენტრი — ოზურგეთი — თავისი გარეგნობით უფრო სოფელს მიაგავდა, ვიდრე ქალაქს. ეს დაბა ამავე დროს სავაჭრო პუნქტს წარმოადგენდა.

ოზურგეთს გარდა გურიაში რამდენიმე საბაზრო პუნქტი არსებობდა, სადაც ზოგან კვირეული და ზოგან წლიური ბაზრობა იმართებოდა. ბარონ როზენის 1837 წლის ცნობით, გურიაში დაბა დვაბზუს იყო ბაზარი და ყოველკვირეული ვაჭრობა. აქ სავაჭროდ მოდიოდნენ იმერეთიდან, ქობულეთიდან და სხვა მოსაზღვრე ადგილებიდან. დაბა ნაგომარსა და ლანჩხუთში წელიწადში ერთხელ იმართებოდა ბაზრობა, რომელიც 8 დღემდე გრძელდებოდა, პირველში — 17 ივლისიდან, ხოლო უკანასკნელში — 8 სექტემბრიდან. ბაზრობები იმართებოდა სოფელ ვანისქედში აღდგომის პირველ კვირას და ჯუმათის მონასტერთან 13 სექტემბრიდან.[4] გარდა ამისა წლიური ბაზრობა ეწყობოდა საჯავახოში.[5]

დასავლეთ საქართველოს ბაზრების როზენისეული დახასიათებით აქ ვაჭრობდნენ მეტწილად სომხები და ებრაელები; მათ ბაზარზე გამოჰქონდათ შაქარი, ჩაი, ყავა, რომი და სხვადასხვა სასმელები, აბრეშუმისა და ბამბის ქსოვილები, საკმაო რაოდენობის

---

1 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 66.
2 АКАК, т. II, стр. 539.
3 ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 445.
4 АКАК, т. VIII, стр. 183.
5 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 57.

მაუდი და სხვა. ნაკეთობანი მოსახლეობის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.[1]

ბაზრობაზე დიდძალი ხალხი იკრიბებოდა. გურულ გლეხს ბაზრობაზე გამოჰქონდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები (სიმინდი, ქერი, ლობიო და სხვ.), პირუტყვი (ძროხა, ხარი, ღორი, თხა და სხვ.), თავისი ხელოსნური და შინამრეწველური ნაწარმი, ჭურჭლეულობა, სასოფლო-სამეურნეო იარაღები და სხვ.[2]

გურიის ბაზრებზე რუსული ფული ჯერ კიდევ არ ჩანდა, ბრუნვაში იყო უმთავრესად ოსმალური მონეტები (ფარა, რუბი, ყურუში და სხვ.). ვაჭრობა ზოგჯერ პროდუქტის პროდუქტზე გაცვლითაც ხდებოდა.

1846 წელს ოზურგეთის ორმოცი დუქნის თურქ მოვაჭრეთა მიერ მაზრის უფროსისადმი მიცემულ თხოვნაში ვკითხულობთ: „რადგანაც გურიისა მცხოვრებნი არიან ღარიბნი და **ფული ძვირად იშოვება მათგან,**“ ამის გამო ხსენებული ვაჭრები რამდენიმე წლის ვადით აძლევენ მათ საქონელს, ხოლო გურულები „ესრეთა უქონლობისა გამო **ფულისა მოგვცემენ ხეს გათლილს, ანუ სიმინდს და სხვათა მზათა** თუ შემოსავალსა წლისასა წელიწადზე.“[3]

XIX საუკუნის 30-იან წლებში მეფის მთავრობა კავკასიაში ფულადი გადასახადის შემოღებას ფიქრობდა. რუსეთის მოქნილ პოლიტიკოსებს კარგად ესმოდათ ასეთ პირობებში გურიაში ფულადი გადასახადის დაწესების სირთულე. ამიტომ იყო, რომ ბარონი როზენი ამ საკითხში განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენდა და დაწვრილებით ეცნობოდა ქვეყნის მდგომარეობას. მისი სიტყვით „გურიაში ფულადი გადასახადის შემოღება უნდა შეთანხმებოდა ხალხის სულისკვეთებას და თვითეული მოსახლის შეძლებასაც-კი.“[4]

გურიაში სპეციალურად ამ მიზნით გაგზავნილ მოხელეს მთავართმმართველი ავალებდა გამოერკვია „შეიძლებოდა თუ არა მიღწეულიყო გურიაში მცხოვრებლების ყოველგვარი შევიწროების გარეშე, ნატურალური გადასახადის ნაცვლად ფულადი გადასახადის აკრეფა.“[5] მდგომარეობის შესწავლამ როზენი მიიყვანა იმ

---

1 АКАК, т. VIII, стр. 183.
2 გურიელის ნიხრი. Д. Бакрадзе, АПГА, стр. 229—230
3 დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, საბუთები შეარჩია და გამოსცა ნ. ბერძენიშვილმა, თბ., 1953 წ., გვ. 300. (ხაზი ჩვენია — **ი. ს.**).
4 АКАК, т. VIII, стр. 443.
5 იქვე.

დასკვნამდე, რომ გურულები **„ძალიან ღარიბები იყვნენ ფულით,“** განსაკუთრებით რუსული ფულის ნიშნებით.

დ. ყიფიანი ამბობს: „მე ვიყავი გენერალ ესპეხოსთან ერთად გურიაში 1837 წ., მაგრამ მაშინაც კი მხოლოდ დიდმა მოხელეებმა იცოდნენ, თუ რა იყო რუსული ფული.“[2]

აღებმიცემობის განვითარებას მნიშვნელოვნად აბრკოლებდა ხელსაყრელი გზების უქონლობაც. მართალია, გურია მეზობელ რაიონებს საკმაოდ მრავალი გზებითა და გზაჭრილებით უკავშირდებოდა, მაგრამ ყველა ეს გზა უხეირო და ძნელად სავალი იყო.

ქუთაისიდან ოზურგეთში მიმავალი გზა საურმე იყო, მაგრამ მთიანი ადგილები და ციცაბო აღმართ-დაღმართები აფერხებდა აღალის მოძრაობას. წვიმიან ამინდში მასზე თითქმის არ გაივლებოდა.[3]

გურიაში არსებული ხელოსნური და შინამრეწველური წარმოება ვერ აკმაყოფილებდა ადგილობრივ მოთხოვნილებას.

პირველი მოთხოვნილების ზოგიერთი საგნები, რომლებიც გურიაში არ მზადდებოდა, ძირითადად ოსმალეთიდან შემოჰქონდათ. ასე, მაგ., ბამბის, შალისა და აბრეშუმის ქსოვილები, ტყავისა და რკინის ნაკეთობანი, საღებავები, საპონი, სააფთიაქო საქონელი და სხვა.

ზოგიერთი საქონელი (მაუდი, აბრეშუმის პარკი, თაფლი, დარაია და სხვ.) გურიიდან საზღვარგარეთაც გადიოდა.[4]

20-იან წლებში ამიერკავკასიაში შეღავათიანი ტარიფი მოქმედებდა, რომელმაც ფრიად შეუწყო ხელი ქვეყანაში აღებმიცემობის განვითარებას.[5]

1831 წელს შეღავათიანი ტარიფი გააუქმეს და ამიერკავკასიაზე საერთო საიმპერიო კანონი გაავრცელეს. ეს კანონი არსებითად კრძალავდა ევროპული საქონლის შემოტანას. მეფის მთავრობა საკუთარი მრეწველობის ინტერესებიდან გამოდიოდა. აკრძალვითი სისტემის შემოღებით იგი მფარველობას უწევდა მშობლიურ წარმოებას. ამან კი ადგილობრივი ფეოდალების — უცხოური საქონლის მთავარ მომხმარებელთა — უკმაყოფილება გამოიწვია.[6] ისი-

---

1 АКАК, т. VIII, стр. 443. (ხაზი ჩვენია — ი. ს.).
2 დ. ყიფიანი, მემუარები, თბ., 1930 წ., გვ. 25.
3 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 220.
4 Лаврентиев, Статистическое описание Кутаисского ген. губернаторства, СПБ, 1858 г., т. XVI, ч. V, стр. 118.
5 О. П. Маркова, Финансово-экономическое обследование Грузии в первой трети XIX в., «Исторические записки», 1949 г., № 30, стр. 172.
6 АКАК, т. VIII, прилож. № 80.

ნი მზად იყვნენ ყოველგვარი საშუალებებით გამოსულიყვნენ „რუსეთის საბაჟო პოლიტიკის წინააღმდეგ. (აჯანყებითაც — კ).“[1]

უცხოური საქონლის შემოზიდვის აკრძალვამ კონტრაბანდა წარმოშვა. სანაპირო ხაზის გამგებლობას საკმარისი ძალღონე არ შესწევდა მოესპო ან მნიშვნელოვნად მაინც შეემცირებინა ეს ბოროტება.[2]

მართალია, კონტრაბანდა ძლიერ გავრცელდა, მაგრამ ამ გზით შემოზიდული საქონლის სიძვირე დიდად ამცირებდა მოსახლეობის სყიდვით უნარიანობას.

ასეთია აჯანყებამდელი ხანის გურიის ეკონომიური ცხოვრების ზოგადი სურათი.

**§ 3. სოციალური ურთიერთობა.** გურიაში ბატონყმური წესწყობილება იყო გაბატონებული. ქვეყნის მოსახლეობა ორ ძირითად კლასად იყოფოდა. საზოგადოების უმცირესობას თავადაზნაურობა შეადგენდა, ხოლო მოსახლეობის უმრავლესობას — ყმა-გლეხთა ფენა.

სამთავროს არსებობის პერიოდში გაბატონებული წოდების უმაღლეს საფეხურზე გურიის მთავარი, „ჯელმწიფე“ და „ბატონი“, გურიელი იდგა. იგი თავის ხელისუფლებას მემკვიდრეობით ღებულობდა. გურიელი სამთავროში უმაღლესი ხელისუფალი და უმაღლესი მოსამართლე იყო. ქვეყნის გამგებლობას იგი მოხელეების საშუალებით ახორციელებდა. სამთავრო კარზე მაღალი თანამდებობანი თავადებს ეჭირათ, ხოლო წვრილ მოხელეთა დასს აზნაურები შეადგენდნენ. ამის გამოც მოხელენი იყოფოდნენ ორ ჯგუფად — „კარის მდეგნი“ და „საქვეყნოდ გამრიგე“ მოხელეებად.

პირველი რიგის მოხელეები იყვნენ: სახლთუხუცესი, მსაჯულთუხუცესი, მდივანბეგი, სარდალი და სხვ. მეორე რიგის მოხელეებს ეკუთვნოდნენ: მოურავი, ციხისთავი, ხელოსანი და სხვ. მოხელეობა ამა თუ იმ გვარის სრულ მემკვიდრეობაში რჩებოდა. ისინი ხელფასს პროდუქტებით ღებულობდნენ.[3]

სამთავრო სახლის გარეგნულ ეტიკეტს ბაძავდნენ ბატონიშვილები. ამ სოციალური ფენის ტიპიური წარმომადგენელი იყო 30—40-იან წლებში გურიის დიდი ფეოდალი ლავით გურიელი. იგი

---

1 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 15.
2 ЦГИАЛ, ф. 1268. д. 308, л. 9-10.
3 მ. დუმბაძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის,“ თბ., 1954 წ., გვ. 30.

სოფ. ლესაში ცხოვრობდა. მისი სასახლე ძველი ჩვეულების მიხედვით იყო მოწყობილი. სასახლის მოშორებით იდგა დავითის კარის ეკლესია. აქ სწირავდა მისი კარის მღვდელი იოსებ გიგინეიშვილი[1]. ძველებური ოდის გვერდით იდგა სასტუმრო—„საზნაურო სახლი“ და სხვა მრავალი შენობა.[2] დავითის სასახლეს სახლთუხუცესი განაგებდა. მის ხელქვეით იყვნენ: მსახურთუხუცესი, ფარეშთუხუცესი, მესტუმრე, მწდე, მეჯინიბე, ბაზიერი, კურძუალები, ქეშიკები, მოახლეები, გამდელები, სხვადასხვა მოსამსახურენი და ერთიც „სასახლის დალაქი“.[3]

„დარბაზის ერს“ შეადგენდნენ თავადები, — გუგუნავები და თავდგირიძეები, დავითის კარისკაცები და აზნაურები: ჭყონიები, გიგინეიშვილები, თავართქილაძეები, კომახიძეები — მათი შინაყმები[4].

სასახლეში გამოულეველად იყვნენ სტუმრები. დღეში ორი ძროხა იკვლებოდა.[5]

ასეთ ხელგაშლილ ცხოვრებას დავით გურიელი ყმათა სასტიკი ექსპლოატაციის ხარჯზე ეწეოდა. მას 80 აზნაური ემორჩილებოდა მათი ყმა-გლეხებით. მისი სამფლობელო შავი ზღვის ნაპირიდან 17 კილომეტრზე იყო გადაჭიმული. დავითის კაცები ბაჟს ახდევინებდნენ ყველა იმ სავაჭრო ნავებს, რომლებიც გრიგოლეთსა და მალთაყვას მოადგებოდნენ.[6]

ასევე შეიძლება ითქვას სხვა ბატონიშვილებისა და გურიის მებატონეთა (ერისთავები, ნაკაშიძეები, მაჭუტაძეები, თავდგირიძეები და სხვ.) შესახებაც. ყველა ისინი ლაღად ცხოვრობდნენ ყმა-გლეხთა ნაოფლარით.

გურიის ძლიერი თავადი ერისთავი „საერისთვო“ მამულს ფლობდა.[7] ამ მამულში შედიოდა „ერკეთი და მისი შემავალი მთლად ოქროს ქედიანად.“[8] ამას გარდა, საერისთავო ყოფილა „სრულად საჯავახო.“[9] (ამავე თავადის სამფლობელოში იყო უდაბნოს მონასტერი). [10] ერისთავების საგვარეულო სასაფლაოს ერკეთის ეკლესია წარმოადგენდა.

---

1 ი. მეუნარგია, ქართველი მწერლები, ტ. II, 1942 წ., გვ. 71.
2 იქვე, გვ. 71-72.
3 იქვე, გვ. 72.
4 იქვე.
5 იქვე.
6 იქვე.
7 ს ც ს ი ა, ფ. 226, საბ. № 3953.
8 ექ. თაყაიშვილი, საქართველოს სიძველენი, ტ. II, თბ., 1909 წ., გვ. 519.
9 მოამბე. ტ. IX, თბ., 1900 წ., გვ. 22.
10 ს ც ს ი ა, ფ. 226, საბ. № 3968.

ვრცელ მიწა-წყალს ფლობდნენ სხვა თავადებიც. ასე მაგალითად, ჩოხატაურის მთასა და ფიჩორს შორის მდებარე ტერიტორია სამაჭუტაძეევ მამულს წარმოადგენდა.[1] „ლელის წყალსა და ჩოლოქს სახარის გარდა გრიგოლეთიანად ადგილი, ტყე და წყალი"[2] თავადნაკაშიძეების იყო. აკეთი და სუფსის ჭალა თავდგირიძეებს ეჭირათ,[3] ვან-ზომლეთი კი — შალიკაშვილებს. ნაგომარი, ძიმითი და სუფსის ჭალის ნაწილი გუგუნავებს ეკუთვნოდათ.[4]

გურიაში ფეოდალთა შორის გაუთავებელი შუღლი და კინკლაობა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. მწვავე ბრძოლას ჰქონდა ადგილი გურიელების სახლის შიგნით.[5] თავადები ერთმანეთს მტრობდნენ და ექიშპებოდნენ. 1841 წლის აჯანყების მონაწილის თავად დავით გუგუნავას სიტყვით, თავდგირიძეებს გუგუნავებთან მტრობა ჰქონდათ დიდი ხნიდან.[6] ასევე მტრობა იყო ერისთავეებსა და გუგუნავებს, შალიკაშვილებსა და თავდგირიძეებს, მაჭუტაძეებსა და ნაკაშიძეებს შორის.[7] ბრძოლა და ქიშპი არსებობდა ამა თუ იმ თავადის სახლის შიგნითაც.

გამუდმებული შუღლი და კინკლაობა განსაკუთრებით აზიანებდა ყმა-გლეხობას. მოწინააღმდეგენი ერთიმეორის ყმებს დაერეოდნენ ხოლმე და ამ უდანაშაულო ხალხის აწიოკებით ერთმანეთის ჯავრს იყრიდნენ. ასე მაგ., ბატონიშვილებს ქაიხოსროსა და ვახტანგს შორის ამტყდარი ბრძოლის დროს ამ უკანასკნელის 200 ყმა სამეგრელოში გადაიხვეწა.[8]

მებრძოლი მხარეების შერიგებაც ხდებოდა, მაგრამ ასეთ ვითარებაში ეს შერიგება არ შეიძლება ყოფილიყო მტკიცე და ხანგრძლივი. ამ შინაფეოდალურ აშლილობას ბოლო მოუღო რუსეთის ხელისუფლების დამყარებამ გურიაში. ესეც რუსეთთან შეერთების დადებითი მხარე იყო.

სოციალური კიბის მომდევნო საფეხურზე აზნაურები იდგნენ.

გურიაში რამდენიმე კატეგორიის აზნაური იყო. აზნაური შეიძლება ყოფილიყო სამთავრო (სამთავროს გაუქმების შემდეგ სა-

---

1 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 252.
2 ს ცს ი ა, ფ. 227, საბ. № 1495.
3 თ. სახოკია, დასახ. ნაშრ., გვ. 67.
4 იქვე.
5 АКАК, т. II, стр. 541—543, 545-546; т. III, стр. 183, 186—188.
6 ს ცს ი ა, ფონდი 548, საქ. 708. ფ. 70. გვ. 2.
7 იოანე მაჭუტაძესა და მამუკა ნაკაშიძეს შორის „ბევრი ცუდ-მუდი და სამტერო და სავალო საქმე და აშლა მოხთა" (სცსია, ფ. 226, საბ. № 2069).
8 АКАК, т. III, стр. 188.

ხაზინო); საეკლესიო და სათავადო. ყოფილან აგრეთვე აზნაურის აზნაურებიც.[1]

აზნაური ყმებით პატრონის მიერ ნაწყალობევ მიწაზე ცხოვრობდა.

საერთო ეკონომიური დაცემის პერიოდში აზნაურთა წოდება ძლიერ ზიანდება. ეკონომიურად შევიწროებული პატრონი თავისი აზნაურის ყმებსაც ბეგრავს. განსაკუთრებით მძიმე იყო თავადის აზნაურის მდგომარეობა. პატრონების უკონტროლო ბატონობის პერიოდში ისინი დაკნინებას განიცდიდნენ, ღატაკდებოდნენ.

პატრონისადმი ვალდებულების მიხედვით აზნაურებს შორის სხვაობა არსებობდა: ზოგს მხოლოდ პირადი სამსახური ევალებოდა, ზოგს კი — თავადისათვის შემოსავლის ნაწილი უნდა მიეტანა, იყვნენ „გარდაუხდელნიც“.

სამთავროს გაუქმების შემდეგ მთავრის აზნაურები სახელმწიფო უწყებაში გადაირიცხნენ. სახაზინო უწყებაში აზნაურთა მდგომარეობა თითქმის უცვლელი დარჩა. მართალია, მათი ყმების დიდ ნაწილს სახელმწიფოსა და ეკლესიის სამსახური ევალებოდა, მაგრამ სახაზინო აზნაურთა მდგომარეობა სხვა სახის აზნაურებთან შედარებით მაინც უკეთესი იყო.

გურიაში მრავლად იყვნენ როგორც მცირე ყმა-მამულიანი, ისე უმიწო და უყმო აზნაურები. ოზურგეთისა და შემოქმედის მოურავის ლაზარე ნაკაშიძის 1829 წლის მოხსენებაში დასახელებულ აზნაურთაგან, მაგ., აზნაურ ოთარ გოგიტიძეს სამი ყმა ჰყავდა, ამდენივე — გიორგი გოგიტიძეს, მამუკა კალანდარიშვილს — ორი, ასევე — გოგია კვაშალს; ბეჟან მამინაიშვილს, გიორგი მდივანს და სხვას — თითო-თითო, ხოლო იოანე კალანდარიშვილს, მაქსიმე კვაშალს, სვიმონ გოგიტიძეს სულაც არ ჰყავდა ყმები.[2]

გურიის გაბატონებულ კლასს მიეკუთვნებოდნენ აგრეთვე აზნაურული სამღვდელოების წარმომადგენლები (ეპისკოპოსები, წინამძღვრები), რომლებიც საკმაოდ დიდ მამულებს ფლობდნენ და მრავალრიცხოვანი ყმებიც ჰყავდათ. ფრ. ენგელსის სიტყვით, „ტლანქი ძალმომრეობის გვერდით ისინი იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წვალების მუქარის გვერდით შეჩ-

---

1 მ. დუმბაძე, გურიის სამთავროს სოციალურ-ეკონომიური ვითარება XIX საუკუნის პირველ მესამედში, გვ. 37-38. სამწუხაროდ, ჩვენ აზნაურის აზნაურის შესახებ გურიის საბუთებში ვერავითარი კონკრეტული ცნობა ვერ ვიპოვეთ.

2 გურიის სამთავროს შესახები 1828-29 წლის საბუთები, აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სსრ სახ. მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილების აღუწერელი ფონდიდან.

ვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას, საალსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ.“[1] გერმანიის სამღვდელოების ზედაფენის ეს კლასიკური დახასიათება გურიის აზნაურული სამღვდელოების დასახასიათებლადაც შესანიშნავია.

სასულიერო წოდების პლებეური ნაწილი სოფლის მღვდლებისაგან შედგებოდა. ისინი ფეოდალური იერარქიის გარეშე იდგნენ.[2] სამღვდელოების მაღალ და დაბალ ფენებს შორის „ინტერესთა ერთიანობის გვერდით დიდია ინტერესთა სხვადასხვაობაც.“[3]

აღებული ხანის გურიაში ორი სამიტროპოლიტო (შემოქმედი, ჯუმათი) არსებობდა.

1833 წლის ცნობით, შემოქმედის ეპარქიაში ითვლებოდა: 1 არქიმანდრიტი, 12 ბერ-მონაზონი, 2 მთავარდიაკონი, 1 დეკანოზი, 56 მღვდელი, 47 დიაკონი, 2 მორჩილი და 45 ეკლესია, ხოლო ჯუმათისაში — 2 არქიმანდრიტი, 1 იღუმენი, 11 ბერ-მონაზონი, 77 მღვდელი, 40 დიაკონი, 32 ეკლესია.[4]

მაშასადამე, გურიაში ამ დროისათვის ყოფილა სულ 3 არქიმანდრიტი, 1 იღუმენი, 1 დეკანოზი, 23 ბერ-მონაზონი, 133 მღვდელი, 87 დიაკონი, 2 მთავარდიაკონი, 2 მორჩილი და 77 ეკლესია.

შემოქმედის მონასტერი 133 კომლ გლეხს ფლობდა, ჯუმათისაკი — 235-ს.[5] გარდა გლეხებისაგან მიღებული გადასახადისა, გურიის მონასტრებს შემოსავლის სხვა წყაროებიც გააჩნდათ.[6]

დაბალი საზოგადოება გლეხური წარმოშობის იყო. სასულიერო სამსახური გლეხს ყმობისაგან არ ანთავისუფლებდა. მღვდლები და დიაკვნები თავადაზნაურებს ჰყავდათ მითვისებული და ბეგარა-გადასახადებს ახდევინებდნენ.

1807 წელს სასულიერო წოდება აღმ. საქართველოში ბატონყმური დამოკიდებულებისაგან გაანთავისუფლეს.[7] იმერეთში სასუ-

---

1 ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, 1932 წ., გვ. 32.

2 იქვე, გვ. 33.

3 ბეჭედნიშვილი, საქართველოს ისტორია 13-14 სს., „ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები“ (შემდეგში შემოკლებით, თსუ შრომები), ტ. VI, თბ., 1938 წ., გვ. 287.

4 АКАК, т. VIII, стр. 442.

5 იქვე.

6 ჯუმათის მონასტერთან წელიწადში ორჯერ იმართებოდა ბაზრობა. ამ ბაზრობაზე ბაჟის სახით შემოსული თანხის ნახევარი მონასტრის სასარგებლოდ მიდიოდა. (АКАК, т. VIII, стр. 442). ასევე შემოდიოდა თანხა მდ. სუფსაზე არსებული საბაჟოდან. მონასტერს საშენი ტყეცა და მდ. მალთაყვაზე სათევზაოც ჰქონდა (იქვე).

7 АКАК, т. VIII, стр. 78.

ლიერო პირთა განთავისუფლება 1838 წელს მოხდა.[1] გურიაში ამ ღონისძიებამ დაიგვიანა.

1839 წლის 27 ოქტომბერს საქართველოს ეგზარხოსი ევგენი მთავარმმართველს აუწყებდა: „გურიის სამღვდელოების განთავისუფლების შესახებ თუმცა თქვენის მხრით უკვე გაცემულია განკარგულება, მაგრამ ჯერ კიდევ არ არის სისრულეში მოყვანილიო.“[2]

ბატონყმური უღელი მთელი სიმძიმით კისერზე აწვა ექსპლოატირებულ გლეხკაცობას. ყმა-გლეხთა წოდება ერთ მთლიან სოციალურ ფენას არ წარმოადგენდა. გლეხთა საერთო დამახასიათებელი ნიშანი მებეგრეობა იყო.[3]

ყმები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ მაღალი წოდებისადმი მათი უფლებრივ-ეკონომიური დამოკიდებულების მიხედვით. იმის მიხედვით, თუ ვის დამოკიდებულებაში იყვნენ, გლეხები რამდენიმე კატეგორიად იყოფოდნენ: სამთავრო, სათავადო, სააზნაურო. იყვნენ აგრეთვე გლეხთა გლეხებიც.

ყმობა მემკვიდრეობით გადადიოდა. გურიის საბუთებში მრავალი სახის ყმები იხსენიება. ასეთებია მაგ., „ნაწყალობევი“ და „შეწირული“, „ნასყიდი“ და „სურვილითა“ (=ნებიერი) და სხვ. დასახელებულ ყმათა შორის არსებობდა უფლებრივ-ეკონომიური განსხვავება. „სურვილითა“ ყმა სხვებთან შედარებით უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდა. ყველაზე უფრო მძიმე იყო ნასყიდ ყმათა მდგომარეობა. ზემოაღნიშნული კატეგორიის გლეხების მდგომარეობაში იმყოფებოდნენ აგრეთვე „დაწინდული“, „ტყვეობიდან გამოსყიდული,“ „მზითეული“ და სხვა ყმები.

გურიაში ბეგარა-გამოსაღების ოდენობა უმთავრესად „დებულებით“ იყო განსაზღვრული. ამ დროს გურიაში სამივე სახის რენტა (შრომა-მიგებით, პროდუქტიული, ფულით) არსებობდა. მაგრამ გლეხები მეტწილად გადასახადს იხდიდნენ სოფლის მეურნეობის პროდუქტებით.

გლეხთა შორის სამთავრო ყმების მდგომარეობა შედარებით უკეთესი იყო. მ. გურიელის 1814 წელს შემოქმედის მონასტრისადმი შეწირულების წიგნიდან ჩანს, რომ უჩხუბს მოსახლე ბახუტა ოთხმეზურს მართებდა გადასახადი: ორი ქილა ღომი, ოთხი საწყავი ღვინო, ხუთი ყურუშის საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ღოლა-

---

1 АКАК, т. IX, стр. 105.
2 იქვე.
3 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 286.

რიკის სანთელი,[1] მახარბელა ლომინაძეს და მის ძმისწულს — 6 ქილა ღომი, ოთხ-ოთხი საწყავი ღვინო, ხუთი ყურუშის საკლავი, ერთი ქათამი, ერთი ოლარიკის სანთელი და სამსახური.[2] მაკმაენეთის მცხოვრებ გიორგი ქათამაძეს მართებდა: ხუთი ქილა ღომი, ოთხი საწყავი ღვინო, საკლავის ფასი, ექვსი ქათამი და სხვა სამსახური ტვირთით.[3]

მთავრის სხვადასხვა კატეგორიის ყმები სხვადასხვანაირად იყვნენ დაბეგრილნი. ზოგიერთს ბეგარა ედო, ზოგს „სამასპინძლო", ზოგიერთს „მსახურება" და ზოგსაც სხვა რაიმე მართებდა. თავიანთი მდგომარეობით სამთავრო გლეხებს მოსდევდნენ საეკლესიო გლეხები. ამ კატეგორიის გლეხებს მართებდათ: ზოგს „შობის ძღვენი," შინ „დაპაიჯება," ყანის მუშაობა... ხეზე გასვლა, ნიგოზის მორეკვა, გიდელი, გაგზავნ-გამოგზავნა, შინაყმობა და სალიანი.[4] ზოგსაც: თითო რუბის საკმეველი და თითო მარჩილის სანთლის გადახდა ეკისრა.[5]

საეკლესიო ყმების ბეგარა-გამოსაღებები საერთოდ სათავადაზნაურო ყმების გადასახადებს არ ჩამოუვარდებოდა, მაგრამ მათი მდგომარეობა ამ კატეგორიის ყმებზე უკეთესი რომ ყოფილა, ამას, სხვათაშორის, მოწმობს 1831 წლის დავით ქართველი-კალანდარიშვილის თავის შეწირულობის წიგნი.[6]

ყველაზე მძიმე იყო თავადისა და აზნაურის ყმის მდგომარეობა. ამ ყმებს სამთავრო გადასახადიც ედოთ. მთავარი ამა თუ იმ თავადის ან აზნაურის ყმას სამთავრო გადასახადისაგან ათავისუფლებდა ხოლმე. ეს დამოკიდებული იყო მთავარსა და თავადს შორის აქამდე არსებულ განწყობილებაზე. ასე მაგ., კაცო ნაკაშიძის ყმები „არას იხდიან მთავრის სახლისათვის."[7] ასევე „გარდაუხდელნი" იყვნენ საპატიო კაცის როსტომ შალიკაშვილის და სხვათა ყმები.

ზოგჯერ თავადისა და აზნაურის ყმა-გლეხთა ნაწილი დაბეგრილი იყო „მთავრის მებეგრეთა" მსგავსად, ხოლო მეორე ნაწილი თავისი უშუალო პატრონის მებეგრეს წარმოადგენდა. ასე იყო საჯავახოს, გურიანთისა და აკეთის სამოურავოებში.

---

1 ს ც ს ი ა, ფონდი 227, საბ. № 9, გვ. 1.
2 იქვე, გვ. 2.
3 იქვე, გვ. 4.
4 ს ც ს ი ა, ფონდი 226, საბ. № 3969.
5 Д. Бакрадзе, АПГА, стр. 237.
6 ს ც ს ი ა, ფონდი 226, საბ. № 5805.
7 1928-29 წლის გურიის სამთავროს საბუთები.

მართალია, ზოგიერთი თავადის თუ აზნაურის ყმას გურიელი სამთავრო გადასახადისაგან ათავისუფლებდა, მაგრამ ეს გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესებას არ მოასწავებდა. „ასეთ გადასახადებს ამიერიდან ეს ყმები შეუვალობის მქონე მებატონეს უხდიდნენ.“[1]

აღებული ხანის გურიაში საბატონო ვალდებულების მიხედვით გლეხები იყოფოდნენ ოთხ კატეგორიად: აზატებად, მსახურებად, მებეგრეებად, მოჯალაბეებად.

აზატები „გათავისუფლებულ“ გლეხთა ფენას შეადგენდნენ. მებატონე „ათავისუფლებდა“ გლეხს გადასახადისა და ზოგიერთი მოვალეობისაგან. ასეთ გლეხს აზატი — „თავისუფალი“ ერქვა.

გლეხი აზატობას აღწევდა „განსაკუთრებული საშსახურის“, „თავდახსნის,“[2] ან სხვა საშუალებით.

1828-29 წლების გურიის საბუთებში იხსენებიან „აზატნი მეწიგნენი.“ მოურავ ლ. ნაკაშიძის 1829 წლის მოხსენებაში ნათქვამია: ბერიკელა ჟორჟოლიანი წიგნის წამღებია და არას იხდისო.[3]

მართალია, აზატი „თავისუფალს“ ნიშნავს, მაგრამ არსებული ურთიერთობის პირობებში გლეხი სრულ თავისუფლებას ვერ აღწევდა. აზატს ბატონის „მსახურება“[4] მაინც ვალად ედო.

აზატების შემდეგ მსახურები იდგნენ.

მსახურთა ფენა გარდამავალ კატეგორიას ეკუთვნოდა. ისინი მიწათმოქმედებასაც ეწეოდნენ, მაგრამ მათი წოდებრივი ფუნქციები (ლაშქრობა, სამსახური) აზნაურული იყო. ბატონყმობის პერიოდში „მსახურები ეკონომიურ და სოციალურ დაქვეითებას განიცდიდნენ. ხშირი ლაშქრობა და სამსახური, „პატრონის გამასპინძლება“ „როგორც თავი ესახელებოდეს“, ერთობ მძიმე ტვირთად აწვა მწარმოებელთა ამ ფენას, რაც უწყალოდ ანადგურებდა მას და გლეხობისაკენ მიერეკებოდა.“[5]

გურიაში მსახურ მეხადილებს სხვადასხვა სახის ბეგარა-ვალდებულება ედოთ. შემოქმედს მცხოვრები „მეხადილენი“ მთავრის სახლისანი მესამე-მესამე წელს ხადილს მიართმევენ.“[6]

---

1 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 302.

2 კ. ბოროზდინი, ბატონყმობა სამეგრელოში, თბ., 1927 წ., გვ. 47. ქ. მახარაძის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 2.

3 გურიის 1828-29 წლის საბუთები.

4 ქ. მახარაძის სამხარეთმცოდნეო მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, საბ. № 2.

5 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია, 13-14 სს., თ ს უ შრომები, ტ. VI თბ., 1938 წ., გვ. 286.

6 გურიის 1828-29 წლის საბუთები.

თ-დ ნარიმან მაჭუტაძის ყმები: გიორგი და იოანე ჟღენტები, ეს ორი კომლი ერთ ძროხას გადაიხდიან, გარდა ამისა თვითეული ვალდებულია გადაიხადოს ერთნახევარი ქილა ღომი, ორნახევარი საწყავი ღვინო, ორი ქათამი.[1]

მთავრის სახლის სამკვიდრო აზნაურის თაზო ჯაყელის ყმებს მართებდათ: „მთავარი მიბრძანდებოდა მისას და ძროხას დაუკვლიდა“.[2]

გურიის მსახურ-მეხადილეთა შორის ყველაზე მეტად საკათალიკოსოს სამოურავოს მეხადილენი იყვნენ დაბეგრილნი. ისინი „საციხოსა“ და სხვათა გარდა კომლზე იხდიდნენ: თითო ძროხას, 1 საწყავ ღვინოს, 1—5 გოდორ ღომს, 1—6 ქათამს.[3]

ჩვეულებისამებრ მეხადილე კაცებს უნდა მიბრუნებოდათ: „...მათი მოყვანილი ძროხებისაგან ტყავი, თავი, ფეხი და გულღვიძლი“, ხოლო „კისერს ხელოსანი წაიღებდა“.[4]

გამასპინძლებისა და გარკვეული გადასახადის გარდა მსახური ვალდებული იყო ბატონისათვის მოსამსახურეც გამოეყო.[5]

გლეხთა შორის ყველაზე მრავალრიცხოვან ფენას მებეგრეები შეადგენდნენ. ყმათა ეს ფენა გურიაში სხვადასხვანაირად იყო დაბეგრილი. ქონებრივი და ოჯახური მდგომარეობაც განსაზღვრავდა მებეგრის ვალდებულებებს.

ჩოჩხათის მცხოვრები მთავრის სახლის სამკვიდრო მებეგრეები ყოველ წელიწადს იხდიდნენ: ზოგი 20 ყურუმს, 4 საწყავ ღვინოს, 5 ქილა ღომს, 4 ქათამს, ზოგი 12 ყურუმს, 3 საწყავ ღვინოს, 3 ქილა ღომს, 6 ქათამს და სხვ.

ზოგიერთი „ობლობისა და სიღარიბის გამო არას იხდიდა.“[6]

გურიის სხვადასხვა სამოურავოში მებეგრეთა ვალდებულებანი განსხვავებული იყო. მაგ., ჩოჩხათის, აკეთის და ნაგომრის სამოურავოებში გლეხები უფრო მეტად იყვნენ დაბეგრილნი, ხოლო ზოგიერთში (ჩიბათი, ჯურუყვეთი) შედარებით მსუბუქად.

გარდა გადასახადებისა, მებეგრეს მრავალი ვალდებულება ეკისრა: ყოველ მებეგრე კომლს ბატონისათვის უნდა მიეცა ფარეში, ანუ შინაყმა, გარკვეული დროის განმავლობაში ემუშავა მემა-

---

1 გურიის 1828-29 წლის საბუთები.
2 იქვე.
3 იქვე.
4 იქვე.
5 ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისთვის, „საისტორიო კრებული,“ წ. 1, თბ., 1928 წ., გვ. 2. შ. ჩხეტია, საგლეხო რეფორმის ისტორიისათვის საქართველოში, თბ., 1950, წ., გვ. 105, შენიშვნა 1.
6 გურიის 1828-29 წლის საბუთები.

მულის ყანაში, მიერთმია მისთვის ძღვენი, გამასპინძლებოდა სტუმრად მისულ ბატონს და სხვ.

ბატონები ცდილობდნენ ვალდებულებების გადიდებას, მაგრამ გლეხები მედგრად იცავდნენ მამაპაპურ „დებულებას.“[1]

გლეხთა შორის უდაბლეს საფეხურზე მოჯალაბე იდგა. იგი მოკლებული იყო ყოველგვარ უფლებას. მოჯალაბეს საკუთარი მეურნეობა არ გააჩნდა. იგი ბატონის კარზე ცხოვრობდა.

პროფ. ს. კაკაბაძე მოჯალაბეს „მეახორე“-სთან აიგივებს.[2] მოჯალაბე ყველაზე სათაკილო სამუშაოებს ასრულებდა; ეზიდებოდა „ზურგით შეშას,“[3] „ცეხვდა ღომს“[4] და სხვ.

მიუხედავად გლეხთა შორის არსებული უფლებრივ-ეკონომიური განსხვავებისა, ყველა ისინი მაინც ერთ საერთო ტაფაში იწვოდნენ.

გლეხთა მდგომარეობას განსაკუთრებით აუარესებდა ტყვეთა ტაცება.

ქვეყნის ეკონომიური დაცემულობა, ტყვეთა მომხმარებელი ოსმალეთის მეზობლობა და ადგილობრივი ხელისუფლების სისუსტე ტყვეთა მტაცებლობას ფართო გასაქანს აძლევდა.

ტყვეთა სყიდვა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების შეფერხებას მოწმობდა და მისი გადაშენების საფრთხეს ქმნიდა. „არც ერთ ომს, არც ერთ დამპყრობელს, — წერს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — ხმლით იმდენი ზარალი არ მიუყენებია საქართველოსათვის, რამდენიც ტყვეთა ტაცებამ მიაყენა მას.“[5]

ისტორიკოს ნ. დადიანის სიტყვით, „...დიდათ ეკირთებოდენ თათარნი გურიასა და აწუხებდნენ მოხდომითა, კაცის კვლითა და წარტყვანითა ტყვეითათა, კნინღა და ყოველ გურია აღიხოცა, რომელნიმე თათართა მიყავდა და რომელნიმე განიბნინენ იმერეთად

---

1 Н. Дубровин. История войны и владычества русских на Кавказе, т. I, СПБ, 1871 г., стр. 274.

2 ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 1.

3 გურიაში განსაკუთრებით დამამცირებელ საქმიანობად ითვლებოდა „ტვირთის ზიდვა“. ნ. ბერძენიშვილის სიტყვით, „ტვირთის მოვალეს ზიზღით იხსენიებდნენ“ (ციტირებ. ლ. მუსხელიშვილი, დას. საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI-XVII სს., „ენიმკის მოამბე“, ტ. V-VI, თბ., 1940 წ., გვ. 277).

4 ჯერ კიდევ XVI საუკუნეში ოცხანელი გლეხებიდან ორი კომლი ღომის მცეხველია. მათ „...ბეგარა არა მართებთ რა სამსახურისა და მცეხველობის მეტი“ (ს. კაკაბაძე, მასალები დას. საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, „საისტორიო კრებული“. წ. III. თბ., 1928 წ., გვ. 16). გურიის 1828-29 წლის საბუთებში რამდენჯერმე იხსენიება მოჯალაბე.

5 ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, თბ., 1950 წ., გვ. 382.

და ოდიშად. თუმცა გურულნი მამაცად და მხნედ ბრძოლენ, მრავალსა ხოცდენ და შეიპყრობდენ და ამარცხებდენ, გარნა სიმრავლისა გამო თათართა ვერ ეკმავენ გურულნი."[1]

ტყვეების მტაცებელთა შორის განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდნენ ახალციხისა და ქობულეთის ბეგები და აღები. მათთან ერთად ტყვეების სყიდვა სარფიან საქმედ გაიხადეს ადგილობრივმა მებატონეებმაც, როგორიც იყვნენ, მაგალითად, მალაქია გურიელი, ყარამან თავდგირიძე, ალექსანდრე მაჭუტაძე და სხვ.[2]

რუსეთის მთავრობა ენერგიულად ცდილობდა ტყვეთა ტაცება-სყიდვის აღმოფხვრას. ამ მიზნით საზღვარზე მოეწყო ე. წ. „საკორდონო ხაზი". ეს ღონისძიება გარკვეულად უდებდა ზღვარს ტყვეების მტაცებელთა პარპაშს; მუსლიმან აბრაგებსაც წაერთვათ შესაძლებლობა წინანდებურად ეთარეშნათ გურიაში. თანდათან იქმნებოდა მშვიდობიანი ცხოვრების პირობები. ესეც რუსეთთან შეერთების დადებითი მხარე იყო.

მშრომელი გლეხობა დიდად აფასებდა რუსეთის ხელისუფლების ამ ღონისძიებას, მაგრამ „საკორდონო ხაზი" ტყვის მტაცებელთა ძლიერ უკმაყოფილებას იწვევდა. აღებული ხანის გურიაში მოსახლეობის არცთუ ისე უმნიშვნელო ნაწილი (უმთავრესად გაკოტრებულ თავადაზნაურთა წრიდან) იყო ჩაბმული შემოსავლის ამ ფრიად სარფიან საქმეში. ბევრი მათგანი აქტიურად მონაწილეობდა 1841 წლის აჯანყებაში.

ამავე ღონისძიებით დიდად იყვნენ შეშფოთებული ოსმალეთის სასაზღვრო პროვინციების ბეგები. რუსთა გაძევება გურიიდან და საზღვარზე ძველი მდგომარეობის აღდგენა მათ სანუკვარ ოცნებას წარმოადგენდა. ამიტომაც ამ ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ყოველგვარ მოძრაობაში ისინი ხალისით ებმებოდნენ. ასე იყო 1841 წელსაც (ჰასან ბეგი).

მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის მთავრობის ყველა ღონისძიება როდი აუმჯობესებდა ადგილობრივ მკვიდრთა მდგომარეობას. ასე მაგ., მეფის მთავრობამ გურიაში ხელუხლებლად დატოვა შეერთებამდელი ხანის ადგილობრივი ბეგარა-ვალდებულებანი და თავის მხრივ გლეხებს ახალი ბეგარა-გამოსაღები დააკისრა. უდავოა, რომ ეს გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის

1 ნ. დადიანი, ქართველთ ცხოვრება, გვ. 21.

2 ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს ბატონყმობის ფაქტიური მასალები, 1, თბ., 1924 წ., გვ. 92—100.

გაუარესებას მოასწავებდა. საგზაო და სატრანსპორტო ბეგარა, ჯარებისათვის პურის დამზადება და სხვ. ახალ ვალდებულებად იქცა.

ამ დროისათვის მეფის რუსეთს საქართველოსთან მიმოხვლისათვის ხელსაყრელი გზები არ გააჩნდა. ნაოსნობაც განუვითარებელი იყო. ჯარების მომარაგება (ამუნიცია, სურსათი) განსაკუთრებულ სიძნელეებს უკავშირდებოდა. პროდუქტებს მოსახლეობაში აგროვებდნენ; საბრძოლო ამუნიციის გადატანაც ადგილობრივ მცხოვრებთა ტრანსპორტით ხდებოდა.

მოსახლეობას სპეციალურად უნდა დაემზადებინა გურიაში მდგარი რუსის ჯარის გამოსაკვებად საჭირო პური. 1817 წ. 1 ნოემბერს მ. გურიელი კაცო და ბეჟან ნაკაშიძეებს უბრძანებდა: „ვინათგან მაქვს ვალი მსახურებისა მათის უდიდებულესის რუსეთის ხელმწიფის იმპერატორისა:.. ამის გამო გთხოვთ და გიბრძანებთ მტკიცედ, რომელ გამოუცხადოთ რწმუნებულთა თქვენდამი ხელქვეშეთა ყმათა, რათა რაოდენიცა ძალ ედვასთ მოიმუშაონ პური მისაცემლად ფასითა გურიისა შინა მდგომარეთა რუსეთის მხედრობათადმი: — ოდეს მოიმუშავების პური იგი მცხოვრებთაგან მოთხოვნებისამებრ მომეცეს მე თქვენ მიერ და ჩემ გამო მიიღებთ ზომიერსა ფასსა სახაზინოისასა. მაშინ ჯერ იქნების რათა თეთრი იგი დაურიგოთ შეკრებილის პურის მეპატრონეთა ხელქვეშეთა“.[1]

მთავრობისათვის ჩასაბარებელ პურზე გურიელის მიერ დაწესებული ფასები სამჯერ ნაკლები იყო ბაზარზე არსებულ ფასზე[2]. არ შეიძლება ამ ღონისძიებას თავისი უარყოფითი გავლენა არ მოეხდინა გლეხთა ისედაც მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაზე. პურზე და სხვა პროდუქტებზე არსებული დაბალი ფასები არც მემამულეების და ვაჭრების ინტერესებს შეესაბამებოდა.[3]

მოსახლეობისათვის მძიმე ვალდებულება იყო აგრეთვე სატრანსპორტო ბეგარა. გრძელ გზებზე ხშირად იღუპებოდა გლეხის გამწევი ძალა. ადგილობრივი მოხელეებიც (რუსი, ქართველი) ათასგვარ ბოროტმოქმედებასა და სისაძაგლეს ჩადიოდნენ და უმოწყალოდ ჩაგრავდნენ ხალხს.

1837 წელს გურიაში მივლინებული პოლკ. ვროჩენკო გურიის „დროებითი მმართველობის“ თავმჯდომარეებს ასე ახასიათებდა: „მმართველები მხოლოდ საკუთარი სარგებლობისათვის იღწვოდნენ და არა ოლქისა და მართლმსაჯულების მოწესრიგებისათვის. ყველა

1 მოამბე, 1899 წ., № 11, გვ. 19.
2 АКАК, т. V, стр. 509.
3 Журнал «Русская старина», 1872 г., т. VI, стр. 50.

მათგან გამოირჩევა მიმდინარე წელს (1837 წ.—ი. ს.) შეცვლილი მაიორი ორლოვი; მის დროს კანონების ხსენებაც კი არ ეყო. ყველაფერი კეთდებოდა ძალადობითა და ძლიერის უფლებით.[1]

1827 წლის 24 მარტს ქართველი თავადები უფლებებში გაუთანასწორეს რუსეთის „პომეშჩიკებს". ერეკლე II-ის საქართველო ენერგიულ ღონისძიებებს ატარებდა ფეოდალიზმის ახალ (მემამულურ-ბატონყმურ) საფეხურზე ასვლისათვის, მაგრამ რეაქციის გამარჯვებამ ეს წამოწყება ჩაშალა. ამ პროგრესული საქმის განხორციელება საქართველოში წილად ხვდა რუსეთს. თვითმპყრობელობამ თავიდანვე აქტიურად შეუტია დრომოჭმულ ქართულ თავადურ სისტემას და ნახევარსაუკუნოვანი ბრძოლით მოშალა იგი. ამიერიდან „საბოლოოდ გაქრა ქართული თავადური წყობილება,... გაქრა ქართველი თავადი და მისი ადგილი რუსულმა „პომეშჩიკმა" დაიჭირა,... ეს იყო **ახალი საფეხური საქართველოს საზოგადოებრივ განვითარებაში,...** სამაგიეროდ ქართველმა პომეშჩიკმა მთავრობისაგან მკვიდრი გარანტია მოიპოვა გლეხებზე... შეუვალი ბატონობისა,... **თვითმპყრობელობა და ქართველი მებატონეები გლეხობის ხარჯზე მორიგდნენ."**[2]

ამ შერიგების ნაყოფს წარმოადგენს 1848 წლის ცნობილი ადრესი. მაშასადამე, მორიგდნენ უფრო გვიან, ხოლო 40-იანი წლების დამდეგს კი თავადური რეაქცია ჯერ კიდევ არ სთმობდა პოზიციას. 1841 წლის გლეხთა აჯანყებაში გაკოტრებული ძველის დამცველებმა ერთხელ კიდევ გვიჩვენეს თავიანთი სახე. თავადური წყობილების აღდგენისათვის ებმებოდა აჯანყებაში გურიის ფეოდალთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი (ტიპიურია თ-დი დავით გუგუნავა), თუმცა აჯანყებაში მონაწილე ყველა თავადი ან აზნაური „ერთი ჯოხით არ გაირეკება" (მაგ., თ-დი ამბაკო შალიკაშვილი).

გარდა აღნიშნული ღონისძიებებისა, ქართველ თავადაზნაურთა გულისწყრომას იწვევდა ის გარემოებაც, რომ ისინი არსებითად ჩამოცილებულ იქნენ მმართველობას.

1831 წელს მთავარმმართველი როზენი პეტერბურგის მთავრობას ატყობინებდა: „მე ვამჩნევ აქაურ აზნაურებსა და თავადებ-

---

1 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 45, л. 198.

2 ნ. ბერძენიშვილი, რეცენზია ა. კიკვიძის სადოქტორო დისერტაციაზე — საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა საქართველოში XIX საუკუნეში, გვ. 483.

ში ერთგვარ მჭმუნვარებას, რომელიც უკმაყოფილებას უახლოვდებაო.“[1]

მეფის ხელისუფლება ხაზინის შემოსავლის გამრავლებისათვის იღწვოდა. ამის გამო მთავრობა „მებატონესა და გლეხებს შორის აღმოცენებულ კოლიზიას ხშირად იმისათვის იყენებდა, რომ ეს გლეხები მებატონეებისაგან ჩამოეშორებინა და სახაზინო უწყებაში გადაერიცხა.“[2]

30-იან წლებში მთავრობამ თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა სათავადო აზნაურთა საკითხი. 1833 წლის კანონით[3] აღნიშნული კატეგორიის აზნაურები თავისუფლდებოდნენ თავადთა ყმობიდან და აზნაურობის დამამტკიცებელი დოკუმენტების უქონლობის შემთხვევაში სახელმწიფო უწყებაში გადადიოდნენ სახაზინო გლეხის უფლებით. ასეთი საბუთების წარდგენას მხოლოდ ზოგიერთი თუ შეძლებდა. უმრავლესობა ტრადიციას ემყარებოდა და არავითარი წერილობითი დოკუმენტი არ გააჩნდა. ეს ღონისძიება დიდად აუარესებდა სათავადო აზნაურთა როგორც სოციალურ (ისინი გლეხთა წოდებაში გადადიოდნენ), ისე ეკონომიურ (კარგავდნენ მიწის მნიშვნელოვან ნაწილს) მდგომარეობას.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა თავადაზნაურთა ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. (თავადები ზარალობდნენ აზნაურთა განთავისუფლებით, ხოლო აზნაურები — საგლეხო წოდებაში გადარიცხვით, მამულების დაკარგვით). მთავრობის აღნიშნული ღონისძიებით უკმაყოფილო იყო ორივე წოდება.

პროფ. შ. ჩხეტიას სიტყვით, „მთავრობა ამ დროს საკმაოდ მტკიცედ გრძნობდა თავს საქართველოში და ამიტომ ის მაინცდამაინც არ ცდილობდა ანგარიში გაეწია ამ უკმაყოფილებისათვის.“[4]

მთავრობის სოციალურმა ღონისძიებებმა გაამწვავა შინაკლასობრივი ბრძოლა. ამასთან დაძაბა ურთიერთობა ადგილობრივ ფეოდალურ საზოგადოებასა და მეფის ხელისუფლებას შორის.

აღებული კურსის უნიადაგობა მალე გამოირკვა.

განსაკუთრებით სავალალო იყო მწარმოებელი კლასის მდგომარეობა. გლეხთა სასტიკი ექსპლოატაცია, ადგილობრივ მებატონეთა გაუმაძღრობა და ახალი ხელისუფლების პოლიტიკა ამწვავებდა კლასობრივ ბრძოლას. გლეხები მედგრად იბრძოდნენ თავიანთი მჩა-

---

1 ვ. ნ. ივანენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 192.

2 შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 15.

3 Полное собрание законов Российской империи, 1833 г., № 6311 (შემდეგში შემოკლებით—ПСЗРИ).

4 შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 16, შენიშვნა 2.

გვრელი მებატონეებისა და მოხელეთა თავგასულობის წინააღმდეგ, ეურჩებოდნენ მათ, არ ასრულებდნენ დაკისრებულ ბეგარა-გალდებულებებს, კლავდნენ სისხლისმსმელ მებატონეებს, ფირალობდნენ.

1829 წ. ზავილეისკი გენ.-ადიუტ. სტრეკალოვისადმი პატაკში, მიუთითებდა რა მძიმე მემამულურ ჩაგვრაზე, დასძენდა, რომ გლეხები მთელ საქართველოში „ხშირად სრულებით უარს უცხადებენ მათ (მებატონეებს — **ი. ს.**) დამორჩილებაზე.“[1]

გაიზარდა მებატონეთა საჩივრები წრესგადასულ გლეხებზე. ასე მაგ., 1837 წელს აზნაური მერაბ ცქიტიშვილი (სოფ. აკეთი) გურიის დროებით სასამართლოს თხოვდა, რომ გურიელისაგან ნაწყალობევი გლეხი ი. მგელაძე (ს. ჭანჭათიდან) და მისი შვილი ოტიელა, ეს ორი კომლი, არ მემორჩილებაო. „რომელ განწესებული სამსახური პირველიდგანა აქვს აღარც იმას მსახურებს, შინაყმაც წამართვა და არც ნახევრის ბეგრის მეტი მომცა რა და მრავალი სამსახური და ბეგარა შეირჩინა და არც არას კეთილად ჩემზე მოქმედებს და ჩემთან და ჩემს ოჯახზე მრავალი დანაშაული აქვს და მე მაქვს სიმართლე მაზედ, რომ ერთი მანათის უსამართლობა არა მიქნია. არ მარგია ჭირში და არც ლხინში და არც არაფერს გაჭირვებაშიდ და ვევედრები ამას სასამართლოს რომელ ეს ჩემი კაცი მგელაძე და მისი შვილი ოტიელა დამიმორჩილოთ და მამსახუროთ, როგორც **ბატონყმობის რიგი იყოს...**“[2]

30-იანი წლების გურიაში მწვავე კლასობრივი ბრძოლა მიმდინარეობდა. მემამულეები ძლიერ ავიწროებდნენ თავიანთ ყმებს.

1837 წელს „გურიის სამთავროის სოფლის სამების, ვანის, გოგოლეთს და ჭანჭათს მცხოვრები“ 80 კომლი საბატონო ყმები უჩიოდნენ თავად მამუკა გუგუნავას „შევიწროებისათვის უკანასკნელისაგან პირველისადმი.“[3]

სოფ. საკათალიკოსოს მცხოვრები სახაზინო ყმები სვიმონ და ეგნატე თავართქილაძეები უჩიოდნენ თავადებს სვიმონ, დიმიტრი და დავით ერისთავებს „უკანასკნელისა მიერ პირველთადმი უამრავის ადგილის“[4] წართმევისათვის.

სოფ. სურების მცხოვრები 30 კომლი რამიშვილები უჩიოდნენ მებატონე გიორგი ერისთავს „გარდახდევინებისათვის მათდამი

---

1 АКАК, т. VII, стр. 26.
2 ს ცს ი ა, ფონდი, 45, საქ. № 26.
3 იქვე.
4 იქვე.

საკუთვნელი ადგილი მოსავლისაგან ათისთავისა და ჩამორთმევისათვის სახნავი მიწისა და ტყიანი ადგილისა.“[1]

ხაზინის ინტერესებიდან გამომდინარე მმართველი სენატი ადგენდა: „ყოველ გლეხს, რომლის შესახებაც მემამულეს კანონიერი საბუთი არ მოეპოებოდა,“ უფლება ჰქონდა ეძია თავისუფლება.[2] მაგრამ ბატონყმობის არსებობის პირობებში გლეხს თავისუფლების მოპოვება არ შეეძლო. საბატონო დამოკიდებულებიდან „გათავისუფლებული“ გლეხები სახაზინო უწყებაში გადადიოდნენ. როგორც ვხედავთ, აქ მხოლოდ დამოკიდებულების ფორმა (საბატონო — სახელმწიფო) იცვლებოდა, შინაარსი კი (დამოკიდებულება) იგივე რჩებოდა.

გაბატონებული წოდების უკმაყოფილება თანდათან ძლიერდებოდა. გლეხები, ეძიებდნენ რა „თავისუფლებას“, როგორც აღვნიშნეთ, ხელს იღებდნენ საბატონო ბეგარა-ვალდებულებათა შესრულებაზე. მებატონეები უჩიოდნენ „ბატონყმობის რიგის“ მოშლას.

1832 წელს მეფის მთავრობამ ქართველ თავად-აზნაურებს ურჩი ყმების ჯარისკაცებად განწესებისა და გადასახლების უფლება მიანიჭა.[3] მაგრამ ამ ღონისძიებამ ოდნავაც ვერ შეანელა გაბატონებული წოდების უკმაყოფილება.

გლეხთა მდგომარეობა უარესდებოდა. ისინი ლამობდნენ ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევას. გლეხები აქტიურად გამოდიოდნენ როგორც ადგილობრივ მებატონეთა, ისე მეფის რუსეთის ადგილობრივი ხელისუფლების წინააღმდეგ.

როგორც ვხედავთ, შექმნილი ვითარება აჯანყებისაკენ მიაქანებდა ქვეყანას. გურია 30-იანი წლების დამლევს წააგავდა თოფის წამლით სავსე კასრს, რომლის აფეთქებისათვის ნაპერწკალი იყო საჭირო. ნაპერწკლის როლი ამ შემთხვევაში შეასრულა 1840 წლის სამოქალაქო მმართველობის რეფორმამ, რომელმაც გურიაში აჯანყების ხანძარი დაანთო.

**§ 4. 1840 წლის სამოქალაქო მმართველობის რეფორმა.** ამიერკავკასიის სამოქალაქო მმართველობის რეფორმისათვის ნიადაგის მომზადება მთავარმმართველ პასკევიჩის (1827—1831 წ წ.) დროიდან დაიწყო. აქედან მოკიდებული ამ საკითხზე მრავალი

---

1 ს ც ს ი ა, ფონდი 45, საქ. 26.

2 ПСЗРИ, 1836 г., № 9553. აგრეთვე შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 17.

3 ПСЗРИ, 1832, № 5577, აგრეთვე И. Джавахишвили, Политическое и социальное движение в Грузии, 1906 г., стр. 31.

პროექტი დგებოდა, მაგრამ 40-იან წლებამდე ამ ცდებს შედეგი არ მოჰყოლია.

სამოქალაქო მმართველობის საკითხი განსაკუთრებული სიმწვავით დაისვა 30-იან წლებში. „მთიელებთან ომის დამთავრებისა და შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს დაპყრობის ინტერესები,— წერს ო. მარკოვა, — მოითხოვდა ხელისუფლების აპარატის გამაგრებას ამიერკავკასიაში. რეფორმას ამისათვის ხელი უნდა შეეწყო“.[1]

მეფის მთავრობა ამიერკავკასიაში მმართველობის ისეთი სისტემის შემოღებას ფიქრობდა, რომელიც მისი პოლიტიკის განაღდებას უზრუნველყოფდა.

პასკევიჩის პროექტი ამიერკავკასიის ძალდატანებით რუსიფიცირებას და ადგილობრივი წესებისა და ჩვეულების სრულ მოსპობას ითვალისწინებდა.[2]

30-იან წლებში პასკევიჩის პროექტი ბევრჯერ გადაკეთდა, ხელისუფლებამ ამ საკითხს თავი ვერ გაართვა. მმართველ წრეებში არსებული აზრთა სხვადასხვაობა აჭიანურებდა რეფორმას.

სახელმწიფო საბჭომ გადაწყვიტა საკითხის საბოლოოდ ადგილზე შესწავლა. ამ მიზნით შეიქმნა კომისია სენატორ განის თავმჯდომარეობით. კომისიას საკითხი ისე უნდა გადაეჭრა, როგორც აძას ამიერკავკასიის საქმეებში აღებული გეზი მოითხოვდა.

განის კომისია 1837 წელს შეიქმნა და იმავე წლის ზაფხულში თბილისს ეწვია. კომისიამ საჭიროდ არ სცნო თავი შეეწუხებინა საკითხის ადგილზე შესწავლით. იგი მაშინვე შეუდგა რეფორმის პროექტის შედგენას მმართველობის სისტემის რუსული ტრაფარეტის მიხედვით.

8 თვის შემდეგ კომისიამ დაამთავრა მუშაობა და დამზადებული პროექტი ამიერკავკასიის მომწყობ კომიტეტს წარუდგინა. განის პროექტი არსებითად მის წინამორბედთა პროექტის გაგრძელება-განვითარება იყო. ამ პროექტით ამიერკავკასია რუსეთის შიდაგუბერნიების ანალოგიურად ეწყობოდა, პროექტში ბევრ შეუსაბამობას ჰქონდა ადგილი.

---

[1] О. Маркова, დასახ. ნაშრ., გვ. 197.

[2] ამ პროექტის მიზანი იყო «чтобы оный связать с Россией гражданскими и политическими узами в единое тело и заставить жителей тамошных говорить, мыслить и чувствовать по-русски». М. Рожкова, Из истории экономической политики Российского царизма в Закавказье, «Исторические записки», № 18, 1946 г., стр. 186.

კომიტეტმა განს დაავალა პროექტი შეესწორებინა გაკეთებული შენიშვნების საფუძველზე. მაგრამ განმა, რომელსაც მხარს უჭერდა მოხელეთა დიდი ჯგუფი (ჩერნიშევი, გოლოვინი, პოზენი და სხვ.), პროექტში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები შეიტანა.

1840 წლის 10 აპრილს განის პროექტი უმაღლესად დამტკიცდა. მთელი ამიერკავკასია კასპიის ოლქად და საქართველო-იმერეთის გუბერნიად გაიყო. ამ უკანასკნელში 11 მაზრა შედიოდა. მათ შორის იყო ოზურგეთის მაზრაც.

ადმინისტრაციული რეფორმა მმართველობის რამდენიმე საფეხურს ითვალისწინებდა. მმართველობის უდაბლეს საფეხურს სამაზრო ხელისუფლება წარმოადგენდა. საქართველო-იმერეთის გუბერნიის მაზრები რუსეთის შიდაგუბერნიების მაზრათა ანალოგიურად ეწყობოდა.

ოზურგეთის სამაზრო მმართველობას შეადგენდნენ: მაზრის უფროსი და მისი თანაშემწე, უბნის მსაჯულები, პოლიცია, სამაზრო სასამართლო, მაზრის ხაზინა და მაზრის პროკურორი. გარდა ამისა, მაზრას ჰყავდა ექიმი და რამდენიმე დაბალი რანგის მოხელე.[1] გურიის მაზრის უმაღლესი ხელისუფალი მაზრის უფროსი იყო.

უბნის მსაჯული უბანში თითქმის იმავე ფუნქციებს ახორციელებდა, რასაც მაზრის უფროსი მაზრის ფარგლებში. უბნის მსაჯულის ძირითად მოვალეობას შეადგენდა თვალყური ედევნებინა ბეგარა-გადასახადის დროულად და წესიერად შეტანისათვის.[2]

ოზურგეთის პოლიციას ხელმძღვანელობდა მაზრის უფროსი და კომისარი.[3] პოლიციის უფლება-მოვალეობას იმპერიის საერთო კანონები განსაზღვრავდნენ.

კანონი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბეგარა-გადასახადების საკითხს. არსებობდა სპეციალური საბეგარო კომიტეტები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ გადასახადების დროულად შეტანის საქმეს. გადამხდელი კი გლეხობა იყო. ამ დაბალ ფენას უნდა ერჩინა, როგორც ადგილობრივ მოხელეთა დიდი შტატი, ისე საკუთარი მებატონეები.

რუსული მმართველობის სისტემას შესანიშნავად ახასიათებდა კ. მარქსი: „რუსეთის მმართველობა, სადაც კი ის დაკავშირებულია ფეოდალურ დაწესებულებებთან, განა იგივე არ არის, რაც სამხედრო ოკუპაცია, რომელშიც სამოქალაქო ხელისუფ-

1 ПСЗРИ 1841, стр. 246, № 1316, ст. 85-86.
2 იქვე, გვ. 248. მუხ. 97—105.
3 შ. ჩხეტია, რუსული მმართველობის სისტემა საქართველოში. „საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე," თბ., 1944 წ., 12-B, გვ. 32, შენიშვნა 5.

ლება და იურიდიული იერარქია ორგანიზებულია სამხედრო საწყისებზე და ხალხს აწევს შესანახად.“[1]

პროფ. შ. ჩხეტიას მართებული შენიშვნით, „ეს სისტემა ორმაგი (ეროვნული და სოციალური) ჩაგვრის აპარატს წარმოადგენდა.“[2]

რეფორმამ საყოველთაო უკმაყოფილება გამოიწვია. დაწესებულებები საქმეს თავს ვეღარ ართმევდნენ. საშინელმა ფორმალიზმმა მოიცვა მთელი მმართველობის სისტემა... გურიაში იფეთქა აჯანყებამ; ოსეთსა და ბელაქანში მოხდა მღელვარებანი.[3]

გადიდდა მოხელეთა რიცხვი და გაიზარდა მხარის სამოქალაქო ხარჯები. გართულდა საქმის წარმოება. რეფორმამ მოსახლეობას წინანდელი უხეირო მმართველობაც კი სანატრელი გაუხადა.[4]

ხალხის არანაკლებ გულისწყრომას იწვევდა ის, რომ ყოველგვარი საქმის წარმოება რუსულ ენაზე სწარმოებდა. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში თითქმის ყველა თანამდებობა რუს მოხელეებს ეჭირათ.

მეფის მოხელეებიც ვერ ჩქმალავდნენ იმ გარემოებას, რომ საყოველთაო უკმაყოფილების მიზეზი იყო ფორმალიზმისა და ბიუროკრატიზმის საფუძველზე მოწყობილი ახალი მმართველობის აპარატი.[5]

გენერალ ანრეპის სიტყვით, „გურიის აჯანყების მიზეზი იყო სამოქალაქო მმართველობის რეფორმები, კანონიერი და საკეთილო ხალხისთვის, მაგრამ ამ ოლქის ზნე-ჩვეულებასა და შინაურ ცხოვრებასთან შეუგუებელი.“[6]

მეფის რუსეთის ერთგული დარაჯი ანრეპი ფარავს რეფორმის მიზანს და ცდილობს იგი „კანონიერ“ და „ხალხის საკეთილო“ ღონისძიებად გაასაღოს, მაგრამ, როგორც ვხედავთ, იგი იძულებული გახდა აღენიშნა, რომ რეფორმა ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრების თავისებურებებთან სრულიად შეუთავსებელი იყო.

მოსახლეობის მდგომარეობას განსაკუთრებით აუარესებდა რეფორმის ფინანსური მხარე. მეფის მთავრობა, უდავოდ, პროგ-

---

1 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. IX, стр. 397.
2 შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 34. (ხაზი ჩვენია — ი. ს.).
3 ვ. ივანენკო, დასახ. ნაშრ., გვ. 298.
4 შ. ჩხეტია, დასახ. ნაშრ., გვ. 38-39.
5 იქვე.
6 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 308, л. 14.

რესულ ღონისძიებას ატარებდა, როდესაც საქართველო-ამიერ-კავკასიაში ნატურალურ ბეგარა-გადასახადებს ფულადი რენტით ცვლიდა, მაგრამ გურიაში საამისოდ აუცილებელი ბაზის უქონლობის პირობებში, ეს განკარგულება გლეხობას მძიმე მდგომარეობაში აყენებდა.[1]

მდგომარეობას კიდევ უფრო ამწვავებდა ის, რომ მთავრობა ახალ გადასახადს რუსული ფულით თხოულობდა, რომელიც გურიაში ჯერ კიდევ ძლიერ მცირე რაოდენობით ტრიალებდა.

საქმესთან ახლოს მდგომი იმდროინდელი ერთ-ერთი დაკვირვებული სამხედრო მოხელის ნ. მურავიოვის სიტყვით, „ყოვლად მორჩილი გურულები, აქამდე უსიტყვოდ ასრულებდნენ მთავრობის ყველა მოთხოვნილებას. ამიერკავკასიაში მმართველობის საერთო გარდაქმნის შედეგად შემოღებულ იქნა მათთვის სრულიად უცნობი ფულადი გადასახადი. **ეს ახალი ღონისძიება ძალიან მძიმე აღმოჩნდა.** მაგრამ მორჩილებას დაჩვეულმა გურულებმა მაინც დაიწყეს გადასახადის შეტანა **თურქული ფულით, რადგან რუსული არ გააჩნდათ. ადგილობრივი ხელისუფლება ამ ფულს არ ღებულობდა,** თანაც საერობო მოხელეები გადასახადების აკრეფის დროს ძალადობას მიმართავდნენ, რასაც თან სდევდა მათი სახლებისა და ოჯახების სიმშვიდის დარღვევა.“[2]

ნ. მურავიოვი სწორად გვისურათებს ახალი გადასახადის შემოღებით შექმნილ მდგომარეობას. იგი, როგორც ჩანს, საქმეს ისე უყურებდა, რომ გურიის აჯანყების მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, ახალი გადასახადის შემოღება იყო.

დიმ. ყიფიანის აზრით, გადასახადების ფულად გაწერა სათანადოდ გაუთვალისწინებელი მოვლენა იყო, „მაგრამ **გაწერა იყო და პოლიციაც ფულს თხოულობდა, ხოლო უარის თქმაზე ეგზეკუციას აყენებდა.**“[3]

მოსახლეობა ძლიერ ააღელვა საერობო მოხელეთა უტაქტო მოქმედებამაც, მეფის მთავრობა ცდილობდა ამ მომენტისათვის

---

1 ამიერიდან მთავრის ყოფილ ბეგარა-ვალდებულ 4812 სულ გლეხს უნდა გამოეღო ფულადი გადასახადი: სახაზინო გლეხს 1 მანეთი (ვერცხლით), ხოლო საბატონო და საეკლესიოს — 50 კაპიკი (ЦГИАЛ, ф. 1268, д. 358, л. 84) დანარჩენები წინანდებურად ნატურით იხდიდნენ გადასახადებსა და მხოლოდ საერობო ბეგარის ნაცვლად ჰქონდათ შეწერილი სულზე 44კაპიკი (იქვე, ფ. 81). განზრახული იყო ყველა ნატურალური გადასახადის ფულზე გადაყვანა, მაგრამ 1841 წლის მწარე გაკვეთილმა მთავრობა აიძულა უკან წაეღო თავისი გადაწყვეტილება (იქვე, ფურც. 84).

2 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, 1841 г., д. 169, л. 3 (ხაზი ჩვენია — ი. ს.).

3 დიმ. ყიფიანი, მემუარები, გვ. 24 (ხაზი ჩვენია — ი. ს.).

ჩაეჭიდა ხელი და ადგილობრივი ხელისუფლებისათვის დაეკისრებინა მთელი პასუხისმგებლობა.

გარდა ამისა, მოსახლეობაში დაირხა ხმები, რომ მთავრობას განზრახული აქვს გადასახადების შემდგომი გადიდება,[1] ამასთან დაკავშირებით მოსახლეობის ქონების აღწერა და აგრეთვე მეფის არმიაში მოსახლეობის გაწვევაო.[2]

ყოველივე ამით აღელვებული გურიის გლეხობა იარაღს სწვდა.

## თავი მეორე

## აჯანყება

§ 1. **აჯანყების წინამძღოლები.** აჯანყება გურიაში სტიქიურად დაიწყო. მართალია, ზოგიერთ სოფელში ორიოდე კვირით ადრეც შედგომიან საამისო მუშაობას,[3] მაგრამ ძირითადად მას არავითარი სერიოზული მზადება არ უძღოდა წინ.

გურიის ცალკეული სოფლის გლეხებს ერთობლივი გამოსვლის რაიმე წინასწარი შეთანხმება არ ჰქონიათ, ამიტომაც პირველ პერიოდში არც აჯანყების საერთო ხელმძღვანელობა არსებობდა. თვითეული სოფლის გლეხებს თანასოფელი უნარიანი და გულადი გლეხები მეთაურობდნენ. ასე მაგ., აკეთის თემში აჯანყების წამომწყებნი და მთავარი ხელმძღვანელები გოგია, ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები იყვნენ. თ-დ ბარათაშვილის ცნობით, მათ შეადგინეს რაზმი „ფირალის“ სახელწოდებით.[4] ამ რაზმით ისინი მრავალ ბრძოლაში მონაწილეობდნენ.

პირველი მათგანი, გოგია გაბრიელის-ძე ვადაჭკორია, ხელობით მჭედელი იყო. მჭედელი საერთოდ სოფელში იმ დროს ბევრი რამით იყო ცნობილი. იგი იყო მკურნალი, მედიატორე და საერთოდ ჭკუასაკითხავი კაცი.[5] მთელს უბანში განთქმულ და გაბედულ მჭედელს ხალხი გაჰყვა.

ლეხოურის თემში აჯანყებულთ წინამძღოლობდნენ გლეხები ოთარ და ნიკოლოზ თოიძეები, გოგიჩა გორდელაძე და სხვ.,

---

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 214.

2 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 4.

3 ექ. თაყაიშვილი, მოგონებანი ქართველ მწერლებზე, „ლიტერატურის მატიანე“, წიგნი 6, ნაკვ. 1, თბ., 1952 წ., გვ. 60.

4 ს ცს ი ა, ფონდი 548, საქ. 708, ფურც. 60-61.

5. კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, სპბ., 1885 წ., თარგმანი თედო სახოკიასი, თბ., 1927 წ., გვ. 136.

ასკანის სამოურავოში — მამუკა ანთაძე და მუხარბეგ დოლიძე, შემოქმედში — გოგია და როსტომ მამინაიშვილები, ჯვარცმაში ხურო იორდანე პაიჭაძე.[1] ხალხური გადმოცემით, გუბაზეულის ხეობა ბუღარა მამალაძის მეთაურობით გამოსულა ბრძოლაში.[2]

მოძრაობის აქტიურ მონაწილე აზნაურთა შორის იყვნენ: აბესა ბოლქვაძე,[3] სიმონ გოგოლიშვილი,[4] ქაიხოსრო გუგუნავა,[5] ათარმიზა თოიძე,[6] ლევან,[7] გოჯასპირ და სიმონ ჭყონიები, სიმონ, ალექსანდრე და გოგია ქარცივაძეები, ალექსანდრე ნაკაიძე და სხვ.

---

1 გადმოცემით, ი. პაიჭაძე დაუსახიჩრებიათ ჩოხატაურის ბრძოლაში. აჯანყების დამარცხების შემდეგ იგი ოსმალეთში გაიქცა (ს ც ს ი ა; ფონდი 548, საქ. 708, ფურც. 73).

2 ი. ვ. ჩანტლაძე გადმოგვცემს: „ბაბუაჩემის ივანე ჩანტლაძისაგან გამიგონია, რომ ხუთ შაურზე ამტყდარი „ბუნტობის“ დროს ბუღარას მეთაურობით ვიბრძოდით ჩოხატაურშიო. ძლიერ ხნოვანი იყო სულკურთხეული, მარა მაშვინ მაინც ძაან იმაჯაგაო.“ ეგივე დაადასტურა ილარიონ ლაზარეს-ძე ჯინჭარაძემ (დაბ. 1855 წ. სოფ. ონჭიქეთი). აკად. ნ. ბერძენიშვილს თავისი ყმაწვილობის დროს ამ აჯანყების მომსწრე ფარცხმელი გლეხის დიანოსე მეგრელიშვილისაგან გაუგონია, რომ „ბუღარა ჯანყში თაობდაო“.

3 მიქელ-გაბრიელელი (ახლა სოფ. შრომა) საბატონო აზნაურის ა. ბოლქვაძის წინამძღოლობით აგვისტოს პირველ ნახევარში (II პერიოდი) აჯანყებულებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს, განსაკუთრებული ბრწყინვალებით ჩაატარეს მათ გოგორეთის ბრძოლა 9 აგვისტოს. იგი დაჭრილი იყო ორჯერ (გოგორეთსა და ოზურგეთთან). სექტემბრის პირველ რიცხვებში კი სასიკვდილოდ იქნა დაჭრილი აჯანყების დამთრგუნავ ძალებთან ბრძოლაში და მეორე დღესვე გარდაიცვალა (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 299, ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 508, ფურც. 13).

4 ს. გოგოლიშვილი ლეხურელი აზნაური იყო. იგი ლეხურლებსა და მანკვანთლებს მიუძღოდა ოზურგეთის იერიშის დროს. აჯანყების დამარცხების შემდეგ მის შეპყრობას დიდის გულმოდგინებით ცდილობდა პრაპ. გოგიბერიძე, მაგრამ უკანასკნელი ემსხვერპლა ამ საქმეს (ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 708, ფ. 131; ქ. მახარაძის მუზეუმი, ფონდი № 28, ფურც. 7-8). გოგოლიშვილი საზღვარგარეთ გაიქცა (იქვე).

5 ჯუნუყვეთელი სახაზინო აზნაური ქ. გუგუნავა თ-დ ყასიმ გუგუნავას „უკანონო“ შვილი იყო. აჯანყების წინამძღოლობის გამო სასამართლომ მას შეიცრუთენებით დასჯა მიუსაჯა ხუთას კაცში ორჯერ გაელით, გარდა ამისა, აჰყარა აზნაურის უფლებები, ჩამოართვა ქონება და საკატორღო სამუშაოზე გააწესა. მაგრამ იგი იმპერატორის „პატიებამ“ იხსნა ამ მძიმე სასჯელისაგან.

6 გურიანთელი აზნაური ა. თოიძე (ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 708, ფ. 5) მოძრაობის ერთ-ერთი პოპულარული წინამძღოლთაგანი იყო. ხალხურ ლექსში გლეხები, მოუწოდებდნენ რა ერთმანეთს ყური უგდონ ხელმძღვანელებს, ამბობენ:

„ყველამ კარქათ დოუჯეროთ
ამბაკოს და ათარმიზას;
თვარა საქმე წაგვიხთება,
არღუთინსკი კას არ გვიზამს“.

(ჩავიწერეთ მარინე ისაკის ასულ სიხარულიძისაგან სოფ. გოგოლეისუბანში 1951 წ.).

7 ლევან ჭყონია აჯანყების „სამწერლებო ნაწილს“ ანუ კანცელარიას განაგებდა (ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 708, ფ. 131).

აჯანყებას წინამძღოლობდნენ თავადები ამბაკო შალიკაშვილი, დავით გუგუნავა და სხვ.

აჯანყების ზენიტზე მისი მთავარი წინამძღოლი, ანუ როგორც ხალხი უწოდებდა „თავი და ბაილახტარი,[1] იყო რუსეთის არმიის პრაპორშჩიკი, თ-დი ამბაკო შალიკაშვილი.[2] აჯანყების დაწყებისას იგი ოზურგეთში მდგარ მილიციელთა შორის ყოფილა, მაგრამ შემდეგ გამოსულა იქედან და აჯანყებას ჩადგომია სათავეში.[3]

როგორც ჩანს, ა. შალიკაშვილი ოზურგეთიდან ავადმყოფობის მიზეზით გამოუშვიათ. „სიმაგრიდან (ოზურგეთი — ი. ს.) ავადმყოფობით გამოსული ა. შალიკაშვილი შეუერთდა აჯანყებულებს და მონაწილეობდა ოზურგეთის ალყაში“ — ნათქვამია ერთ-ერთ ოფიციალურ დოკუმენტში.[4]

ეგ. ნინოშვილის ისტორიული რომანის მიხედვით, ა. შალიკაშვილი მთელ გურიაში სახელგანთქმული კაცი ყოფილა. აჯანყების დასაწყისშივე ხალხმა „თავკაცად და ჯარის წინამავალად“ ამბაკო შალიკაშვილი აირჩია, „აფიცერია, ჯარის საქმე იცისო.“[5] მაგრამ, როგორც შემდეგ ირკვევა, იგი „წყეულმა ავადმყოფობამ“[6] მოაცილა აჯანყებულებს. განკურნების უმალვე კი ის მათთან დაბრუნდა. ა. შალიკაშვილი აჯანყებულებმა „მისვლისთანავე დააყენეს, როგორც ომში გამოცდილი ოფიცერი, ჯანყის გამგედ.“[7]

სახელოვანი მწერლის სიტყვები სავსებით შეესატყვისება ისტორიულ სინამდვილეს.

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937 წ., გვ. 128.

2 ა. შალიკაშვილი დაბადებულა 1794 წელს, სოფ. ვანში (ჩოხატაურის რაიონი). მის ნამოსახლარზე დღესაც მიუთითებენ აღნიშნულ სოფელში. შემდეგ იგი აქედან გადასახლებულა შემოქმედს (მახარაძის რაიონი) და გონების კარს, მდ. ბეუეის პირზე გაუმართავს მოსახლობა.

პრაპორშჩიკი ა. შალიკაშვილი აქტიურად მონაწილეობდა მთიელი მიურიდების წინააღმდეგ ბრძოლაში. (კ. ბოროზდინი, სამეგრელო და სვანეთი, თბ., 1927 წ., გვ. 302).

3 ს ც ს ი ა, ფონდი 548, საქმე 708, ფურც. 119.

4 იქვე, ფურც. 19.

5 ე. ნინოშვილი, თხზ., სრული კრებული, თბ., 1954 წ., გვ. 41.

6 იქვე, გვ. 42.

7 იქვე, გვ. 97.

ა. შალიკაშვილი, როგორც აჯანყების მთავარი ხელმძღვანელი და აგრეთვე ოფიცერი, რომელმაც უღალატა ხელისუფლებას, სასტიკად დასაჯეს. მას აჰყარეს ყოველი ღირსება და ციმბირში გადაასახლეს.[1]

თ-დი დ. გუგუნავა სხვა მილიციელებთან ერთად 27-28 აგვისტოს ღამით გაიქცა ოზურგეთიდან და აჯანყებულებს შეუერთდა,[2] თუმცა ბოლომდე არ მიჰყოლია აჯანყებას.

სექტემბრის პირველ რიცხვებში შექმნილმა ვითარებამ დ. გუგუნავა საბოლოოდ დაარწმუნა აჯანყების გარდუვალ მარცხში.[3] ამიტომაც მან მიატოვა აჯანყებულთა ბანაკი და ნაგომრის საგუშაგოზე პოლკ. არღუთინსკისთან გამოცხადდა. „დანაშაულის“ გამოსყიდვის მიზნით, აჯანყების ყოფილმა წინამძღოლმა აქტიური მონაწილეობა მიიღო თავის გუშინდელ თანამებრძოლთა დათრგუნვაში. ასევე მოიქცა ზოგიერთი სხვაც (ა. თოიძე, ა. ქარცივაძე და სხვ.). საველე სასამართლომ გაითვალისწინა ეს გარემოება და ყველა ისინი კიდეც ასცდნენ მსჯავრს.

არ არის მართალი მტკიცება, თითქოს დ. გუგუნავას მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიეღოს.[4]

პოლკ. ბრუსილოვმა, კაპიტანმა გაბაშვილმა, პოდპორუჩიკმა თავდგირიძემ, და პრაპორშჩიკმა დიმ. ერისთავმა საგამომძიებლო

---

1 ა. შალიკაშვილი ციმბირში კარგახანს დარჩენილა. იგი ერთ შემთხვევას უხსნია კატორღის საშინელებისაგან. ამ ხანებში აღმოსავლეთ ციმბირის გუბერნატორად მურავიოვი დაინიშნა. ერთხელ, როდესაც გუბერნატორი კატორღელთა სიებს სინჯავდა, „ისე თვალი მოუკრავს შალიკაშვილის გვარისათვის და შეჩერებულა. ამ გვარის კაცს სიკვდილისაგან გადაურჩენია ამ ათიოდ წლის წინათ მურავიოვი, როცა ის შავი ზღვის სანაპირო ხაზის მესამე განყოფილების უფროსად ყოფილა. ეს მომხდარა ერთ-ერთი მისი გალაშქრების დროს მთიულების წინააღმდეგ. მურავიოვს უბრძანებია დაწვრილებით გამოეკითხნათ ამ კატორღელის ამბავი, და გამომდგარა, რომ სწორედ ეს კაცი ყოფილა მისი მხსნელი. რა თქმა უნდა, მურავიოვისათვის, როგორც გენერალ-გუბერნატორისათვის, დიდი არაფერი ბედენა იყო შალიკაშვილის გამოხსნა უბედურებისაგან“ (კ. ბოროზდინი, დასახ. ნაშრ., გვ. 302). მურავიოვის შუამდგომლობით ა. შალიკაშვილი იმპერატორს კატორღიდან გაუთავისუფლებია (იქვე).

2 АКАК, т. IX, стр. 173.

3 პოლკ. შჩეპინი მთავარმმართველ გოლოვინს დ. გუგუნავას შესახებ წერდა: и он (დ. გუგუნავა — ი. ს.)... принимал самое деятельное участие в бунте возмущал других, начальствовал бунтовщиками и уже явился с повинною тогда, когда видел невозможность устоять против войск прибывших с князем Аргутинским - Долгоруким» (ЦГИАГ, ф. 548, д. 708, л. 50).

4 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 37.

კომისიას უჩვენეს, რომ თ-დი დ. გუგუნავა გაიქცა ოზურგეთი-
დან და მეთაურობდა აჯანყებულებს ოზურგეთის გარემოცვის
დროს, სახლების გადაბუგვით ემუქრებოდა მთავრობის
ზე მყოფ მილიციელებს და იარაღით მოქმედებდა ხელისუფლე-
ბის წინააღმდეგ.[1] ჩვენ ამ შემთხვევაში ვერ დავემყარებით
დ. გუგუნავას, მისი დედის და სხვების განცხადებას, თითქოს-
და გუგუნავა არ მონაწილეობდა აჯანყებაში. იგი „დანაშაული-
დან" თავის დაძვრენის მიზნით ამბობდა აჯანყებაში „არ მიმი-
ღია მონაწილეობა, ცილს მწამებენ".[2] ასევე ითქმის დედამისის
შესახებ, რომელიც წერდა: „არა... იყო წინამძღვარ დავით მათი,
ვითარცა... იგინი ნიშვნენ მას."[3]

ასეთი წინამძღოლები ჰყავდა 1841 წლის აჯანყებას მასში
მონაწილე სოციალურ ძალთა შესაბამისად.

ამ ჭრელი სოციალური შედგენილობის აჯანყების ძირითად
მამოძრავებელ ძალას გლეხობა წარმოადგენდა. გლეხები სტიქი-
ურად იბრძოდნენ იმ სასტიკ შევიწროებათა წინააღმდეგ, რო-
მელსაც ადგილობრივ მებატონეთა და მეფის თვითმპყრობელო-
ბისაგან განიცდიდნენ, იბრძოდნენ იმ უჩვეულო ბეგარა-გადასა-
ხადების წინააღმდეგ, ამ უკანასკნელმა რომ დააწესა გურიაში.

გლეხობა არ იყო ერთგვაროვანი სოციალური ფენა. ორმაგი
ჩაგვრითა და გონებრივი სიბნელით დაბეჩავებულ გლეხებს გა-
ერთიანების ძალა არ შესწევდათ. მათ სძაგდათ ადგილობრივი
ლორმუცელა მოხელეები და მებატონეები, მაგრამ ღრმად სწამ-
დათ ხელმწიფე-იმპერატორის გულკეთილობა, რაც ყმა-გლეხთა
„ცარისტულ" ბუნებაში იღებდა სათავეს.[4] გლეხებს არ ჰქონდათ
შეგნებული თავიანთი სამართლიანი ბრძოლის მნიშვნელობა და
თვითეული თავისებურად უყურებდა მას.

აჯანყების აღმავლობის პერიოდში (აგვისტო) მოძრაობაში
მასიურად ებმება თავადაზნაურობა და თავისი კლასის ინტერე-
სების განაღდებისათვის ცდილობს მის გამოყენებას. ამიერიდან
აჯანყების „ხელმძღვანელობაც" მათ ხელში გადადის, თუმცა
თავადაზნაურობა ამისათვის მოწოდებული სოციალური ძალა
არ ყოფილა. არც გურიის თავადაზნაურობა წარმოადგენდა ერთ-
ფეროვან სოციალურ ფენას. მასში ერთიანდებოდა დასავლეთ
გურიის ზღვის სანაპირო, ნოყიერი ვრცელი მიწა-წყლის მესა-

1 ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 708, ფ. 68, გვ. 2.
2 იქვე, ფურც. 112, გვ. 3.
3 იქვე, ფურც. 180, გვ. 2.
4 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 13, გვ. 118.

კუთრე და 80 აზნაურის პატრონი, მთავრის ტახტის მაძიებელი, ბატონიშვილი დავით გურიელი, მდ. სუფსის უხვმოსავლიანი მერეებისა და მრავალი ყმა-გლეხის მესაკუთრე თავადი დავით გუგუნავა, ერთყმიანი აზნაური გიორგი მდივანი, ან უყმო მაქსიმე კვაშალი. თქმა არ უნდა, ამ საზოგადოებრივი კლასის წევრებს შორის მნიშვნელოვანი უფლებრივ-ეკონომიური განსხვავება აპირობებდა მათ სოციალურ-პოლიტიკურ ინტერესთა სხვადასხვაობასაც.

თავადაზნაურობის უმრავლესობა დრომოჭმული, ძველი ქართული თავადური წყობილების აღდგენა-შენარჩუნებისათვის იბრძოდა. ქართველი ფეოდალური საზოგადოების ამ რეაქციული ნაწილის დახასიათება მოგვცა ი. ბ. სტალინმა თავის ნაშრომში „როგორ ესმის სოციალ-დემოკრატიას ნაციონალური საკითხი.“[1] მაგრამ ამავე სოციალური ფენის მოწინავე ნაწილს კარგად ჰქონდა შეგნებული „საქართველოში რუსეთის შემოსვლის პროგრესული მნიშვნელობა და გულწრფელი მომხრე იყო რუსეთის დიდი ხნით... დამკვიდრებისა ამიერკავკასიაში.“[2]

ქართველი პროგრესისტები ამას საქმით ადასტურებდნენ. ისინი აქტიურად მონაწილეობდნენ იმ დიდ ღონისძიებებში, რომელიც საქართველო-კავკასიაში პროგრესული რუსეთის დამკვიდრებას ისახავდა მიზნად. მაგრამ ისინივე მედგრად იმაღლებდნენ ხმას ამ ხელისუფლების ზოგიერთ უმსგავსობათა წინააღმდეგ (ა. შალიკაშვილი).

§ 2 **.ინგლის-თურქეთის დამოკიდებულება აჯანყებასთან.** „აღმოსავლეთის საკითხის“ გამო ინგლის-რუსეთს შორის შექმნილი წინააღმდეგობა განსაკუთრებით გამწვავდა უნკიარ-ისკელესის (1833 წ. 8 ივლისი) რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულების დადების შემდეგ.

აღნიშნული ხელშეკრულების დადება განაპირობა შემდეგმა გარემოებამ: 30-იან წლებში ძლიერ გართულდა ოსმალეთის საშინაო მდგომარეობა. სულთან მაჰმუდ II-ს აუჯანყდა ვასალი — ეგვიპტის ფაშა. ამ უკანასკნელმა ეგვიპტის არმია სულთანის წინააღმდეგ დასძრა. 1832 წლის 21 დეკემბერს კონიასთან ბრძოლაში ეგვიპტის ფაშის ძემ, იბრაჰიმმა, სასტიკად დაამარცხა თურქეთის ლაშქარი და სატახტო ქალაქს დაემუქრა. მაჰმუდ II კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. მან დახმარება სთხოვა ევროპის

1 ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 1, გვ. 32-33.

2 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 480.

სახელმწიფოებს. მაგრამ რეალური დახმარება სულთანს მხოლოდ რუსეთმა აღმოუჩინა.

ბოსფორიდან რუსთა ჯარების გამოსვლის წინ 1833 წლის 8 ივლისს დაბა უნკიარ-ისკელესში რუსეთსა და ოსმალეთს შორის სამოკავშირეო ხელშეკრულება დაიდო.

ეს ხელშეკრულება რუსეთის ბრწყინვალე მონაპოვარი იყო. ოსმალეთი ვალდებულებას კისრულობდა რუსეთის მოთხოვნისთანავე დაეხურა დარდანელი სხვა სახელმწიფოთა სამხედრო ხომალდებისათვის. ბოსფორი კი მუდამ ღიად რჩებოდა რუსეთისათვის. ამიერიდან შავი ზღვა არსებითად „რუსეთის ტბად" (mare clausum — შინაგანი ზღვა) იქცა.[1]

ოსმალეთის სახელმწიფო კომპასის პეტერბურგისეულ წარმართულობას და უნკიარ-ისკელესის აქტით ინგლის-თურქეთის 1809 წლის ხელშეკრულების გაბათილებას ვერ შეურიგდებოდა ინგლისი, რომლის საგარეო საქმეთა მინისტრი (შემდეგ პრემიერი) ლორდი პალმერსტონი ძალდაუზოგავად იბრძოდა რუსეთის წინააღმდეგ. აღმოსავლეთში რუსეთისათვის გზის შეკვრა, მისი დასუსტება და დანაწილება პალმერსტონს ინგლისის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიაჩნდა. კერძოდ, მას რუსეთის ასეთი დანაწილება ჰქონდა გამიზნული: ალანდის კუნძულები და ფინეთი, მისი გეგმით, უნდა დაბრუნებოდა შვეციას, რუსეთის გერმანული პროვინციების ნაწილი ბალტიის ზღვასთან კი გადაცემოდა პრუსიას; აღდგენილი ყოფილიყო პოლონეთის დიდი სამეფო, როგორც ბარიერი გერმანიასა და რუსეთს შორის; მოლდავეთი, ვალახეთი და დუნაის შესართავი მისცემოდა ავსტრიას; ყირიმი და საქართველო კი — თურქეთს, ხოლო ჩერქეზეთს უნდა მინიჭებოდა დამოუკიდებლობა ან დატოვებული ყოფილიყო სულთანის სუვერენიტეტში.[2]

ინგლის-რუსეთის მეტოქეობის ერთი მნიშვნელოვანი უბანი საქართველო-ამიერკავკასია იყო. ინგლისი ყოველ ღონეს ხმარობდა კავკასიიდან რუსების განდევნისათვის.

იგი ახლო აღმოსავლეთში ბლოკს ქმნიდა და ირანსა და ოსმალეთს რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებდა. ცდილობდა აგრეთვე თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა საქართველო-ამიერკავკასიაში მიმდინარე აჯანყებები.

---

1 დ. ენუქიძე, შავი ზღვის სრუტეების პრობლემა, თბ., 1946 წ., გვ. 17.
2 ე. ბურჭულაძე, საქართველოს დაყოფისა და დამონების ინგლისელ-თურქ დამპყრობთა გეგმების ჩაშლა, თბ., 1953 წ., გვ. 22, შენიშვნა 2.

მიუხედავად რუსეთთან გაფორმებული „სამეგობრო“ ტრაქტატისა, თურქეთის მთავრობაც აქტიურად უწყობდა ხელს ინგლისის დიპლომატიას რუსეთის წინააღმდეგ მოქმედებაში.

ინგლისი და თურქეთი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ კავკასიის მთიანეთს. მათი აგენტები აქ ეწეოდნენ ანტირუსულ აგიტაციას, აღელვებდნენ ხალხს და რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ მოუწოდებდნენ მთიელებს. აღუთქვამდნენ მათ ფულითა და იარაღით დახმარებას.

1836 წლის 14 (27) ნოემბერს რუსეთის შავი ზღვის ფლოტის მოდარაჯე გემებმა დააკავეს ინგლისის ორანძიანი ხომალდი „ვიკსენი“, რომლიდანაც ნაპირზე იარაღისა და ტყვია-წამლის გადმოზიდვა წარმოებდა.[1] რუსეთმა ეს ხომალდი ინგლისს აღარ დაუბრუნა და შავი ზღვის ფლოტში ჩარიცხა. ამ ნიადაგზე ინგლისსა და რუსეთს შორის დიდი დიპლომატიური კონფლიქტი წარმოიშვა.

ინგლისმა შეძლო თურქეთის ტერიტორიაზე თავისი მტკიცე სამეურნეო და პოლიტიკური პოზიციები შეექმნა. ინგლისის ეკონომიური გავლენის დასაყრდენ პუნქტად შავ ზღვაზე ტრაპიზონი გადაიქცა.

აქტიურ სავაჭრო და პოლიტიკურ საქმიანობას ეწეოდნენ თურქეთში მყოფი ინგლისის კონსულები. ასე მაგალითად, ინგლისის ვიცე-კონსული ბათუმში ფრ. გარაჩინო ახლო ურთიერთობაში იყო მთიელებთან. იგი ხშირად ხვდებოდა ჩერქეზების გავლენიან პირებს და რუსეთის წინააღმდეგ სამოქმედო პროგრამას უსახავდა მათ.[2] ამავე კონსულმა 1839 წელს 3 ათასი ოყა გვარჯილა მიაწოდა მთიელებს.[3]

ინგლისის ბათუმელ აგენტურას არც გურიის 1841 წლის აჯანყება გამორჩენია მხედველობიდან. მაგრამ მას მერყეობა ეტყობოდა. ამასაც თავისი ახსნა მოეძებნება: 1841 წლის ზაფხულში ინგლისმა და საფრანგეთმა თავიანთი დიპლომატიური ბრძოლა რუსეთის წინააღმდეგ წარმატებით დაამთავრეს. იმავე წლის 1 ივლისს ე. წ. ლონდონის კონვენციით გაუქმებულ იქნა უნკიარ-ისკელესის ხელშეკრულება. ასეთი მონაპოვრის ვითარებაში ინგლისმა დროებით თითქოს შეანელა თავისი ანტირუსული საქმიანობა ამიერკავკასიაში.

---

[1] История СССР, т. II, под ред. проф. Н. В. Нечкиной, Москва, 1949 г., стр. 246.

[2] ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 217.

[3] იქვე, გვ. 216.

ქობულეთის ავანტიურისტი ბეგი ჰასან თავდგირიძე უმთავრესად საკუთარი ინიციატივით მოქმედებდა.[1] საზღვრისპირა ოლქის მმართველი ჰ. თავდგირიძე ვერ ურიგდებოდა გურიაში რუსეთის გაბატონებას. ასეთი ძლიერი სახელმწიფოს დამეზობლება ამ თავნება ბეგისათვის ფრიად არასასურველი ფაქტი იყო. გურიის რუსეთთან შეერთებამ დიდად შეკვეცა თურქეთის სანაპირო ბეგების სათარეშო ასპარეზი და საფრთხის ქვეშ დააყენა მათი მომავალიც. ჰ. თავდგირიძე აქტიურად ეხმაურებოდა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ დაწყებულ ყოველგვარ მოძრაობას და ოცნებობდა გურიიდან რუსთა განდევნაზე, რის შემდეგაც მას საშუალება მიეცემოდა ძველებურად ეთარეშა გურიაში.

აჯანყების მძლავრი აღმავლობის პერიოდში ქობულეთის ბეგი აჯანყებულებს შეუერთდა, მაგრამ კავკასიის მმართველობის კატეგორიული მოთხოვნით მალე იძულებული შეიქმნა დაეტოვებინა გურია.

ოზურგეთის იერიშის დროს ჰასან ბეგი კვლავ შემოვიდა გურიაში და თვალყურს ადევნებდა მოვლენათა განვითარებას. აჯანყებულთა წარუმატებლობის შემდეგ იგი გაწბილებული დაბრუნდა ქობულეთში.[2]

---

1 ეტყობა, საქმის ნამდვილ ვითარებაში კარგად ერკვეოდა კავკასიის მმართველობა, როცა ჰასან ბეგის მოქმედებას პირად ინიციატივად თვლიდა (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 286).

2 გადმოცემა ამ ბეგს მიაწერს ცნობილი ქართული ხალხური სიმღერის „ჰასან-ბეგურის" გამოთქმას. ხალხურ გადმოცემაზე დაყრდნობით, ეგ. ნინოშვილი ამის შესახებ წერს: „დიდსა და პატარას ამ დროს (1841 წ. — ი. ხ.) გურიაში ჰასან ბეგი უტრიალებდა ენაზე და ქებას ასხამდნენ. ასე გასინჯეთ, ამ ბეგის შეთხზული სიმღერა ჰასან-ბეგურიც კი მაშინათვე გადმოიღეს და გახდა გურიაში პირველ საამურ სახალხო სიმღერად, (ჯანყი გურიაში, თხზულებათა სრული კრებული, თბ., 1954 წ., გვ. 14).

ასეთი შეხედულება სწორი არ არის. ამ სიმღერის წარმოშობა აღნიშნულ ხანაზე გაცილებით ადრეა საგულისხმებელი. ჰასან-ბეგური ორპირი სიმღერაა. აკად. ნ. ბერძენიშვილის აზრით, ეს გარემოება მისი სიძველის დამადასტურებელია.

რატომ უნდა მიეჩნია ხალხს ჰასან ბეგი ამ სიმღერის გამომთქმელად? ჩვენი აზრით, ხალხის ამ რწმენის საფუძველი უნდა ყოფილიყო ორი გარემოება. 1. ალბათ, ჰასან თავდგირიძე ამ სიმღერის ორიგინალური შემსრულებელი იყო, რის გამოც ხალხმა ჰასან ბეგისგან თქმას, ჰასან-ბეგური უწოდა, ხოლო უფრო გვიან სახელწოდების (ჰასანბეგური) მიხედვით, ეს ბეგი მის გამომთქმელადაც აღიარა. 2. შეიმჩნევა, რომ გურიაში პოპულარულ ძველ ქართულ საგუნდო სიმღერათა ერთი ნაწილი ქვემო გურიიდან (ბათუმი, ქობულეთი) მომდინარეობს. ჰასანბეგურიც ქვემო გურიაში, კერძოდ, ქობულეთში უნდა იყოს შექმნილი. საფიქრებელია, ეს გარემოებაც დაედო საფუძვლად ამ სიმღერის ავტორობის ხალხურ ვერსიას. (ი. სიხარულიძე, ჰასანბეგურას შესახებ, გაზ. „ბრძოლის დროშა", 1956 წ., № 1, გვ. 4).

**§ 3. აჯანყების მსვლელობა.** 1841 წლის მაისში აკეთის უბნის მსაჯული თ-დი ბარათაშვილი ახალი ფულადი გადასახადის აკრეფას შეუდგა.

22 მაისს (4 ივნისი ახ. სტ.) სოფ. ლანჩხუთში მან გადასახადის ამკრეფნი წარგზავნა. საერობო მოხელეები გადასახადს რუსული ფულით თხოულობდნენ, მოსახლეობას კი ასეთი ფული არ გააჩნდა. გლეხთა ნაწილმა იწყო გადასახადის შეტანა თურქული ფულით, მაგრამ ოსმალურ მონეტებს ხაზინა არ ღებულობდა. გადასახადის ამკრეფნი ძალადობას მიმართავდნენ, რამაც ძლიერ ააღელვა მოსახლეობა.[1] მათ უარი განაცხადეს საერობო გადასახადის გადახდაზე და ხელოსნები (გადასახადის ამკრეფნი) სოფლიდან გამოაგდეს.

ბარათაშვილმა ამ ინცინდენტს სათანადო ყურადღება არ მიაქცია და თვითონ შეუდგა გადასახადების აკრეფას. 24 მაისს მან აკეთის თემის მცხოვრებლებს საერობო გადასახადის შეტანა უბრძანა. გლეხებმა მსაჯულს ცოტაოდენი დრო სთხოვეს, რათა საამისოდ მომზადებულიყვნენ. მაგრამ ამაზე ბარათაშვილმა უარი განაცხადა. მაშინ ზოგიერთებმა გადასახადის საწინდრად ნივთები მისცეს, ხოლო იმ პირთა ოჯახებიდან, რომლებიც შინ არ აღმოჩნდნენ, მსაჯულის ბრძანებით ხელოსნებმა საოჯახო ინვენტარი გამოიტანეს.

ჭანჭათელი გლეხების ჯგუფი ენუქა, გოგია და ათანასე ვადაჭკორიების ინიციატივით თავს დაესხა გადასახადის ამკრეფ გოგოსი დოროძეს, სცემეს მას და წაართვეს აკრეფილი ფული.

ბარათაშვილმა დამნაშავეთა შეპყრობა აკეთის ნაცვალს აზნაურ როსტომ ჯაყელს უბრძანა. მსაჯულის განკარგულების სისრულეში მოსაყვანად ნაცვალი ჭანჭათისაკენ გაეშურა, მაგრამ გლეხებთან ვერა გააწყო რა. გადმოცემით, იგი თვით შეუპყრიათ აჯანყებულ გლეხებს. გოგია ვადაჭკორიას და ოტია ცინცაბაძეს მისთვის ცალი წვერი მოუპარსავთ და სოფლიდან გაუგდიათ.[2]

განრისხებული მსაჯული, თავადაზნაურებისა და იმავე როსტომ ჯაყელის თანხლებით, თვითონ გაეშურა ურჩთა დასაპატიმრებლად.

ბარათაშვილისა და მისი მხლებლების მიახლოვებისთანავე გლეხებმა მიატოვეს სახლ-კარი და გაიქცნენ. ხელოსნებმა მსაჯუ-

---

[1] ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 3.

[2] გიორგი ანდრიას-ძე ვადაჭკორიას (დაბ. 1869 წ., სოფ. ჭანჭათი) სიტყვიერი ცნობა.

ლისავე ბრძანებით ჭანჭათიდან წამოიღეს სამი ქვაბი და წამოიყვანეს ორი ძროხა; მოძალადეებს დაედევნენ შეიარაღებული ჭანჭათელი გლეხები, ქვებით ჩალეწეს მსაჯულის სახლის კარ-ფანჯრები და დაერივნენ მომხვდურთ, შეტაკების დროს დაიჭრა აზნაური ალექსანდრე ჯაყელი და გლეხი გაბრიელა ჩხაიძე. აჯანყებულთ გადაწყვეტილი ჰქონდათ ბარათაშვილის სახლის გადაწვა, მაგრამ შემდეგ განაზრახზე ხელი აიღეს; გაიტაცეს თავიანთი ნივთები, პირუტყვი და შინ დაბრუნდნენ.

აღნიშნულმა ვადაჭკორიებმა შემოიკრიბეს აკეთისა და ლანჩხუთის გლეხები და მათგან შეადგინეს რაზმი, რომელიც 300-მდე კაცს ითვლიდა.

28 მაისს შეიარაღებული გლეხთა რაზმი კვლავ მიადგა ბარათაშვილის ბინას. გლეხებმა გამოიწვიეს მსაჯული და სთხოვეს მაზრის უფროსისათვის გადაეცა შემდეგი მოთხოვნები: ა) რომ ისინი კისრულობდნენ იმ გადასახადს, რომელსაც წინათ იხდიდნენ, ხოლო საერობო გადასახადის გაღებაზე უარს აცხადებდნენ უკიდურესი სიღარიბის გამო. ბ) რომ პატიებოდათ დანაშაული აჯანყების წამომწყებ გლეხებს, ვინაიდან მასში მთელი გურიის გლეხობა ღებულობდა მონაწილეობას, გ) რომ გადაეყენებინათ აკეთის ნაცვალი.[1]

მაზრის უფროსს იაცენკოს აცნობეს აკეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. იაცენკომ ბრძანა, რომ გლეხები დაუყოვნებლივ გამოცხადებულიყვნენ მასთან, მაგრამ აჯანყებულებმა ამაზე უარი განაცხადეს.[2]

24 მაისს[3] უწესრიგობის აღმოსაფხვრელად მაზრის უფროსი ჯარისკაცთა ასეულით აკეთში მივიდა. მან მოსახლეობას უბრძანა საერობო და აგრეთვე ყველა სხვა სახის გადასახადის დაუყოვნებლივ შეტანა. გლეხებმა სთხოვეს იაცენკოს საერობო ბეგარას ფულის უქონლობის გამო წინანდებურად ნატურით შევიტანთო, მაგრამ მან ამაზე უარით უპასუხა.

სამხედრო ძალის გამოჩენამ სოფელში გარკვეული ზეგავლენა მოახდინა მოსახლეობაზე. ოფიციალური ისტორიკოსის სიტყვით, ამ ფაქტმა „... ნაწილობრივ გონს მოიყვანა და ნაწილობრივ შეაშინა მცხოვრებნი.“[4] ისინი თითქოს დამორჩილდნენ მაზ-

---

1 ს ც ს ი ა, ფონდი 547, საქმე 708, ფურც. 84-85.
2 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 221.
3 მეორე ცნობით, 27 მაისს (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 222).
4 იქვე.

რის უფროსს და შინ წავიდნენ. ტყეში იმალებოდა მხოლოდ 7-8 კაცი, რომლებიც გლეხთა მღელვარების მოთავეები იყვნენ და შერიგებას არ აპირებდნენ.

30 მაისს უკმაყოფილებამ თავი იჩინა სოფ. ვანის გლეხებში, მათაც უარი განაცხადეს საერობო გადასახადის შეტანაზე.

მაზრის უფროსი ახლა ვანს ეწვია და ვანელების „დამშვიდებაც“ მოახერხა.

ლანჩხუთელი გლეხები ისევ ღელავდნენ. მაზრის უფროსს მათთან მისვლაც ჰქონდა განზრახული, მაგრამ თანმხლები რაზმის სიმცირის გამო ლანჩხუთს წასვლა ვეღარ გაბედა.

იაცენკოს არავითარი ღონისძიებისათვის არ მიუმართავს აჯანყების წამომწყებ გლეხთა დასაპატიმრებლად, რათა „ამით არ დაერღვია აღდგენილი სიმშვიდე და წესიერება.[1]

აკეთში მომხდარი „გაუგებრობა“ მაზრის უფროსმა აღმოფხვრილად მიიჩნია და 31 მაისს თავისი ასეულით ოზურგეთს დაბრუნდა. „მაგრამ, — ვ. ჩუდინოვის სიტყვით, — მაზრის უფროსმა ვერც კი მოასწრო ვანიდან გასვლა, რომ აკეთის უბნის მცხოვრებლებმა აიხადეს ნიღაბი და 200 კაცის რაოდენობით შეკრებილმა ბრბომ უარი განაცხადა საერობო გადასახადის შეტანაზე.[2] ისინი სოფელ-სოფელ დადიოდნენ და მოსახლეობას მოუწოდებდნენ არ შეეტანათ საერობო გადასახადი. ამ სოფლებიდან მათ ბევრი გაჰყვა. შეიარაღებული გლეხები „თათრის სანაოსთან“[3] მდ. სუფსაზე გადავიდნენ და კურსი ოზურგეთისაკენ აიღეს.

გლეხთა განცხადებით, ისინი მიდიოდნენ მაზრის უფროსთან, რომლისთვისაც უნდა ეთხოვათ, რათა მას მთავრობის წინაშე აღეძრა შუამდგომლობა უსახსრობის გამო საერობო ფულადი გადასახადისაგან მათი განთავისუფლების შესახებ.

აჯანყებულები ბუკით მოუხმობდნენ სხვა სოფლის მოსახლეობას. შეიარაღებულ გლეხთა რაზმს მეთაურობდა ჭანჭათელი ვადაჭკორიების სამეული.[4] მალე აჯანყებულნი ნაგომრიდან გავიდნენ. მაგრამ გზაში გეგმა შეცვალეს და ოზურგეთის ნაცვლად შემოქმედს მივიდნენ. აქედან გლეხებმა მოსალაპარაკებლად გამოიწვიეს მაზრის უფროსი. მაგრამ იაცენკომ არ იკადრა გლეხებ-

---

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 223.
2 იქვე.
3 გ. ვადაჭკორიას სიტყვიერი ცნობა.
4 აკად. გ. ხაჭაპურიძის სიტყვით, ისინი ძმები იყვნენ (გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45). სინამდვილეში ძმები იყვნენ მხოლოდ ენუქა და ათანასე ვადაჭკორიები (ს ც ს ი ა, ფონდი 548, ს. 708, ფურც. 17).

თან მისვლა და მათთან სხვა მოხელეები გაგზავნა. მაზრის უფროსის ასეთმა საქციელმა კიდევ უფრო აღაშფოთა გლეხები. ისინი დაბეჯითებით შეუდგნენ მოქმედებას; მოუწოდებდნენ მოსახლეობას აჯანყებისაკენ, აფიცებდნენ საერთო საქმის ერთგულებაზე.

აკად. გ. ხაჭაპურიძის აზრით, „...გურულებს იმედი ჰქონდათ ოსმალეთის მხრივ აქტიური დახმარებისა.[1] ეს მოსაზრება არ არის მართალი; გლეხებს ჯერ კიდევ არ ჰქონდათ გადაწყვეტილი იარაღით მოქმედების დაწყება. ისინი, როგორც დავინახეთ, მშვიდობიანი მოლაპარაკების გზით ფიქრობდნენ საქმის გათავებას, ახალი ფულადი საერობო გადასახადის გაუქმებას. ამიტომ ისინი ამ დროს არავითარი გარეშე ძალების დახმარებას არ საჭიროებდნენ.

ჩუდინოვის ცნობით, აჯანყებულებმა 3 ივნისს ლეხოურს მიაღწიეს.[2] აქ მათ შეუერთდნენ ლეხოურის თემის მცხოვრებლები გოგიჩა გორდელაძის, ოთარ და ნიკოლოზ თოიძეების, აზნაურ ს. გოგოლიშვილისა და სხვათა მეთაურობით.

ლეხოურიდან ისინი უკან გამობრუნდნენ და დვაბზუსაკენ აიღეს გეზი; ცეცხლს მისცეს კარანტინი, ჩახერგეს გზები. მაზრის უფროსმა თავისი მცირერიცხოვანი ძალებით გლეხებთან შებრძოლება ვერ გაბედა. აჯანყებულნი ჯერ კიდევ იმედოვნებდნენ მოლაპარაკების საშუალებით მიზნის მიღწევას, ამიტომ მათ ხელიდან გაუშვეს ოზურგეთის ხელში ჩაგდებისათვის უდავოდ ხელსაყრელი მომენტი.

დვაბზუდან გლეხები გურიანთისაკენ გაემართნენ. მაზრის უფროსმა ეს ამბავი მეფის მთავრობის ერთგულ ოფიცერს, მაიორ თ-დ გ. ნაკაშიძეს შეატყობინა და მათ წინააღმდეგ გამოსვლა უბრძანა. გ. ნაკაშიძე ცეცხლით შეხვდა აჯანყებულებს. გლეხებმაც ხელი გაიკვლეს იარაღზე, მაგრამ მოწინააღმდგის ფინდიხს ვეღარ გაუძლეს და სწრაფად უკუიქცნენ.

ამ ამბის მონაწილის პირით ხალხური ლექსი მოგვითხრობს:

„ქვიტირზედ რომ ჩავაწიეთ, ნაკაშიძე წინ დაგვირჩა,
გვესროლა, მოგვიკვდა კაცი,[3] კაძახობა სულ წაგვიხთა,

---

1 გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 45.

2 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 226. გ. ხაჭაპურიძეს 4 ივნისი აქვს დასახელებული.

3 გურიანთის შეტაკებისას მოკლულ იქნა სახაზინო გლეხი როსტომ მეავანაძე და ელისაბედ გურიელის ყმა გოგია მენაბდე, დაიჭრა იმავე მებატონის ყმა დიონისე ჭანუყვაძე ЦГИАЛ, ф. 1268, оп. 1, 1841 г., д. 169, л. 102 ОБ.

მაგიერი ვერ ვესროლეთ, ტამბასა (?) ტყვია გაგვირჩა.“[1]

„კაძახობა წამხდარი“ გლეხობა უწესრიგოდ გაიფანტა. ზოგიერთი ტყეს შეეფარა, ზოგიც შინ დაბრუნდა.[2]

გურიანთის ამბების შემდეგ გურიაში თითქოს სიმშვიდე ჩამოვარდა. მაგრამ ეს მხოლოდ წუთიერი მყუდროება იყო. 9 ივნისს აკეთის გლეხები ისევ აჯანყდნენ.[3]

კავკასიის მმართველობა ძლიერ შეაშფოთა გურიის გლეხთა მღელვარებამ. მთავრობამ სასწრაფო ზომებს მიმართა „გაუგებრობის“ ფესვების აღმოსაკვეთად. აჯანყების ჩაქრობა დაევალა ახალციხის სამხედრო ოლქის უფროსს პოლკ. მოსე არღუთინსკის, რომელიც დაუქვემდებარეს საქართველო-იმერეთის სამოქალაქო გუბერნატორ კახანოვს. ამ უკანასკნელს თბილისის სამხედრო გუბერნატორმა ბრაიკომ უბრძანა, თვითონ გამგზავრებულიყო გურიაში და პირადად გაცნობოდა საქმის ვითარებას. „იქ თქვენ ნახავთ, — წერდა ბრაიკო კახანოვს, — საჭირო იქნება თუ არა მკაცრი ზომების გამოყენება, ან თუ შეიძლება ყველაფერი დაწყნარდეს იარაღის გარეშე. პოლკ. თ-დი არღუთინსკი ამ საქმეში თქვენთვის სასარგებლო იქნება. უბრძანეთ დაუყოვნებლივ აღმოაჩინონ აჯანყების წამომწყებნი.“[4]

12 ივნისს ოზურგეთში ჩავიდა გენ. კახანოვი, ხოლო 13 ივნისს არღუთინსკი. ერთის შეხედვით მოსახლეობა დაწყნარებული ჩანდა.

---

1 პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937 წ., გვ. 128-129.

2 გ. ხაჭაპურიძე გურიანთის ეპიზოდში გლეხთა საყურადღებო ანტი-ბატონყმურ გამოსვლას ხედავს. „ფრიად დამახასიათებელია, — წერს მკვლევარი, — რომ პირველი დიდი და სერიოზული შეტაკება მოხდა აჯანყებულებსა და მსხვილ მებატონეს შორის“ (გურიის აჯანყება, გვ. 46). მისი მტკიცებით, ამის მიზეზი იყო ის, რომ მსხვილი თავადიშვილი გიორგი ნაკაშიძე მკაცრი მებატონე იყო და გლეხებს ავიწროებდა (იქვე, გვ. 45-46). ამავე აზრს ავითარებს, როგორც უკვე ითქვა ა. კიკვიძეც. (საქართველოს ისტორია, გვ. 101). ასეთი მტკიცება სწორი არ ჩანს. ნაკაშიძის წინააღმდეგ რომ მის დამოკიდებულებაში მყოფი ყმები აჯანყებულიყვნენ, მაშინ მართებული იქნებოდა ამ ეპიზოდის ანტიბატონყმურ აქტად გამოცხადება, მაგრამ გურიანთისკენ მიმავალ აკეთელ, შემოქმედელ, ლეხოურელ თუ სხვა სოფლების გლეხებზე ხომ ამ მებატონეს სრულიად არ მიუწვდებოდა ხელი? როგორც ჩანს, მაიორი გ. ნაკაშიძე გურიაში მთავრობის ერთგულებით უფრო იყო ცნობილი (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 227), ვიდრე უდიერი მებატონეობით, თუმცა აჯანყებულები ამ შემთხვევაში მისი დარბევის მიზნით არ მიდიოდნენ გურიანთაში. მათი ამოცანა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, სულ სხვა იყო.

3 ს ც ს ი ა, ფონდი 548, საქმე 708, ფურც. 56.

4 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 231.

ორი დღის შემდეგ დაღისტნიდან დაბრუნდა გურია-იმერეთში მდგარი ჯარების უფროსი პოლკ. ბრუსილოვი. მან მიიღო გურიის საქმეების მოწესრიგების რწმუნება, არღუთინსკი კი ახალციხეში დაბრუნდა.

გენ. კახანოვი დაწვრილებით გაეცნო მდგომარეობას და როცა დარწმუნდა იმაში, რომ გლეხობას მართლაც არ გააჩნდა რუსული მონეტები, საერობო მოხელეებს უბრძანა, რუსული კურსით მიეღოთ თურქული ფული. გუბერნატორმა ამით „გაუგებრობა“ აღმოფხვრილად ჩათვალა და 16 ივნისს გურია დატოვა.

გადასახადების აკრეფა გრძელდებოდა... გუბერნატორი ჯერ გურიას არც კი გაცილებოდა, რომ მრავალ სოფელში თავი იჩინა გლეხთა აშკარა წინააღმდეგობამ.

17 ივნისს ასკანის სამოურავოს გლეხებმა უარი განაცხადეს საერობო გადასახადის შეტანაზე, ვიდრე ასეთს არ შეიტანდნენ აკეთლები.

18 ივნისს უკმაყოფილებამ მოიცვა საერისთავოს გლეხობა, ხოლო 20 ივნისს გამოვიდნენ სოფ. შემოქმედის გლეხები. შემოქმედელებს მეთაურობდნენ გოგია და როსტომ მამინაიშვილები.[1] ისინი თავიანთი უკმაყოფილების მიზეზად მებატონე ელისაბედ გურიელისაგან მიყენებულ შევიწროებას ასახელებდნენ.[2]

21 ივნისს სოფ. ჯვარცმაში 300 კაცი შეგროვდა. მათ მეთაურობდა იორდანე პაიჭაძე.[3] ჯვარცმელები საჯავახოსაკენ მიემართებოდნენ. გზადაგზა, ბუკის ხმაზე, მათ უერთდებოდნენ სხვა სოფლის გლეხები და ძლიერ სწრაფადაც ივსებოდა მათი რიგები.

გლეხთა რაზმი 1500-მდე კაცს ითვლიდა. მილიციამ თუმცა სცადა აჯანყებულთა გარეკვა, მაგრამ ამაოდ. გლეხებმა გზა განაგრძეს.

მდგომარეობა გამწვავდა. სამოქალაქო გუბერნატორი ისევ ჩავიდა გურიაში.

ჩუდინოვის ცნობით, 24 ივნისს[4] კახანოვმა პირადად მოიარა მოელვარე სოფლები და აჯანყებულებს დაშლა უბრძანა. ამ შემთხვევაში გლეხები მართლაც დაემორჩილნენ გუბერნატორს და დაიშალნენ.

---

1 გ. ხაჭაპურიძეს ამათი გვარი დამახინჯებით „მაშაქაშვილებად“ აქვს გაღმოცემული (გურიის აჯანყება, გვ. 46).

2 АКАК, т. IX, стр. 163, ЦГИАГ, ф. 548, д. 708, л. 86.

3 ა. ზ. კეკელიძის (დაბ. 1866 წ., სოფ. იანეული) და ვ. გ. თავბერიძის (დაბ. 1859 წ., სოფ. ზენობანი). სიტყვიერი ცნობა. ამ უკანაკნელის ცნობით, პაიჭაძესთან ერთად, აჯანყებულებს წინამძღოლობდა იოანე თავბერიძე.

4 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 235.

ივნისის ბოლოდან მოძრაობა მინელდა. გლეხები ყანებში დატრიალდნენ. აჯანყების ინიციატორებს დაეძებდნენ; მათ საშიშარ საფარს ტყე წარმოადგენდა.

ივლისის დასაწყისშიც ჰქონდა ადგილი გლეხთა ურჩობას 4 ივლისს საერობო გადასახადზე უარი განაცხადეს თხინვალის გლეხებმა, რომელთაც მაშინვე გამოეხმაურა აჯანყების მთავარი კერა — აკეთი. მაგრამ ივლისში აჯანყება არ გაფართოებულა. იგი ჩქარა მიყუჩდა. გურიის გლეხობა თითქოს დაემორჩილა თავის ხვედრს.

ადგილობრივ ხელისუფლებას სჯეროდა გურიის დაწყნარება. მაგრამ ეს მხოლოდ დროებითი შესვენების პერიოდი იყო.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ პერიოდში გლეხთა აჯანყებამ იფეთქა იმერეთში.

3 ივნისს სებეკას უბნის ოთხმა სოფელმა (ონჯოხეთი, გადიდი, უხუთი, დვალი) უარი განაცხადა საერობო გადასახადზე.

1841 წლის 9 ივნისს გენ. კოცებუ გრაფ ჩერნიშევს წერდა, რომ ეს გლეხები „არა თუ მხოლოდ თვითონ ურჩობენ, არამედ ცდილობენ ააღელვონ სხვებიც, იკრიბებიან შეიარაღებულ ბრბოებად“.[1]

სებეკას უბნის გლეხთა გამოსვლას ხელმძღვანელობდნენ რამაზია და სეხნია დვალიშვილები. უბნის მსაჯულმა გლეხებს დაშლა და შინ დაბრუნება მოსთხოვა. მაგრამ აჯანყებულნი მას არ დამორჩილდნენ. საქმეში ჩაერია მაზრის უფროსი. იგი პირადად მივიდა გლეხებთან და მღელვარების მიზეზები გამოჰკითხა. აჯანყებულებმა მაზრის უფროსს გააცნეს თავიანთი მძიმე მდგომარეობა; უთხრეს, რომ მათ აკისრიათ მრავალგვარი საბატონო ბეგარა-ვალდებულებანი, განიცდიან მემამულეთაგან შევიწროებას, აუტანელია მათთვის საერობო ბეგარა და სხვა.[2]

მაზრის უფროსი შეეცადა ხალხის დამშვიდებას, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

მეფის ხელისუფლებას სავსებით სწორად ჰქონდა შეგნებული აჯანყების სწრაფი ლოკალიზების აუცილებლობა, რადგან აქ გაჩაღებული ხანძარი შესაძლო იყო მთელ ამიერკავკასიას მოსდებოდა.[3]

გურიის ამბები ელვის სისწრაფით მოედო მეზობელ პროვინციებს, რომელთა მცხოვრებლებიც, იმდროინდელი დამკვირვებლის

---

1 АКАК, т. IX, стр. 162.
2 იქვე, გვ. 163.
3 ЦГИАЛ, ф. 1268, оп. I, 1842 г., д. 308, л. 14.

ცნობით, შეშფოთებით ამბობდნენ თურმე: „გურულები ყოველთვის იყვნენ მორჩილნი და მშვიდნი. მათში შემოიღეს ახალი მმართველობა,... კრეფენ მათგან გადასახადს (იგულ. ფულადი — ი. ს.), ჯარისკაცებს (რეკრუტებს) და შეურაცხყოფენ მათ ოჯახებს, ხოლო ადრე თუ გვიან ჩვენშიც შემოიღებენ ასეთ მმართველობას, ჩვენგანაც აიღებენ გადასახადებს, გაიწვევენ ჯარისკაცებს და დაგვირღვევენ ოჯახების მყუდროებასო.“[1]

ივლისის თვეში საერობო გადასახადის აკრეფა გრძელდებოდა. მაგრამ ეს ოპერაცია წარმატებით ვერ ხორციელდებოდა. გურიაში ხალხის ყრუ შფოთვა ზოგჯერ აშკარა წინააღმდეგობაში გადადიოდა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად ივლისის ბოლოს გამოვლინდა.

„ხელისუფლების მოთხოვნილებისადმი წინააღმდეგობა, — ამბობს ოფიციალური ისტორიკოსი,— დღითიდღე უფრო საგრძნობი და უფრო მედგარი ხდებოდა. ხოლო ივლისის დამლევისათვის ის უკვე ხელახლა გადაიქცა არა მარტო გაუგონრობად, არამედ თითქმნის აშკარა ურჩობად.“[2]

აჯანყებამ მოიცვა ოზურგეთის უბნის რიგი სოფლები. გლეხთა გამოსვლა ისევ საერობო ფულად გადასახადზე უარის თქმით დაიწყო.

26 ივლისს სოფ. ხვარბეთში 100-მდე შეიარაღებული გლეხი შეიკრიბა.[3] ხვარბეთს მიჰყვა გურიანთა, ლეხოური და სხვა სოფლები.

მაზრის უფროსი თავდაპირველად გლეხთა გასაფანტავად ჯარის გაგზავნას ფიქრობდა, მაგრამ შემდეგ არჩია თვითონ წასულიყო მოსახლეობის დასაწყნარებლად.

პირველ აგვისტოს იაცენკო გურიანთას მივიდა. მან მაშინვე მოითხოვა სოფლის გავლენიანი პირები და შეეცადა დაერწმუნებინა ისინი, რომ მთავრობა არც გადასახადის გადიდებას ისახავდა მიზნად და არც სამხედრო ვალდებულების დაწესებას. მაზრის უფროსმა ეს პირები წარგზავნა აჯანყებულებთან; მათ გლეხებს მაზრის უფროსის ბრძანება გამოუცხადეს შინ დაბრუნების შესახებ, მაგრამ აჯანყებულთა უმრავლესობა ამას არ დამორჩილდა. გლეხებმა ერთმანეთს საერთო საქმისათვის ბრძოლაში ერთგულება შეფიცეს. აჯანყებულთა რიგები სწრაფად იზრდებოდა, მათ შემოუერთდნენ სხვა სოფლების გლეხებიც. (მათ შორის იყვნენ ჩოჩხათ-

1 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 4.
2 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 238-239.
3 АКАК, т. IX, стр. 167.

ელები, რომლებსაც გადასახადი თუმცა შეტანილი ჰქონდათ, მაგრამ მაინც აქტიურად ჩაებნენ მოძრაობაში).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გლეხები ერთი სოფლიდან მეორეში გადადიოდნენ და მთავრობას აჯანყებისაკენ მოუწოდებდნენ. ისინი მოფიქრებულად მოქმედებდნენ. აჯანყებულთა ერთი ნაწილი კი გურია-იმერეთის საზღვარზე გაიგზავნა. მათ გზა უნდა შეეკრათ გურიაში მიმავალი სამხედრო ძალებისათვის; მეორე ნაწილი დაიძრა შეკვეთილისაკენ (წმ. ნიკოლოზის სიმაგრე). 8 აგვისტოს გურიაში შეიარაღებული აჯანყება დაიწყო.

9 აგვისტოს დილის 5 საათზე ბრუსილოვი 200 კაცის თანხლებით ოზურგეთიდან შეკვეთილისაკენ გაემართა.

ოზურგეთ-შეკვეთილის გზაზე, გოგორეთთან აჯანყებულთა საკმაო ძალებს (500-მდე კაცი) მოეყარათ თავი. ისინი აქ ელოდნენ სხვა სოფლების გლეხებს. გარიყრაჟზე გლეხები შეკვეთილს უნდა დაცემოდნენ თავს. წარმატების შემთხვევაში ისინი გურიანთაზე მიიტანდნენ იერიშს და ა. შ.

ბრუსილოვი ორ კილომეტრზე მიუახლოვდა თუ არა გოგორეთს, შეჩერდა და აჯანყებულებთან მოსალაპარაკებლად კაპიტანი გაბაშვილი გაგზავნა. მცირეოდენი წინსვლის შემდეგ აჯანყებულებმა გაბაშვილის რაზმს ტყვია დაუშინეს და აიძულეს იგი შეჩერებულიყო. ფიცხელი ბრძოლა გაჩაღდა. ძლიერი სროლა ორივე მხრიდან 4 საათს გაგრძელდა. აჯანყებულები მედგრად იბრძოდნენ. ამ ბრძოლაში განსაკუთრებით თავი ისახელა აბესა ბოლქვაძემ.

აჯანყებულებს მოხერხებული პოზიცია ეჭირათ; ბრუსილოვმა ვერ შეძლო გოგორეთიდან აჯანყებულთა უკუგდება და იძულებული შეიქნა უკან დაბრუნებულიყო.

მოწინააღმდეგის უკან დახევამ აღაფრთოვანა აჯანყებულნი. ისინი დაედევნენ ბრუსილოვის რაზმს და არა ერთი შეტაკება მოუხდათ მასთან.[1]

გოგორეთის ბრძოლას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი აჯანყების წარმატებით განვითარებას, გაზარდა და აამაღლა გლეხთა საბ-

---

1 ბრუსილოვის ცნობით, გოგორეთის ბრძოლაში მან დაკარგა მოკლულთა 6, ხოლო დაჭრილთა სახით 16 კაცი, (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 243. ს ც ს ი ა, ფონდი 548, საქმე 708, ფურც. 59). ჩუდინოვის ცნობით, აჯანყებულებმა დაკარგეს მოკლულთა 15-მდე, ხოლო დაჭრილთა სახით 40-მდე კაცი. (იქვე), ამავე ისტორიკოსის სიტყვით, გოგორეთთან დაიჭრა აჯანყებულთა ხელმძღვანელი ა. ბოლქვაძე. (იქვე, გვ. 299).

რძოლო სულისკვეთება. გლეხთა გამარჯვების ხმა ულვის სისწრაფით დაირხა გურიაში და მოსახლეობაზე დიდი მორალური ზეგავლენა მოქმედება მოახდინა. ამის შემდეგ მოძრაობა სწრაფად გაფართოვდა. ბრძოლაში ჩაება მოსახლეობის ის ნაწილიც, რომელიც აქამდე აჯანყებას ალმაცერად უყურებდა.

მიღწეული წარმატებით გათამამებული აჯანყებულნი აქტიურ შეტევაზე გადავიდნენ. იმავე 9 აგვისტოს საღამოს აჯანყებულთა ერთი ნაწილი დაეცა გურიანთაში მიმავალ ტრანსპორტს. გლეხებმა მოკლეს 4 ჯარისკაცი და ორი ტყვედ წამოიყვანეს; ხელთ იგდეს ტანსაცმელი, ამუნიცია. აჯანყებულებს შეტაკება მოუხდათ თ-დ ნაკაშიძეებთანაც.

აჯანყებულთა მეორე რაზმი 200 კაცის შემადგენლობით დაესხა ჩოლოქის საგუშაგოს, დაანგრია იგი და ხელთ იგდო ქონება, ცხენები, კაზაკთა იარაღი. მათვე დაარბიეს საბაჟოს საგუშაგო, დაეცნენ კარანტინს და სხვა.

აჯანყებულ გლეხთა ერთმა ჯგუფმა აზნაურ გოგია ქარცივაძის მეთაურობით დაიკავა ნატანების საგუშაგო, მოსპო გადასასვლელი ბორანი მდ. ნატანებზე, შეიპყრო მებორნეები.

აჯანყებულები თავბრუდამხვევი სისწრაფით მოქმედებდნენ. სულ მოკლე დროში მათ თითქმის მთლიანად დაიკავეს სამხრეთ-დასავლეთი გურია.

ცენტრალურ გურიას არც აღმოსავლეთი ჩამორჩა. აქ აჯანყებულები ოზურგეთ-ქუთაისის საკომუნიკაციო ხაზის გადაჭრას ცდილობდნენ. მალე ეს ხაზი აჯანყებულთა ხელში აღმოჩნდა.

აჯანყებულებს განზრახული ჰქონდათ მთელი გურიის შეკვრა; მათი შეტევის საბოლოო პუნქტი ოზურგეთი იყო.

გლეხებმა ყოველი მხრიდან გადაჭრეს ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები. ბრუსილოვი კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდა.

სამხრეთ-დასავლეთ გურიაში აჯანყებულები მედგრად მიიწევდნენ წინ. 10 აგვისტოს მათ იერიში მიიტანეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეზე. აქ იყო სურსათ-სანოვაგის მნიშვნელოვანი საწყობები. რამოდენიმე გასროლის შემდეგ აჯანყებულნი სიმაგრეში შეიჭრნენ. მათ სწრაფად განაიარაღეს ჯარისკაცები, გარნიზონის უფროსი, დაეუფლნენ შეკვეთილს და ხელთ იგდეს დიდძალი ქონება, იარაღი, ამუნიცია.

ამის შემდეგ აჯანყებულნი ფოთის მიმართულებით გაემართნენ; ჩახერგეს გზები, მოსპეს გადასასვლელები და ყველგან დააყენეს გუშაგები.

ახლა გლეხებმა მოქმედება გურიის ცენტრში გადმოიტანეს. ისინი მიუახლოვდნენ ოზურგეთს. მაგრამ მტკიცე ზურგის შექმნამდე დაბაზე იერიშის მიტანას არ აპირებდნენ. აჯანყებულებმა დაიწყეს ოზურგეთისაგან მახლობელი სოფლების ჩამოცილება; პირველ რიგში ისინი გურიანთას მიწვდნენ. გაუვალი გახადეს გურიანთისაკენ მიმავალი გზები და მალე გარემოიცვეს სოფელი.

გურიანთის გარნიზონი უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. სურსათი ილეოდა. შევსება შეუძლებელი იყო. გარნიზონის უფროსი პორუჩიკი მიქელაძე გამარჯვებას დაჩვეულ გლეხებთან შებრძოლებას მოერიდა და თავისი გარნიზონით გურიანთიდან გაპარვა ამჯობინა.

13 აგვისტოს ღამით მიქელაძე თავისი ასეულით ხელიდან გაუსხლტა აჯანყებულებს და ნაკაშიძეთა თანხლებით ერთი პატარა ბილიკით ოზურგეთს ჩავიდა. ეს ფაქტი გლეხთათვის არახელსაყრელ პირობებს ქმნიდა. ოზურგეთის გარნიზონს ძალები ემატებოდა და მის თავდაცვისუნარიანობას ზრდიდა.

გურიანთა აჯანყებულთა ხელში გადავიდა.

ამავე დროს აჯანყებულთა მეორე ნაწილს გარემოეცვა ლეხოურის საგუშაგო. სურსათს მოკლებული გარნიზონი სულს ღაფავდა. მათი შველა იკისრა აზნ. ქ. თაყაიშვილის დედამ. ამ მოღალატე დედაკაცის წინამძღოლობით ლეხოურის საგუშაგოს ჯარისკაცები იმავე 13 აგვისტოს ოზურგეთში დაბრუნდნენ. ამ დამსახურებისათვის იგი სათანადოდაც დაასაჩუქრეს.[1]

გურიანთისა და ლეხოურის მცხოვრებთ აქტიურად გამოეხმაურნენ ასკანის სამოურავოს გლეხები, რომლებიც მამუკა ანთაძისა და მუხარბეგ დოლიძის მეთაურობით ცდილობდნენ დაცემოდნენ ასკანას, მაგრამ მოურავ დიმ. ერისთავის აქტიური წინააღმდეგობის გამო გლეხებმა განზრახული სისრულეში ვერ მოიყვანეს. ისინი ვაკიჯვრისაკენ გაეშურნენ და დაარბიეს ვაკიჯვრის საგუშაგო.

ამრიგად, სულ მოკლე დროში, ხუთი დღის მანძილზე აჯანყებულებმა დაიკავეს გურიის უმთავრესი სიმაგრეები, გზები, სოფლები და სხვ. უზრუნველყვეს რა ზურგის უშიშროება, აჯანყებულთა დღის წესრიგში დადგა ოზურგეთის აღება.

---

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 255.

ბრუსილოვი კარგად ხედავდა მოსალოდნელ საფრთხეს. ამის გამო სახაზინო ქონება სიმაგრეში შემოზიდა და დასახვედრად მოემზადა. ოზურგეთში ყოველგვარი მუშაობა შეწყდა. გარნიზონი გურული თავადაზნაურების მილიციასთან ერთად იარაღქვეშ დადგა. სურსათის მარაგი დღითი დღე მცირდებოდა. ავადმყოფთა რიცხვი მატულობდა. ოზურგეთის ირგვლივ თავს იყრიდნენ აჯანყებულთა ძალები. გარნიზონი შველას თხოულობდა.

ა/კავკასიის მმართველობამ აჯანყების ჩამქრობ ექსპედიციას სათავეში პოლკ. არღუთინსკი ჩაუყენა. ბრუსილოვისავე თხოვნით გურიისაკენ დაიძრა სამეგრელოსა და იმერეთის მილიცია.

იმერეთის მილიცია, რომელსაც პოლკ. წერეთელი ხელმძღვანელობდა, 16 აგვისტოს ნაგომარს მოვიდა. მაგრამ ამის შემდეგ გზის განგრძობა ვეღარ შეძლო. ნასაკირალზე აჯანყებულები იყვნენ გამაგრებული.

წერეთლის განკარგულებაში მყოფი ძალებით (300 მილიციელი) ოზურგეთისაკენ წასვლა შეუძლებელი ჩანდა. ამიტომ მან ჩოხატაურის საგუშაგოსაკენ დახევა ამჯობინა. მილიციელებმა კარგად განახორციელეს უკანდახევა და მოახერხეს პორუჩიკ ლევინსკის რაზმთან შეერთება. გლეხებმა ამ შემთხვევაში, როგორც ვხედავთ, ვერ იმარჯვეს და თავიანთი უტაქტო მოქმედებით მოწინააღმდეგის ძალებს გაერთიანების საშუალება მისცეს.

ოფიციალური ცნობით, პოლკ. წერეთლისა და პორუჩიკ ლევინსკის ბანაკი 2700 აჯანყებულით იყო ალყაშემორტყმული.[1]

24 აგვისტოს დილის 10 საათზე[2] გლეხებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე, მაგრამ შეტევა უშედეგოდ დამთავრდა. ნაშუადღევს მათ არაერთხელ სცადეს საქმის გამოსწორება, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლიერმა ცეცხლმა აიძულა ისინი უკან დაეხიათ და თავიანთ პოზიციებს დაბრუნებოდნენ.[3]

გურიაში ჩაწერილი მასალებით აჯანყებულებს მოწინააღმდეგის სადგომების გადაწვა განუზრახავთ. ეს საქმე უკისრია გლეხ ვაჩეიშვილს. ღამის სიბნელეში მას გაღვივებული სოკოები ბზეკალ-კოდალით გადაუტყორცნია კაზაკთა და მილიციელთა

---

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 274.

2 АКАК, т. IX, стр. 172.

3 გენ. გოლოვინის ცნობით, წერეთელმა ამ ბრძოლაში დაკარგა ერთი ჯარისკაცი და 5 მილიციელი მოკლულთა, ხოლო ერთი ჯარისკაცი და 19 მილიციელი დაჭრილთა სახით. (АКАК. т. IX, стр. 172. ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 274-275) არის ცოტაოდენ განსხვავებული ცნობაც, ს ცს ი ა, ფონდი 548. საქმე 708, ფ. 88, გვ. 2. მოწინააღმდეგემ ტყვედ ჩაიგდო ოთხი გლეხი, (ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 275).

ბანაკში. ეს მომენტი გუშაგებს ვერ შეუნიშნავთ. მალე ისლით დახურული კარვები ცეცხლის ალში გახვეულა.[1] 27 აგვისტოს წერეთელმა საჯავახოსაკენ დაიხია.[2]

მილიციელები ცდილობდნენ აჯანყებულ გლეხთა გათიშვას. ზოგიერთი გლეხის მოსყიდვა მათ მართლაც შესძლეს და ამით აჯანყებულთა ძალა რამდენადმე შეასუსტეს.[3]

18 აგვისტოს ფოთიდან გამოვიდა დავით დადიანი. იმავე საღამოს სამეგრელოს მილიციამ[4] მალთაყვიდან უკუაგდო აჯანყებულები, ხოლო ორი დღის ძლიერი ბრძოლის შემდეგ დაიკავა გრიგოლეთი. მაგრამ ამას იქით ფეხი ველარ წადგა.

გზები ჩახერგილი და ყოველი ბორცვი სიმაგრედ იყო ქცეული. აჯანყებულნი მედგრად იბრძოდნენ გრიგოლეთის დაბრუნებისათვის. ბრძოლა სამი დღე-ღამის განმავლობაში გრძელდებოდა.[5]

ნ. მურავიოვის სიტყვით, აჯანყებულები მოწინააღმდეგეს უყიოდნენ: „რისთვის მოდიხართ თქვენ ჩვენზე? თქვენთანაც იქნება ისე, როგორც ჩვენთან არის, თქვენგანაც აიღებენ გადასახადს და სხვა.“ აჯანყებულთა ასეთი შეგონების შედეგად, — დასძენს ნ. მურავიოვი, — „მეგრული მილიციის გლეხურმა ნაწილმა არ ისურვა წინსვლა და შინ დაბრუნდა.“[6]

---

1 ალ. კეკელიძის (დაბ. 1866 წ., სოფ. იანეული) სიტყვიერი ცნობა.

2 АКАК, т. IX, стр. 172, ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 275.

3 ხალხი დღესაც ზიზღით იგონებს მოღალატე ბურნათელ გლეხს გლახუნა ძნელაძეს. ჯაშუში ძნელაძე პოლკ. წერეთელს ყოველდღიურად აწვდიდა ცნობებს აჯანყებულთა ზრახვების შესახებ. გარდა ამისა, მან მოახერხა ხელიდან გასხლტომოდა გლეხთა გუშაგებს და ალყაში მოქცეული იმერეთის მილიციის უფროსის ბარათი მიეტანა დანიშნულ ადგილზე. გლ. ძნელაძეს შემდეგ სამხედრო განათლება მიუღია და ოფიცერი გამხდარა. გამდიდრებულსა და დაწინაურებულ „გლახუნა მარს“ (აღმ. გურიაში მარს დიდად განათლებულ კაცს უწოდებენ) ბალაპაპური წაფერდებული ფაცხის ადგილას ორსართულიანი ქვითკირის სახლი წამოუჭიმავს. მოსახლეობას ძლიერ ეშინოდა მოღალატე. ამბობენ, ბუნებით ბოროტი კაცი იყო. ეს გარეწარი მოხსენიებული ჰყავს ეგ. ნინოშვილსაც (თხზულებათა სრული კრებული, თბ. 1954 წ., გვ. 80).

სამწუხაროდ, ძნელაძისთანა მოღალატენი აჯანყების პერიოდში ცოტანი როდი იყვნენ. ვერცხლის ბრჭყვიალი ბევრ გონებაბნელ გლეხს უბნევდა თავგზას. მაგ., ტ. კვინტრაძის ცნობით, საჯავახოს გლეხთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის ნიკოლაიშვილის მოკვლისათვის ქვემოხეთელ გლეხს ხოსია კვინტრაძეს პოლკ. წერეთლისაგან 5 მანეთი (ვერცხლით) მიუღია.

4 სამეგრელოს მილიციის რაოდენობის შესახებ სხვადასხვა ცნობები გვაქვს: ჩუდინოვის მიხედვით დადიანს ჰყავდა 1000 მილიციელი. (ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 264). გენ. ბრაიკოს სიტყვით — 500 (ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 73). ეს უკანასკნელი უფრო ახლოს უნდა იყოს სინამდვილესთან.

5 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 264.

6 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 4 об.

ამ ცნობიდანაც ნათლად ირკვევა აჯანყების ძირითადი მოტივი.

გრიგოლეთის ბრძოლაში სამეგრელოს მილიცია ბრძოლოდ დაზარალდა.[1] 23 აგვისტოს მილიციელებმა პირი იბრუნეს ფოთისაკენ.[2] აჯანყებულებმა მათ უკან დასახევი გზა მოუჭრეს.

გურული გლეხების ერთმა ნაწილმა მოხერხებულად გაიარა გრიგოლეთის ტევრი და დედაბერას წყლის გაყოლებით ზღვამდე მაგრად შეკრა ფოთისაკენ მიმავალი გზა. მოწინააღმდეგე რკალში აღმოჩნდა. გზის გახსნისა და გათავისუფლების საფასურად მილიციელებმა გადაჯვარედინებულ თოფებქვეშ გაძვრომა იკადრეს.[3]

ამ დამამცირებელი აქტის შემდეგ აჯანყებულებმა გზა მისცეს დამარცხებულ მოწინააღმდეგეს. მილიციელების გათავისუფლება აჯანყებულთა უდავო შეცდომა იყო, რადგანაც ეს ძალა მეფის ხელისუფლებამ ისევ გამოიყენა მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ფოთიდან დ. დადიანმა მილიციელების ნაწილი პოლკ. არღუთინსკისთან გაგზავნა, ნაწილს კი ფოთი-მარანის ხაზის დაცვა უბრძანა.

არღუთინსკიმ თავისი ჯარების ნაწილს, რომელშიაც შევიდა სამეგრელოს მილიციაც, ფოთის დაცვა და წმ. ნიკოლოზის სიმაგრის აღება დაავალა და ფოთისაკენ გაგზავნა. ამით მას სურდა აჯანყებულთა ყურადღება ნაწილობრივ მაინც ჩამოეშორებინა ოზურგეთისათვის. მაგრამ სამეგრელოს მილიციამ ვერ გაამართლა მეთაურთა იმედები. მილიციელებმა, რომელთაც გრიგოლეთ-

---

1 ოფიციალური ცნობით, დ. დადიანმა 40-მდე კაცი დაკარგა. (ს ც ს ი ა, ფონდი 548. საქმე 708, ფურც. 59, გვ. 2, ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ 254.)

აჯანყებულთა მხრიდან მოიკლა სიმონ ჭყონია და ქაქუჩელა გუგუნავა (ვ. ჩუდინოვი, გვ. 264). არღუთინსკის ცნობით, გრიგოლეთში (რუ აქ ეს პუნქტი გოგორეთის დამახინჯებული გადმოცემა არ არის). დაიჭრა აჯანყებულთა გამოჩენილი წინამძღოლი აბესა ბოლქვაძე. (სცსია, ფონდი 548, ს. 708, ფ. 13.).

2 ხალხური ლექსი ამბობს:

„დადიანი მისი ჯარით ყუყვით მივა უკან ბარდში;
თოფის სროლა რომ შეიქნა, ბალოტაში რატომ დარჩი?
აწი შიმშილი მოგიწევს, დაეწინდრეთ ლუკმა ჭადში!
ამის მეტი თვარ შეგეძლოთ, თქვენს დედმამას რატომ დარჩით.“
(ბ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, თბ., 1937 წ., გვ. 129).

3 სხვა ხალხური ლექსით:

„თოფ-იარაღ დანაყარი,
ალაიაში გააძვრინეს,
და თავადებს ცემით ვოფლი
შით კბილებში გაადინეს.“
(ალ. ღლონტი, გურული ფოლკლორი, თბ., 1937 წ., გვ. 107).

თან დამარცხების შემდეგ ბრძოლის ხალისი სრულებით დაკარგოდათ, უარი განაცხადეს შეკვეთილისაკენ წასვლაზე. ჩუდინოვის სიტყვით, „...ახლა მათში სამხედრო წესრიგის აჩრდილიც აღარ იყო, არც სამსახურისადმი მცირეოდენი ერთგულება და არც არავითარი დისციპლინა“.[1] ბევრი მათგანი თვითნებურად ტოვებდა ბანაკს და შინ გარბოდა. ამის გამო შეკვეთილის იერიში ამჯერად ვერ განხორციელდა. ეს პუნქტი მხოლოდ მოძრაობის დასასრულს იქნა აღებული.

ამრიგად, ოზურგეთზე მიმავალი მაშველი ძალები აჯანყებულებმა ორივე მხარეზე დაამარცხეს. ამავე დროს მჭიდროდ გარემოიცვეს ოზურგეთი. გარნიზონის მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. თავის უკმაყოფილებას უკანასკნელი უკვე აშკარად გამოთქვამდა.

ოზურგეთის გარემოცვა გაჭიანურდა. აჯანყებულთა რიგები სულ უფრო და უფრო იზრდებოდა, მაგრამ იერიშს დასაწყისი არ უჩანდა. აჯანყების წინამძღოლებს შორის არ არსებობდა ერთსულოვნება და აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი. ზოგიერთებს ეწადათ, რაც შეიძლება მალე აეღოთ ოზურგეთი, მეორენი კი ასეთ მისწრაფებას გარემოების შეუფერებლად მიიჩნევდნენ. უთანხმოება ზოგჯერ იქამდე მიდიოდა, რომ აჯანყებულები ერთიმეორეს იარაღით ემუქრებოდნენ.[2]

ჯარისკაცები და მილიციელები სულით დაეცნენ. გურულ მილიციელთა რიგები თანდათან მცირდებოდა. ისინი ტოვებდნენ სიმაგრეს და აჯანყებულთა ბანაკში გადადიოდნენ. ყველაზე მასიური გადასვლა მოხდა 27-28 აგვისტოს ღამით. მილიციელთა შორის იყო თ-დი დავით გუგუნავაც.[3] ოზურგეთის იერიშის დროს იგი აჯანყებულთა ერთ-ერთი რაზმის სათავეში იდგა.

აჯანყების მონაწილე ედიშელ თაყაიშვილის გადმოცემით, „აჯანყებულთა შეტევის გეგმა ასეთი ყოფილა: დავით გუგუნავას რაზმი უნდა მოსულიყო ნაგომრიდან, ხოლო დავით გურიელის ლანჩხუთიდან. ეს იქნებოდა მემარჯვენე და მემარცხენე ფრთები შეტევისა. ლეხოურელები და მაკვანეთლები აქედან უნდა ჩასულიყვნენ ჟუჟის პირზე, გოგორიშვილის (უნდა იყოს გოგოლიშვილი — ი. ს.) თაოსნობით. გოგორიშვილის რაზმი იქნებოდა მებრძოლთა ცენტრი.

---

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 279.
2 იქვე, გვ. 257.
3 АКАК, т. IX, стр. 173.

აჯანყების დროს დავით გუგუნავას და გოგორიშვილის რაზმები დროულად მოსულან თავთავიანთ ადგილზე, მაგრამ დავით გურიელის რაზმს რაღაცა მიზეზის გამო დაგვიანებოდა. ამ მოსვლამდი შეტევა უკვე დაწყებულიყო; გოგორიშვილის რაზმს გადაელახა ჟუჟი და დაეკავებია მაღლობი, რომელიც ოზურგეთის ციხის პირდაპირ იყო, ბაზრის წყლის მარცხენა ნაწილზე."[1]

პირველ სექტემბერს 3 საათზე აჯანყებულთა ერთმა ნაწილმა დავით გუგუნავას წინამძღოლობით სიმაგრეზე იერიში დაიწყო სამხრეთის მხრიდან. დავით გუგუნავას მიჰყოლია ს. გოგოლიშვილის რაზმიც.[2]

ოზურგეთის გარნიზონმა გრიგალისებური ცეცხლი გაუხსნა მოიერიშე ძალებს და დ. გუგუნავას რაზმი საკმაოდ დაზარალებული უკუაგდო. მოწინააღმდეგემ ცეცხლი სწრაფად გადაიტანა ბაზრის წყლის მხრიდან შემტევი გლეხობისაკენ. აჯანყებულებმა ვერ გაუძლეს საარტილერიო ფინდიხს და მალე უკუიქცნენ.

შეკვეთილის გზიდან აჯანყებულთა შემტევ ძალებს ბრძოლა ჰქონდათ მილიციელებთან. უკანასკნელებმა წარმატებით მოიგერიეს მოიერიშე გლეხები და აიძულეს უკან გაბრუნებულიყვნენ. უკან დახევა ისე სწრაფად მოხდა, რომ აჯანყებულებმა ვერც კი მოასწრეს მოკლულებისა და დაჭრილების აკრეფა.

სასტიკი და შეუპოვარი ბრძოლა გაგრძელებულა სამხრობის დრომდე.[2] ეს ბრძოლა ყველა ფლანგზე შემტევი ძალების დამარცხებით დამთავრდა.

თ-დ დავით გუგუნავასა და აზნ. ს. გოგოლიშვილს გარდა, ოზურგეთის იერიშში აქტიურად მონაწილეობდნენ აზნაურები ქაიხოსრო გუგუნავა, აბესა ბოლქვაძე და სხვა.

აჯანყების მთავარი წინამძღოლი თ-დი ამბაკო შალიკაშვილი იყო.

გლეხთა იერიში ოზურგეთზე ვერ განხორციელდა ორგანიზებულად. შეტევის გეგმა შესრულების დროს დაირღვა. აჯანყებულებმა ვერ განახორციელეს ერთდროული შეტევა ყველა მხრიდან, გლეხთა დაქსაქსულმა მოქმედებამ საშუალება მისცა მოწინააღმდეგეს კონცენტრირებულად გამოეყენებინა თავისი მცირერიცხოვანი ძალები. გარდა ამისა, ოზურგეთში გამაგრებული ჯარი შეიარაღებითაც სჯობდა მოიერიშეებს და სხვ.

---

1 ეჭ. თაყაიშვილი, მოგონებანი, ქართველ მწერლებზე, გვ. 61.
2 იქვე.

ამრიგად, აჯანყებულმა გლეხებმა ვერ შეძლეს ოზურგეთის აღება, ხოლო იერიში დიდ მსხვერპლად დაუჯდათ.[1]

ოზურგეთის იერიშის წარუმატებლობამ გლეხთა მორალურ განწყობილებაზე დიდი უარყოფითი გავლენა მოახდინა. აქ განცდილმა მარცხმა გლეხებს გამარჯვების იმედი წარუკვეთა და ბრძოლის ხალისი დაუკარგა. მათ ვეღარ შეინარჩუნეს ის მორალური უპირატესობა, რომელიც პირველი წარმატებული ბრძოლების შედეგად მიიღეს.

აჯანყებულები მაინც განაგრძობდნენ ოზურგეთის ალყას. მაგრამ იერიშის განმეორება ვერ მოახერხეს. საქმესთან ახლო მდგომი პირების მტკიცებით, ერთი ახალი იერიში საკმარისი იყო ოზურგეთის ასაღებად.[2] აჯანყებულები თავდაცვაზე გადავიდნენ, ხოლო „თავდაცვა ყოველი შეიარაღებული აჯანყების სიკვდილია“ (კ. მარქსი).[3]

პოლკ. არღუთინსკის მოხერხებული მანევრით (ნასაკირალის შემოვლა) 5 სექტემბერს დილის 9 საათზე აჯანყების დამთრგუნავი ძალები მოულოდნელად გამოჩნდნენ ოზურგეთთან.[4] გაჩაღდა მოკლე და გადამწყვეტი ბრძოლა. გლეხებმა ვერ გაუძლეს რეგულარული ჯარებისა და მილიციელების იერიშს და უწესრიგოდ გაიფანტნენ.

არღუთინსკის ცნობით, ამ ბრძოლის დროს აჯანყებულთა მხრიდან მოიკლა 60, ხოლო დაიჭრა გაცილებით მეტი.[5]

ამრიგად, ოზურგეთთან თავმოყრილი აჯანყებულთა ძალები დამარცხდნენ. გლეხთა მოძრაობა სწრაფად დაეშვა დაღმართზე.

6 სექტემბერს არღუთინსკი ნასაკირალისაკენ დაიძრა. მთავრობის ჯარების მოახლოვებისთანავე გლეხებმა მიატოვეს სანგრები და გაიქცნენ. არღუთინსკის არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია. მისმა ნაწილებმა ადვილად დაიკავეს ნასაკირალი. მალე გაწმენდილი იქნა საშინლად ჩახერგილი გზაც.

1841 წლის 8 სექტემბერს არღუთინსკი კავკასიის ცალკე კორპუსის შტაბის უფროსს სწერდა: „აჯანყებულები ოზურგეთთან ერთის დაკვრით მიყენებული განადგურების შემდეგ, შინ დაბრუნდნენ; მახლობელი სოფლების მცხოვრებლები, მორჩილე-

1 ვ. ჩუდინოვი, დასახ. ნაშრ., გვ. 286.
2 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 89
3 ი. სტალინი, თხზ., ტ. I, გვ. 229.
4 ЦГИАЛ ф. 1268, д. 169, л. 85 об.
5 იქვე, ფურც. 86.

ბით ცხადდებიან ჩემთან, მხოლოდ გურიანთის, ლეხოურის და რამდენიმე სხვა სოფლის მცხოვრებლები, რომელთაც ყველაზე მეტი ბრალი მიუძღვით აჯანყებაში, ჯერ კიდევ მერყეობენ.

ოზურგეთთან აჯანყებულების დამარცხებამ გზა გაუხსნა დასავლეთ გურიაში მოქმედ ძალებს. 13 სექტემბერს მეფის ჯარებმა დაიკავეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრე.

არღუთინსკი წარმატებით ახორციელებდა აჯანყებულთა დამორჩილებას და მოსახლეობას მეფის მთავრობის ერთგულებაზე აფიცებდა. მალე მთელ გურიაში აღდგენილ იქნა წინანდელი რეჟიმი.

**§ 4. აჯანყებულთა ბედი, აჯანყების დამარცხების მიზეზები.** აჯანყების ჩაქრობის შემდეგ არღუთინსკი შეუდგა მოძრაობის მეთაურებისა და აქტიური მონაწილეების შეპყრობას. ამ საქმეში თავი ისახელეს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა: პრაპორშჩიკმა ალ. მაჭუტაძემ, პრაპორშჩიკმა დიმ. ერისთავმა, აზნ. ბერიძემ და სხვ.

დაპატიმრებული „დამნაშავენი“ ქუთაისს გაგზავნეს. ქუთაისში ამათი გასამართლებისათვის შეიქმნა სამხედრო სასამართლო. სასამართლო პროცესი 1842 წლის 3 თებერვალს დაიწყო და დამთავრდა იმავე წლის 13 მარტს. განაჩენი დასამტკიცებლად გადაეგზავნა მთავარმმართველ გოლოვინს. მთავარმმართველმა დაამტკიცა მკაცრი განაჩენი, რომელიც 34 ბრალდებულს ეხებოდა.

განაჩენი დამნაშავეებს თანრიგებად და ხარისხებად ჰყოფდა.

პირველი თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავეებად იცნეს: თ-დი ამბაკო შალიკაშვილი, აზნ. ქაიხოსრო გუგუნავა, აზნ. სიმონ ჭყონია. მათ ერთმეორეთ ყოველგვარი უფლება და იგზავნებოდნენ ციმბირში საკატორღო სამუშაოზე. ასეთივე ბედს იზიარებდა მეორე თანრიგის მესამე ხარისხის დამნაშავე აზნ. ალექსანდრე ნაკაიძეც.

თ-დი ამბაკო შალიკაშვილისა და აზნ. სიმონ ჭყონიას ქონება სახაზინოდ ირიცხებოდა.

პირველი თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხები — ესიკა მამულაიშვილი, გოგია ჯიბლაძე, ნიკოლოზ თოიძე, მამუკა ანთაძე და სხვ., შპიცრუთენებით დასჯის შემდეგ,

1 ЦГИАЛ, ф. 1268, д. 169, л. 87 об.

იგზავნებოდნენ ბობრუისკის პატიმართა ასეულში 10 წლის ვადით.

მეორე თანრიგის პირველი ხარისხის დამნაშავენი — ეფუმა ვადაჭკორია, გოგია ვადაჭკორია და სხვ. შპიცრუთენებით დასჯის შემდეგ 10 წლის ვადით იგზავნებოდნენ სევასტოპოლის პატიმართა ასეულში, ხოლო ათანასე ვადაჭკორია, ნიკოლოზ ვადაჭკორია, დავით მეგრელიძე — ბრესტ-ლიტოვსკს.

ცოტაოდენი შემსუბუქებით ასეთივე სახის სასჯელი ედებოდათ ამავე თანრიგის მეორე და მესამე ხარისხის დამნაშავე გლეხებსაც.

ზოგიერთს, მიიღეს რა მხედველობაში მათი დანაშაულებრივი ქმედობის ხასიათი, მოხსნეს ბრალდება და გაათავისუფლეს.

სასამართლოს წინაშე არ წამდგარა აჯანყების ზოგიერთი აქტიური მონაწილე და წინამძღოლი თავადაზნაურთა წრიდან, მაგ., თ-დი დავით გუგუნავა, აზნ. ათარმიზა თოიძე და სხვ., რომლებიც მთავრობის ჯარებს მიუვიდნენ და მონაწილეობა მიიღეს აჯანყებულთა საწინააღმდეგო მოქმედებაში.

მთავრობას არ სურდა გაეზვიადებინა აჯანყებაში თავადაზნაურობის მონაწილეობის ფაქტი და მას მოძრაობაში „იძულებით ჩათრევის“ კვალიფიკაციას აძლევდა. ეს იმავე მოტივებით იყო ნაკარნახევი, როგორითაც 1832 წლის შეთქმულების გაფუქსავატების ცდა.

მთავრობას განზრახული ჰქონდა აგრეთვე თურქეთში გაქცეულ აჯანყებულთა[1] შეპყრობა და სამართალში მიცემა, მაგრამ ეს არ მოხერხდა.

ასე გადაწყვიტეს ადგილობრივ აჯანყებულთა ბედი, მაგრამ მალე შეიცვალა საქმის ვითარება. ნიკოლოზ პირველმა უაღრესად დიდი „ხელმწიფური სულგრძელობა“ გამოიჩინა და პრაპორშჩიკ ა. შალიკაშვილს გარდა ყველას შეუნდო დანაშაული.

---

1 თურქეთში გაიქცა მოძრაობის 9 აქტიური მონაწილე: თ-დი მიხეილ მაქსიმელიშვილი, აზნაურები: სიმონ გოგოლიშვილი და გიტო გოგორიკიძე, გლეხები: გოგია გორდელაძე, დავით მეგრელიშვილი, იორდანე პაიჭაძე, ალექსანდრე ანთაძე, როსტომ სიხარულიძე, მაქსიმე ხუხუნაიშვილი (სცსია, ფონდი 548, საქმე 708, ფურც. 73).

„ბრალდებულთა“ შეწყალების შემდეგ თურქეთში გადასვეწილმა პირებმაც ითხოვეს სამშობლოში დაბრუნების ნებართვა. მთავარმმართველმა გოლოვინმა დააკმაყოფილა მათი თხოვნა და ისინიც დაბრუნდნენ.[2]

ამრიგად, გურიის გლეხთა აჯანყება მარცხით დამთავრდა. აჯანყებულებმა ვერ შეძლეს თავიანთი სამართლიანი ბრძოლა წარმატებით დაემთავრებინათ.

გურიის აჯანყებას ახასიათებდა ყველა ის ნაკლი, რაც საერთოდ დამახასიათებელია გლეხთა აჯანყებისათვის: პროგრამის უქონლობა, არაორგანიზებულობა, ძალთა დაქსაქსულობა და სხვ.

პირველ ხანებში ერთი სულით ანთებული აჯანყებულები შესანიშნავ წარმატებებს აღწევდნენ, მაგრამ თანდათანობით მისუსტდა აჯანყებულთა საბრძოლო სულისკვეთება. აჯანყებულთა ბანაკში თავი იჩინა უწესრიგობამ და აზრთა სხვადასხვაობამ.

აჯანყებულები შეიარაღებითაც ჩამოუვარდებოდნენ მოწინააღმდეგეებს.

აჯანყების ბოლოს მებრძოლ მხარეთა ძალების შეფარდება მკვეთრად შეიცვალა. მთავრობამ გურიაში გადაისროლა რეგულარული ჯარის კარგად შეიარაღებული ნაწილები. გლეხთა რაზმებს არ შეეძლოთ გამკლავებოდნენ ბრძოლებში ნაცად ჯარებს.

მართალია, გლეხებს პოზიციები მოხერხებულად ჰქონდათ გამაგრებული (ოზურგეთისაკენ მიმავალი გზები ჩახერგილი და შეკრული), მაგრამ პოლკ. არღუთინსკის მანევრის შედეგად ესენი გამოუყენებელი დარჩა. მთავრობის ჯარებმა შემოუარეს ნასაკირალს და აჯანყებულებს სრულიად მოულოდნელად დაეცნენ ოზურგეთთან, რამაც გადაწყვიტა კიდეც აჯანყების ბედი.

---

1 როგორც ჩანს, აჯანყების მონაწილეებს სვანეთისათვისაც შეუფარებიათ თავი. ივ. მახარობლიძის სიტყვით, „სვანეთის სოფ. ლაშხეთში ცხოვრობს სამი კომლი მახარობლიძე, რომელთა წინაპრის გურიიდან წამოსვლის დროდ 1841 წლის აჯანყებას მიუთითებენ.“

2 არ არის მართალი ჭანიეთელი ალ. შავიშვილის გადმოცემა ოსმალეთში გაქცეული აჯანყების აქტიურ მონაწილეთა სამშობლოში დაუბრუნებლობის შესახებ. (გ. ხაჭაპურიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 105, 69).

ლეხოურის თემის ყოფილ მამასახლისს ზავარ ივანეს-ძე სალუქვაძეს (დაბ. 1844 წ.) და სხვებსაც კარგად ახსოვთ ს. გოგოლიშვილი, გ. გოგორიკიძე, გ. გორდელაძე, რომლებიც მათ თვალწინ დაიხოცნენ. ლეხოურის ეკლესიის მცველის, ნიაბაურის (ლეხოურის თემის პატარა სოფელია) მკვიდრის, დიომიდე სევასტის-ძე თოიძის (დაბ. 1869 წ.) ცნობით გიტო გოგორიკიძე (ნიაბაურიდან) დასაფლავებულია ღვთისმშობლის საყდრის წინ, ხოლო სიმონ გოგოლიშვილი დავითის და კონსტანტინეს ეკლესიის ეზოში (ხიტილაური). იგივე დაგვიდასტურეს ნიაბაურის, ოქროს მუხუროსა და ჯვარის სხვა მცხოვანმა პირებმა.

გარდა ამისა, გურიის გლეხთა მოძრაობის ნაკლი იყო ის, რომ ეს აჯანყება არსებითად არ გასცილებია გურიის ფარგლებს. იმერეთში თუმცა დაიწყო აჯანყება, მაგრამ მთავრობამ მაშინვე აღკვეთა მისი გავრცელების შესაძლებლობა.

მორალური მხარდაჭერა და თანაგრძნობა ამ მოძრაობამ რიგ სხვა ადგილებში ჰპოვა, მაგრამ ეს მხარდაჭერა აშკარა გამოსვლამდე არ მისულა.

გარდა კონკრეტულ-ისტორიული პირობებისა (სამეგრელო, აფხაზეთი და სვანეთი ამ დროს ავტონომიურ პოლიტიკურ ერთეულებს წარმოადგენდნენ და მათ 1840 წელს ადმინისტრაციული და საფინანსო რეფორმის სუსხი არ შეხებიათ), ამის მიზეზი იყო მთავრობის ენერგიული მოქმედება ამ მოძრაობის ლოკალიზებისა და სწრაფი ლიკვიდაციის მიზნით.

„გლეხთა აჯანყება ჩააქრეს, — წერდა ვ. ი. ლენინი მსგავსი მოძრაობის შესახებ, — რადგან ეს იყო ბნელი, შეუგნებელი მასის აჯანყება.“[1]

გლეხები თუმცა მამაცურად იბრძოდნენ, მაგრამ მათ არ შეეძლოთ თავიანთი სამართლიანი საქმე წარმატებით დაეგვირგვინებინათ, რადგან გლეხთა ყოველი გამოსვლა, თუ მას არ ხელმძღვანელობს ქვეყნის პროგრესის განხორციელებისათვის მოწოდებული კლასი, მარცხით მთავრდება, ასეთი სოციალური ძალა კი იმ დროის გურიაში არ არსებობდა.

გურიის 1841 წლის აჯანყება სისხლში იქნა ჩახშობილი, მაგრამ ამას არ გაუტეხია ამ კუთხის გლეხობის თავისუფლებისათვის მებრძოლი სული. ბურჟუაზიული და სოციალისტური რევოლუციების ეპოქაში გურიის გლეხობა სოციალური და ეროვნული თავისუფლებისათვის მებრძოლი მშრომელი მასების ავანგარდში იდგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

---

1 ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 6, გვ. 529.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## შეცდომების გასწორება

| გვ. | სტრ. | არის: | უნდა იყოს: |
|---|---|---|---|
| 26 | 7 ზევიდან | საჯავახო-იმერეთის | საჯავახო იმერეთის |
| 26 | მე-6 სქოლიოში | *J. A. Güldenstats, Beschreibung der Kaukasischen Lander,* | *J. A. Güldenstädts, Beschreibung der Kaukasischen Länder,* |
| 34 | 1-2 ზევიდან | ფულით", | ფულით",[1] |
| 43 | 11 ზევიდან | 1 საწყავ ღვინოს, 1-5 გოდორ ღომს, 1-6 ქათამს.[3] | 6-6 საწყავ ღვინოს, 5-5 გოდორ ღომს, 6-6 ქათამს.[3] |
| 53 | 17 ქვევიდან | რეფორმები, | ფორმები, |
| 83 | 1-2 ზევიდან | გადახვეწილმა | გადახვეწილმა[1] |

61 გვერდზე სქოლიოები უნდა იკითხებოდეს ადგილშეცვლით.

ფასი 2 მან. 50 კაპ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Канд. исторических наук
*Юрий Мойсеевич Сихарулидзе*

# Крестьянское восстание в Гурии 1841 г.

(На грузинском языке)

Государственное издательство
Батуми—1956

หอสมุดกลาง
สถาบันวิทยบริการ
จุฬาลงกรณ์มหาวิทยาลัย